

# ტრანსპორტი და მანქანათმეცნიერება


ISSN 1512-3537



სამაცნეო ჟურნალი  
ურნელი

№2(21) 2011

თბილისი



# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ISSN 1512-3537

# ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა

№2 (21) 2011

# სასტაციო – მეთოდური და

## სამაცნიერო – პკლევითი ნაშრომების პრეპარატი



გამომცემლობა „ ტრანსპორტი და მარავათმშენებლობა ”

თბილისი 2011

**ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა  
TRANSPORT AND MACHINEBUILDING**

**სარედაქციო კოლეგია**

პროფ. ზურაბ ბოგველიშვილი; პროფ. ბორის ბოქოლიშვილი; პროფ. ალექსი ბურდულაძე; პროფ. ოთარ გელაშვილი (მთავარი რედაქტორი); პროფ. გახტანგ გოგილაშვილი; პროფ. მერაბ გოცაძე; პროფ. ლია დემეტრაძე; პროფ. მელორ ელიოზბარაშვილი; პროფ. ჯუმბერ იოსებიძე; პროფ. სერგო კარიპიძეს; პროფ. ვასილ კოპალეშვილი; პროფ. თამაზ მჭედლიშვილი; პროფ. გოდერძი ტექნიკაშვილი; პროფ. ჯუმბერ უზლისაშვილი (დამფუძნებელი და გამომცემელი); პროფ. არჩილ ვრაძებიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); პროფ. ანზორ შავგულიძე; პროფ. ავთანდილ შარგაშიძე; პროფ. მიხეილ შილაკაძე; პროფ. მერაბ შვანგირაძე; პროფ. ზაურ ჩიტიძე; პროფ. დავით ძოცენიძე; პროფ. გია ჭელიძე; პროფ. ზურაბ ჯაფარიძე.

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ**

проф. Зураб Богвелишвили; проф. Борис Боколишвили; проф. Алексей Бурдуладзе; проф. ОТАР ГЕЛАШВИЛИ (главный редактор); проф. Вахтанг Гогилашвили; проф. Мераб Гоцадзе; проф. Лия Деметрадзе; проф. Мелор Елизбарашвили; проф. Джумбер Иосебидзе; проф. Серго Карипидис; проф. Василий Копалеишвили; проф. ТАМАЗ МЕГРЕЛИДЗЕ (зам.главного редактора); проф. Энвер Моисцрапишвили; проф. Тамаз Мchedлишвили; проф. Годердзи Ткешелашвили; проф. ДЖУМБЕР УПЛИСАШВИЛИ (основатель и издатель); проф. АРЧИЛ ПРАНГИШВИЛИ (зам. главного редактора); проф. Анзор Шавгулидзе; проф. Автандил Шарвашидзе; проф. Михаил Шилакадзе; проф. Мераб Швангирадзе; проф. Заур Читидзе; проф. Давид Дзоценидзе; проф. Гия Челидзе; проф. Зураб Джапаридзе.

**EDITORIAL BOARD**

Prof. Zurab bogvelishvily; prof. Boris Bokolishvily; Prof. Alexy Burduladze; Prof. OTAR GELASHVILY (editor-in-chief); Prof. Vakhtang Gogilashvily; Prof. Merab Gotsadze; Prof. Lia Demetradze; Prof. Melor Elizbarashvily; Prof. Jumber Iosebidze; Prof. Sergo Karibidis; Prof. Vasil Kopaleishvily; Prof. TAMAZ MEGRELIIDZE (deputy editor-in-chief); Prof. Enver Moistsrapishvily; Prof. Tamaz Mchedlishvily; Prof. Goderdzy Tkeshelashvily; Prof. JUMBER UPLISASHVILY (Constituent and editor); Prof. ARCHIL PRANGISHVILY (deputy editor-in-chief); Prof. Anzor Shavgulidze; Prof. Avtandil Sharvashidze; Prof. Mikheil Shilakadze; Prof. Merab Svangiradze; Prof. Zaur Chitidze; Prof. David Jotsenidze; Prof. Gia Chelidze; Prof. Zurab Djaparidze.

ეურნალის საგამომცემლო და ბეჭდვითი პროცესების ტექნოლოგიები შესრულდა სტუს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პოლიგრაფიის მიმართულების თანამშრომელთა და სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით.

Издательские и печатных процессов технологии журнала выполнены при активном участии сотрудников и студентов полиграфического направления транспортного и машиностроительного факультета ГТУ.

The coauthors and students of Poligraphy direction of Transport and Mechanical Engineering Department of GTU had taken active part in printing and publishing processes of the magazine.

პასუხისმგებელი რედაქტორი: თეა ბარამაშვილი

Ответственный редактор: Теа Барамашвили

Executive editor: Tea Baramashvily

რედაქციის მისამართი: თბილისი, ქოსტავა 77

Адресс редакции: Тбилиси, Костава 77

Adress of the editorial office: 77 Kostava Str., Tbilisi, Georgia

Tel: 36 40 35; 599 56 48 78; 551 611 611

**სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის  
სატრანსპორტო დეპარტამენტი გაერთიანებულია შემდეგი  
მიმართულებები:**

- **საზღვაო ტრანსპორტი და სატრანსპორტო მოწყობილობები (№38)**  
მიმართულება ამზადებს გემებისა და მათი ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაციის სპეციალისტებს.
- **საავტომობილო ტრანსპორტი (№46)**  
მიმართულება ამზადებს ავტომობილების ტექნიკური ექსპლუატაციის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მოძრაობის ორგანიზაციის, საავტომობილო ტრანსპორტზე გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის სპეციალისტებს.
- **ვაგონმშენებლობის, სავაგონო მეურნეობის და სარკინიგზო ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვა (№58)**  
მიმართულება ამზადებს სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის ექსპლუატაციის და რემონტის სარკინიგზო ტრანსპორტზე გადაზიდვის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალისტებს.
- **ელექტრული ტრანსპორტი (№62)**  
მიმართულება ამზადებს ელექტრული ტრანსპორტის დაპროექტების, ექსპლუატაციის, რეაბილიტაციის, მართვისა და ავტომატიზაციის სპეციალისტებს.
- **რკინიგზის ტრანსპორტზე ავტომატიკა და კავშირგაბმულობა (№100)**  
მიმართულება ამზადებს ტრანსპორტის მენეჯმენტისა და ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალისტებს.
- **ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია (№112)**  
მიმართულება ამზადებს ტრანსპორტის, მანქანათმშენებლობის, ელექტრული მრეწველობის და კავშირგაბმულობის მენეჯმენტის სპეციალისტებს.

**სამაგისტრო სპეციალობები:**

- ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა
- ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოება
- გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე
- ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება
- სატრანსპორტო ლოგისტიკა

- სარკინიგზო ტრანსპორტი
- საავიაციო ინჟინერია
- ამწე-სატრანსპორო, სამშენებლო, საგზაო, სალიანდაგო მანქანები და მექანიზმები
- ტრანსპორტის მენეჯმენტი
- ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა

### **სადოქტორო პროგრამა „საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაცია“**

**მიმართულებები:**

- საავტომობილო გადაზიდვები
- საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება
- ავტომობილების სერვისი
- ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოება

### **სადოქტორო პროგრამა „სარკინიგზო ტრანსპორტის ექსპლუატაცია“**

**მიმართულებები:**

- სარკინიგზო გადაზიდვები
- მატარებლების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება
- ვაგონები და სავაგონო მეურნეობა
- ელექტრული ტრანსპორტი

### **სადოქტორო პროგრამა „სატრანსპორტო ლიბისტიკა“**

**მიმართულებები:**

- მატერიალურ-ტექნიკური მარაგების მართვის ლოგისტიკური სისტემები
- სატრანსპორტო-საინფორმაციო მართვის ლოგისტიკური სისტემები

### **სადოქტორო პროგრამა „დარბობიზო ეპონომიკა და მიმღებლები“**

**მიმართულებები:**

- ტრანსპორტის ეკონომიკა და მენეჯმენტი
- მანქანათმშენებლობის ეკონომიკა და მენეჯმენტი

### **ტრანსპორტის ინიციატივის დიალოგირებულ საეტიალისტია მიმართულებები:**

- ავტომობილების სერვისი და ეკოლოგიური უსაფრთხოება
- საავტომობილო გადაზიდვებში ლოგისტიკური სისტემები და მენეჯმენტი
- სავაგონო მეურნეობა
- სარკინიგზო გადაზიდვები და მისი მენეჯმენტი
- სალიანდაგო მეურნეობა

**შპს 629.113.04**

**საქალაქო ავტობუსების სამსახურათაციო პირობების  
და მოძრაობის რეზისების თავისებურებები**

**ოთარ გელაშვილი, პაატა ბეჟანიშვილი**

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, კოსტავას 77, თბილისი, საქართველო)**

**რეზისუმე:** სტატიაში განხილულია საქალაქო ავტობუსების საექსპლუატაციო პირობების და მოძრაობის რეზიმების თავისებურებები, რაც თავის მხრივ კავშირშია საწვავის ხარჯის სიდიდესთან. დადგენილია, რომ საქალაქო მარშრუტებზე ავტობუსების მუშაობის მაჩვენებლები (მოძრაობის საშუალო სიჩქარე, საწვავის ხარჯი, გაჩერებების კუთრი რაოდენობა და სხვა) გაცილებით უფრო დაბალია, საქალაქო მაგისტრალურ საექსპლუატაციო პირობებთან შედარებით, რაც ათხსნება მათი მუშაობის ხელისშემძლელი ფაქტორებით: ხშირი გაჩერებებით, დაბრკოლებების მაღალი გაჯერებულობით, მოძრაობის დაუმყარებელი რეზიმებით, გადაცემათა კოლოფის დაბალი საფეხურების გამოყენებით და სხვა. ჩატარებული სამუშაო გვიჩვენებს, რომ საქალაქო ავტობუსების საწვავის ხარჯის კანონზომიერებების დადგენისას, უნდა გავითვალისწინოთ საექსპლუატაციო პირობები და მოძრაობის რეზიმების თავისებურებები.

**საკვანძო სიტყვები:** ავტობუსი, გადაზიდვები, მოძრაობის რეზიმები, რესურსი, საწვავია ხარჯი, საექსპლუატაციო პირობები, სერვისი.

## **შესავალი**

დღეისათვის, მსოფლიოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საწვავ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიკისა და რაციონალური გამოყენების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია. ვინაიდან ენერგიის ტრადიციული სახების მსოფლიო წყაროების მარაგი შეზღუდულია, ეს პრობლემა იქცა თანამედროვეობის გლობალურ პრობლემად. სათბოძენერგეტიკული რესურსების ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოს დაცვის პრობლემასთანაც.

ცნობილია, რომ საავტომობილო ტრანსპორტი მიეკუთვნება ნავთობური წარმოშობის თხევადი საწვავის უმსხვილეს მომხმარებელთა რიცხვს, რომლის წილზე მოდის მთელი მოხმარების დაახლოებით 30%. ქვეყანაში საავტომობოლო ტრანსპორტზე მოდის სატვირთო გადაზიდვების მოცულობის დაახლოებით 80% და სამგზავრო გადაყვანების მოცულობის ნახევარზე მეტი. ამიტომ საწვავ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენებისკენ მიმართულ ნებისმიერ ღონისძიებას დიდი ეროვნული და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. საქალაქო ავტობუსების საწვავის ხარჯის სიღიდე დამოკიდებულია საექსპლუატაციო პირობებზე, რაც თავის მხრივ კავშირშია მოძრაობის რეჟიმებთან. ამიტომ საქალაქო ავტობუსების საექსპლუატაციო პირობების და მოძრაობის რეჟიმების შესწავლა აქტუალურია და მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

## პირითადი ნაშილი

ექსპლუატაციაში ავტობუსების საწვავის ხარჯის სიღიდე დამოკიდებულია: საექსპლუატაციო პირობებზე; ავტობუსების ტექნიკურ მდგომარეობაზე; ორგანიზაციულ-ტექნილოგიურ ღონისძიებებზე; მძღოლის კვალიფიკაციაზე და სხვა.

თავის მხრივ, ამათგან თითოეული ცალ-ცალკე დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. როგორც მრავალრიცხოვანი გამოკვლევების ანალიზმა გვიჩვენა, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს საწვავის ხარჯზე, წარმოადგენს საექსპლუატაციო, კერძოდ კი - საგზაო პირობები, მისი ცვლადი ხასიათით. ამასთანავე, საექსპლუატაციო პირობები გავლენას ახდენს ავტობუსების მუშაობის რეჟიმზე, რომელიც საწვავის ხარჯის ფორმირებაში ერთ-ერთი მთავარია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სავალი გზის საფარის ხარისხის და მისი გეომეტრიული პარამეტრების გავლენა საწვავის ხარჯზე. გზის საფარის მდგომარეობის მიხედვით საწვავის ხარჯი შეიძლება გაიზარდოს 15-100%-ით, გზის კარგ მდგომარეობასთან შედარებით. საგზაო მოძრაობის რაციონალური ორგანიზაცია საშუალებას იძლევა შევამციროთ საწვავის ხარჯი 15%-ით. ქალაქებში საწვავის ხარჯზე გავლენას ახდენს მარშრუტზე რეგულირებადი და არარეგულირებადი გზაჯვარედინების არსებობა და მათი რაოდენობა. ქალაქებში მოძრაობისას ავტობუსის საწვავის ხარჯი იზრდება 70-80%-ით, დამუხრუჭებების და გაქანებების დიდი რაოდენობის გამო. საწვავის ხარჯზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამინდი და სეზონის პირობები.

საწვავის საექსპლუატაციო ხარჯის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ავტობუსების ტექნიკურ მდგომარეობას. ძრავას კვების სისტემის უწესივრობამ შეიძლება

გამოიწვიოს საწვავის 20-30%-ით გადახარჯვა. საწვავის ხარჯზე, აგრეთვე, გავლენას ახდენს ტრანსმისიის მდგომარეობა, ჰაერის წნევა საბურავებში, ძრავას თბური მდგომარეობა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ავტობუსისათვის დროული ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარება, რათა არ დავუშვათ მისი ექსპლუატაცია საწვავის მომატებული ხარჯით.

ავტობუსის საწვავის ხარჯზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ღონისძიებები. ტექნიკური მომსახურების დროული და ხარისხიანი ჩატარებით, შეიძლება მივაღწიოთ ავტობუსის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და საწვავის საექსპლუატაციო ხარჯის შესაბამის შემცირებას. მგზავრების გადაყვანების პროცესის სწორი ორგანიზაცია, აგრეთვე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწვავის ეკონომიაზე. სამგზავრო გადაზიდვების სისტემაში პროგრესულ-ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავება და დანერგვა უზრუნველყოფს საწვავის ხარჯის შემცირებას 20-25%-ით. გადაზიდვების სისტემაში საწვავის ეკონომიის ყველაზე ხელმისაწვდომი რეზერვი დაკავშირებულია გადაზიდვის პროცესის ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანასთან, რასაც საავტომობილო ფირმები მნიშვნელოვან ადგილს უნდა უთმობდნენ.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელიც გავლენას ახდენს ავტობუსის საწვავის საექსპლუატაციო ხარჯზე, არის მძღოლის კვალიფიკაცია, სახელდობრ, კი მისი მართვის სტილი. ტრანსპორტზე პროფესიული სწავლების განვითარების ასოციაციის მონაცემების თანახმად, ავტობუსების მართვის ეკონომიური რეზიმების ხარჯზე საწვავის ხარჯი შეიძლება 15-25%-მდე შემცირდეს. ამიტომ ჩვენს მიერ შემუშავებულია მძღოლების მომზადების სპეციალური პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ მძღოლები დაუუფლონ ავტობუსების ექსპლუატაციის დროს საწვავის ეკონომიის სხვადასხვა ხერხებს და ეკონომიური ტარების მეთოდებს. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდიკის წინასწარი გამოცდა ექსპერიმენტის სახით მოხდა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ავტობაზის მძღოლებთან, რომლებმაც გაიარეს ასეთი მომზადება, ავტობუსების საწვავის ხარჯი შემცირდა 5,5-15,0%-მდე, რაც გამოწვეული იყო მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარისა და დამუხრუჭების რეზიმების სწორი შერჩევით, კუთრი გაჩერებებისა და გაქანების დროის შემცირებით და სხვა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მძღოლი წარმოადგენს ცენტრალურ ფიგურას, რომელიც გავლენას ახდენს საწვავის ხარჯზე სწორი მანევრირების, ადგილიდან დამვრის, სიჩქარეთა გადაცემების გადაფარვის ზონების ეფექტურად გამოყენების და სხვა ხერხებით. ამიტომ ავტოსატრანსპორტო ფირმებმა საწვავის ეკონომიის თვალსაზრისით მძღოლების პროფესიული ოსტატობის სრულყოფის გზებს მაქსიმალური ყურადღება უნდა დაუთმონ და გამოიყენონ საწვავის ეკონომიისათვის მატერიალური წახალისების მეთოდები.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ავტობუსების საწვავის საექსპლუატაციო ხარჯზე გავლენას ახდენს ფაქტორთა დიდი რაოდენობა, რომელთა გათვალისწინება მათი სტატისტიკური ბუნების გამო პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ საწვავის ხარჯის ყველაზე სრულყოფილი მოდელებიც კი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს კრიტერიუმის სახით, საწვავის ხარჯის ნორმების დადგენის, საწვავის გადახარჯვის მიზეზების გამოკვლევის და მათ აღმოფხვრაზე პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების დროს.

საწვავის ხარჯზე მოქმედი ფაქტორების ზემოქმედება საექსპლუატაციო თვისებებთან ერთად ვლინდება ავტობუსების მუშაობის რეჟიმების ფორმირებაში. ავტობუსების ტექნიკური მდგომარეობა მუშაობის რეჟიმების ზემოქმედებით უარესდება და ავტოსატრანსპორტო ფირმის ტექნიკური სამსახური უზრუნველყოფს მის საჭირო დონეზე აღდგენას. ავტობუსების მუშაობის რეჟიმები, ყალიბდება არა მარტო ავტობუსების ტექნიკური მდგომარეობით, არამედ ისეთი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორებიცაა, ექსპლუატაციის პირობები და მძლოლის კვალიფიკაცია. ავტობუსების მუშაობის რეჟიმები და საწვავის ხარჯის სიდიდეები საშუალებას იძლევიან საკმაოდ დიდი სიზუსტით გავაანალიზოთ საწვავის საექსპლუატაციო ხარჯის ფორმირების კანონზომიერებანი, დავადგინოთ საწვავის ხარჯის ტექნიკურად დასაბუთებული სააგტობუსო სამარშრუტო ნორმები და ხაზზე ავტობუსების მუშაობის ობიექტური ანალიზის, აღრიცხვისა და კონტროლის საფუძველზე ოპერატორულად ვმართოთ საწვავის საექსპლუატაციო ხარჯი.

საქალაქო ავტობუსების ექსპლუატაციას გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები, ამიტომ საწვავის ხარჯის ეფექტური მართვისათვის საჭიროა ჩატარდეს საექსპლუატაციო პირობებისა და მოძრაობის რეჟიმების ანალიზი. ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს მგზავრთნაკადებს, რომელთა სიდიდეების მერყეობა იცვლება ფართო ზღვრებში, როგორც სხვადსხვა ტიპის მარშრუტების, ისე დროისა და კვირის დღეების მიხედვით. საქალაქო მარშრუტებზე ავტობუსების გამოცდების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კუთრი გაჩერებების რაოდენობა მარშრუტის 1-კმ-ზე გაცილებით მეტია, ვიდრე საქალაქთაშორისო, მაგისტრალურ ან სხვა პირობებში მათი ექსპლუატაციის დროს, რაც ზრდის დაუმყარებელი მოძრაობის წილს და იწვევს ავტობუსის გაქანება-დამუხრუჭებაზე საწვავის მნიშვნელოვან გადახარჯვას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით არარაციონალურია მარშრუტზე გაჩერებების განლაგება შუქმნიშნების შემდეგ.

## დასკვნა

საქალაქო მარშრუტებზე ავტობუსების მუშაობის მაჩვენებლების (მოძრაობის საშუალო სიჩქარე, საწვავის ხარჯი, გაჩერებების კუთრი რაოდენობა და სხვა) ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი გაცილებით უფრო დაბალია, საქალაქთაშორისო ან მაგისტრალურ საექსპლუატაციო პირობებთან შედარებით, რაც აიხსნება მათი მუშაობის ხელისშემშლელი ფაქტორებით: ხშირი გაჩერებები, დაბრკოლებების მაღალი გაჯერებულობა, მოძრაობის დაუმყარებელი რეჟიმები, გადაცემათა კოლოფის დაბალი საფეხურების გამოყენება და სხვა.

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქალაქო ავტობუსების ექსპლუატაციისას ძირითადად გათვალისწინებული უნდა იქნეს საექსპლუატაციო პირობების და მოძრაობის რეჟიმების თავისებურებები, რაც თავის მხრივ კავშირშია საწვავის ხარჯის კანონზომიერებების დადგენასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ო. გელაშვილი. დიზელის ავტომობილის საწვავის სახაზო ხარჯის ანალიზური მეთოდის დამუშავება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, 2(413), 1997, 139-142 გვ.
- Гелашвили О. Г. Исследование режимов движения и расхода топлива автомобиля с дизельным движением. Международный научный журнал „Проблемы прикладной механики”, №3(12), 2003.
- Гелашвили О. Г. Разработка аналитической модели определения экономичности и токсичности дизельных автомобилей. Международный научный журнал „Проблемы прикладной механики”, №1(14), 2004.
- Гелашвили О. Г. Разработка логистической системы управления расходом автомобильного топлива. Международный научный журнал „Проблемы механики”, Тбилиси, №3(20), 2005, 61-65.ст.
- ო. გელაშვილი. ავტოსატრანსპორტო ფირმებში საწვავის ხარჯის მართვის ლოგისტიკური სისტემა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”, თბილისი, №4(12), 2008, 68-75გვ.

# **ОСОБЕННОСТИ УСЛОВИЙ ЭКСПЛУАТАЦИИ И РЕЖИМОВ ДВИЖЕНИЯ ГОРОДСКИХ АВТОБУСОВ**

**Отар Гелашвили, Паата Бежанишвили**

## **Резюме**

В статье рассматриваются условий работы и режимов движения городских автобусов, что в свою очередь, связано с величиной расхода топлива. Установлено, что эксплуатационные характеристики городские автобусов на маршрутах (средняя скорость, расход топлива, удельное количество остановок и т.д.) значительно ниже по сравнению с междугородними или магистральными условиями эксплуатации, что можно объяснить мешающими факторами: частыми остановками, насыщенностью препятствий, неустановившимися режимами движения, применением низких передач и так далее. Проведённая работа показывает, что при определении закономерностей расхода топлива городских автобусов, мы должны принимать во внимание особенности условий эксплуатации и режимы движений.

## **FEATURES OF OPERATING CONDITIONS AND MODES OF TRAFFIC OF CITY BUSES**

**Otar Gelashvili Paata Bezhaniashvili**

## **Abstract**

In the article are considered the operating conditions and modes of traffic of city buses that which in turn is related with the value of fuel consumption. It is defined that the operating characteristics on city buses routes (the average speed, fuel consumption, specific number of stages, etc.) is much lower in comparison with long route operational conditions that can be explained by number of factors: frequent stops, high intensity of obstacles, unsustained modes of traffic, usage of low gears of transmission and so on. The carried out work shows that at determining of city buses fuel consumption would be taking into account features operating conditions and modes of traffic.

შავ 629.114.45.028

**მრავალღერძიანი ავტომობილების  
ეფექტურობის გაზრდის პრისტავას**

**ზ. ბოგველიშვილი**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქ.77,  
0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** მრავალღერძიანი ავტომობილების, რომელთა ექსპლუატაცია ძირითადად წარმოებს ცვლადი მიკროპროცესორის გრუნტის გზებზე, მობილურობისა და ეფექტურობის ამაღლება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სვლის სიმდოვრის გაზრდის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტაზე. ასეთი ავტომობილების სვლის სიმდოვრის ამაღლება წარმოებს, როგორც საკიდრების ახალი სქემების ძიების მიმართულებით, ისე ახალი ტიპის დრეკადი ელემენტების შექმნის გზით. მაღალი წნევის რეზინ-კორდულ გარსიანი პნევმატიკური დრეკადი ელემენტების მუშაობის თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევები ადასტურებს მათი გამოყენების მიზანშეწონილობას მრავალღერძიანი ავტომობილების შერესორების სისტემებში.

**საკვანძო სიტყვები:** მრავალღერძიანი ავტომობილი, სვლის სიმდოვრე, საკიდარი, პნევმატიკური დრეკადი ელემენტი.

**შესავალი**

საავტომობილო მოძრავი შემადგენლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს მიეკუთვნება მრავალღერძიანი ავტომობილები, რომელთა შექმნა და შემდგომი განვითარება განაპირობა, რომელი რელიეფისა და უგზოობის პირობებში, ტვირთამწეობის გაზრდისა და სატრანსპორტო კავშირების განსორციელების აუცილებლობამ. მრავალღერძიანი ავტომობილების განარჩენის დაახლოებით 80% მოდის ცვლადი მიკროპროცესორის გრუნტის გზებსა და უგზოობის პირობებზე, სადაც მათი მოძრაობის საშუალო სიჩქარე საგრძნობლად (5...15 კმ/სთ-მდე) ეცემა. ექსპლუატაციის აღნიშნული პირობებისათვის მოძრაობის საშუალო სიჩქარის გაზრდა და ავტომობილის მობილურობისა და ეფექტურობის ამაღლება შეუძლებელია ტრადიციული მეთოდებით (ძრავის კუთრი სიმძლავრის გაზრდა, გადაცემათა კოლოფის გადაცემათა რიცხვის

ოპტიმიზაცია). ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ავტომობილის სვლის სიმდოვრის ამაღლება. ავტომობილის სვლის სიმდოვრეს განაპირობებს შერქსორების სისტემა (საკიდარი), რომლის კონსტრუქციის სრულყოფა წარმოებს როგორც ახალი სქემების ძიების მიმართულებით, ისე ახალი ტიპის დრეკადი ელემენტების შექმნის გზით.

## პირითადი ნაშილი


მრავალლერძიანი ავტომობილი — ეს არაა უბრალოდ ავტომობილი, რომელსაც დაემატა ღერძები, ეს თვისობრივად ახალი სატრანსპორტო საშუალებაა, კერძოდ მისი გზასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ასეთი სახის სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციის დამუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი თავისებურებები: ტრანსმისიის შესაძლო სქემის მრავალფეროვნება, დაკავშირებული დიფერენციალის არსებობა-არარსებობაზე; თვლების, ღერძების და მართვის ფორმულების მრავალფეროვნება; ღერძების მიხედვით საკიდარის სხვადასხვა სიხისტე, რომელიც გავლენას ახდენს თვლების ნორმალურ რეაქციებზე და ა.შ. საერთო კონსტრუქციული გადაწყვეტები, რომლებმაც გავრცელება პპოვეს მრავალლერძიანი ავტომობილების შექმნის პრაქტიკაში წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1

### მრავალლერძიანი ავტომობილების საერთო კონსტრუქციული გადაწყვეტები

დასახელება	შასის სქემა	თვლების ფორმულა	ღერძების ფორმულა	ავტომობილის მოდელი, ქვეყანა
სამღერძიანი, დაახლოებული უკანა ღერძებით		6x6	1_2	ЗиЛ-131 (რუსეთი); D-566 (უნგრეთი); Mercedes-Benz 2635 (გვრ)
სამღერძიანი, თანაბრად განლაგებული ღერძებით		6x6	1_1_1	Salamander, Saladin (დიდი ბრიტანეთი); КИШМ (რუსეთი)
სამღერძიანი, დაახლოებული წინა ღერძებით		6x6	2_1	Tatra-813 H (ჩეხეთი); Faun L912/21 (გვრ)
ოთხღერძიანი, წყვილად განლაგებული ღერძებით		8x8	2_2	МАЗ-7310 (რუსეთი); Titan T-350 (საფრანგეთი); БТР-60П (რუსეთი)
ოთხღერძიანი, თანაბრად განლაგებული ღერძებით		8x8	1_1_1_1	Büssing-Nag (გვრ)
ოთხღერძიანი, დაახლოებული შუა ღერძებით		8x8	1_2_1	ЗиЛ-135 (რუსეთი)
ოთხღერძიანი, არა-თანაბრად განლაგებული ღერძებით		8x8	1_1_2	MAN 30.331 VFA (გვრ)

მრავალღერძიანი ავტომობილების საკიდრებში გამოყენებულ ლითონის დრეკად ელემენტებს, აქვს დიდი წონა და ლითონტევადობა, მაღალი ღირებულება. მსოფლიო ავტომშენებლობის პრაქტიკაში პნევმატიკური დრეკადი ელემენტების დანერგვამ გამოავლინა ახალი შესაძლებლობები შერესორების სისტემების შემდგომი განვითარებისათვის. მრავალღერძიანი ავტომობილების შერესორების სისტემებში განსაკუთრებით პერსპექტიულია პნევმატიკური დრეკადი ელემენტები სახელოს ტიპის რეზინ-კორდული გარსებით, რომლებსაც გააჩნით მუშაობის დიდი რესურსი, რადგან არ აქვთ შესამჭიდროებელი მოხახუნე ზედაპირები; არ მოითხოვენ დაყენების დიდ სიზუსტეს; აქვთ დაბალი ღირებულება; მათი გარსები ტექნოლოგიურია წარმოებაში და მუშა სხეულის სტატიკური წნევის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. მრავალღერძიანი ავტომობილის ექსპლუატაციის მრავალფეროვან პირობებში გამოსაყენებლად გამიზნული მაღალი წნევის (1,0 მპა-ზე მეტი) პნევმატიკური დრეკადი ელემენტის საერთო ხედი წარმოდგენილია ნახ.1.ა-ზე, ხოლო კონსტრუქციული სქემა – ნახ.1.ბ-ზე, სადაც: 1 არის სახელოს ტიპის რეზინ-კორდული გარსი; 2-მიმმართველი დგუში; 3-დამცავი გარსაცმი; 4-დამატებით მოცულობასთან მისაერთებელი მილაკი; 5,6-დრეკადი ელემენტის ზედა და ქვედა საყრდენები.



ნახ. 1. მაღალი წნევის სახელოს ტიპის რეზინ-კორდულ გარსიანი პნევმატიკური დრეკადი ელემენტის საერთო ხედი (ა) და კონსტრუქციული სქემა (ბ)

ჩატარებული იქნა მაღალი წნევის სახელოს ტიპის რეზინ-კორდულ გარსიანი პნევმატიკური დრეკადი ელემენტებით აღჭურვილი მრავალღერძიანი ავტომობილის შერესორების პნევმატიკური სისტემების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა. მიღებულია მათემატიკური მოდელები, რომლებიც აღწერს შერესორების სისტემებში მიმდინარე თერმოდინამიკურ პროცესებს მუშა სხეულის მასის ცვლილების და გარემოსთან თბოგადაცემის გავლენის გათვალისწინებით. შემოთავაზებული ანალიზური გამოსახულებების საფუძველზე დამუშავებულია შერესორების პნევმატიკური სისტემების ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების საინჟინრო მეთოდიკები [1].

ლაბორატორიულ-სასტენდო და საგზაო პირობებში გამოკვლევების საფუძველზე განისაზღვრა მრავალღერძიანი ავტომობილის პნევმატიკური შერესორების სისტემის რაოდენობრივი მახასიათებლები და ხარისხობრივი თვისებები, მოხდა თეორიული გაანგარიშების შედეგების დასაბუთება, განხორციელდა მთელი სისტემის და მისი ცალკეული ელემენტების კონსტრუქციების დაყვანა და სრულყოფა [2].

## დასკვნა

ავტომობილების პნევმატიკური შერესორების შემდგომი სრულყოფა დაკავშირებულია დრეკად ელემენტებში შეექმნებული აირის კუმშვის ხარისხის და სტატიკური წნევის ზრდასთან. სტატიკური წნევის ზრდა დრეკად ელემენტებში საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს პნევმატიკური დრეკადი ელემენტის გაბარიზული ზომები და წონა, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს დიდი ტვირთამწეობა და სადატვირთვო მახასიათებლების ფართო დიაპაზონი, გაადვილდეს მისი გაერთმთლიანება ავტომობილის საკიდარში. ასეთი პნევმატიკური დრეკადი ელემენტები მეტად პერსპექტიულია სავალი ნაწილის სხვადასხვა სქემის მქონე მრავალღერძიანი ავტომობილების შერესორების სისტემებში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია აგრეთვე გათვალისწინებული იქნეს ძარის სიმაღლის და შესაბამისად საკიდარის დინამიკური სვლის ცვლილება, თვლებზე რეაქციების გათანაბრების ხარისხის რეგულირება მათი ფარდობითი გადაადგილების დროს.

რეზინ-კორდული გარსიანი პნევმატიკური დრეკადი ელემენტების მუშაობის თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევები ადასტურებს მათი გამოყენების მიზანშეწონილობას მრავალღერძიანი ავტომობილების შერესორების სისტემებში. ამიტომ, მეტად აქტუალურია მრავალღერძიანი ავტომობილებისათვის თანამედროვე მაღალი წნევის სახელოს ტიპის რეზინ-კორდულ გარსიანი პნევმატიკური დრეკადი ელემენტებით აღჭურვილი შერესორების

პნევმატიკური სისტემების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა მათში მიმდინარე თბოგადაცემის და ცვლადი მასის თერმოდინამიკური პროცესების გათვალისწინებით, რომელთა შედეგების მიხედვით შესაძლებელია შერესორების შემოთავაზებული სქემის დასაბუთება და სისტემის მუშაობის პროგნოზირება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ზ. ბოგველიშვილი. სატრანსპორტო საშუალებათა შერესორების პნევმატიკურ სისტემებში მიმდინარე თბოგადაცემის და ცვლადი მასის თერმოდინამიკური პროცესების თეორია. — თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007, 115 გვ.
2. ზ. ბოგველიშვილი. მრავალღერძიანი ავტომობილების შერესორების პნევმატიკური სისტემები და მათი გავლენა სვლის სიმდოვრეზე. — თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2008, 114 გვ.

## ПЕРСПЕКТИВЫ ПОВЫШЕНИЯ ЭФФЕКТИВНОСТИ МНОГООСНЫХ АВТОМОБИЛЕЙ

### 3. Богвелишвили

#### Резюме

Теоретические и экспериментальные исследования работы резино-кордных пневматических упругих элементов высокого давления подтверждают целесообразность их использования в системах подпрессоривания многоосных автомобилей.

## PROSPECTS FOR IMPROVEMENT

### MULTI-AXIS CARS

Z. Bogvelishvili

#### Summary

Theoretical and experimental studies of rubber-cord pneumatic elastic elements pressure confirm their appropriateness for use in cushioning multi car.

შპს 629.113

## **ავტომობილის მექანიკური ტრანსმისიონ საფეხურების რაოდენობის რატიოზირება**

ჯ. იოსებიძე, დ. ფრიდონაშვილი, მ. იობაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

მ. კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში წარმოდგენილია ავტომობილის მექანიკურ გადაცემათა კოლოფის გადაცემათა რიცხვების რაოდენობის რაციონალურად შერჩევის და მათი განაწილების კანონმდებლებითა დადგენის მეთოდიკა იმ შემთხვევისათვის, როცა გადაცემათა გადართვის პროცესში სიმძლავრის ნაკადის წყვეტა ხდება. შემვასებელ პარამეტრებად აღებულია: ავტომობილის გაქანების დრო, საწვავის ხარჯი და მუშაობის ეფექტიანობის კოეფიციენტი. მეთოდიკის დამუშავებისას გათვალისწინებულია, რომ ძრავა მუშაობდეს მაქსიმალური სიმძლავრისა და მაქსიმალური მაბრუნი მომენტის შესაბამისი ბრუნვის სიხშირეთა დააპაზონდეს. ასეთი სიტყვები: გადაცემათა კოლოფი, გადაცემათა რაოდენობა და განაწილება, გადართვის პროცესი, გაქანების დრო, საწვავის ხარჯი, ეფექტიანობის კოეფიციენტი.

### **შესავალი**

გადაცემათა კოლოფის ძირითად დანიშნულებას, უზრუნველყოს თვალთან მიეცანილი წევის ძალის ცვლილება გზის წინააღმდეგობის მიხედვით, მექანიკურთან შედარებით, კარგად ასრულებს ჰიდრომექანიკური გადაცემათა კოლოფი, რომელშიც გადაცემათა რიცხვების უსაფეხუროდ ცვლილების გამო, ძრავი უმეტესად მუშაობს მაქსიმალური სიმძლავრის რეჯიმში. ამასთან ერთად მექანიკური კოლოფის მართვა გაცილებით დამღლელია მძლოლისათვის, რის გამოც მოხდა ჰიდრომექანიკური კოლოფების ხვედრითი წილის გაზრდა. მაგრამ ამ უკანასკნელთ აქვთ შედარებით დაბალი მ.ქ. კოეფიციენტი და ე.ი. ენერგიის დიდი დანაკარგები, რაც იწვევს

საწვავის ხარჯის ზრდას. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ბოლო წლებში ისეთი წამყვანი ფირმები, როგორიცაა “მერსედესი”, “ბმვ”, “ფორდი” და სხვ. უფრო ხშირად იყენებენ მექანიკურ გადაცემათა კოლოფებს. აღნიშნული ტენდენცია უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც ასეთ კოლოფებში განხორციელდა გადაცემების გადართვა სიმძლავრის ნაკადის გაწყვეტის გარეშე. ამიტომ მექანიკურ გადაცემათა კოლოფის საფეხურების რაოდენობისა და მათი განაწილების კანონზომიერებათა დადაგენა დღესაც აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

## პირითადი ნაზილი

მექანიკური გადაცემათა კოლოფის გადაცემათა რიცხვების რაოდენობა და მათი განაწილების კანონები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ წევით-სიჩქარით თვისებებსა და საწვავეკონომიურობაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებული პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობები არსით ურთიერთსაწინააღმდეგოა. კერძოდ, დინამიკური თვისებების გასაუმჯობესებლად სასურველია ძრავმა იმუშაოს მაქსიმალური სიმძლავრის რეჯიმში, მაგრამ ამ დროს საწვავის ხარჯი მაქსიმალურთან ახლოსაა. შესაბამისად, დღემდის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება გადაცემათა კოლოფის საფეხურების რაოდენობისა და მათი განაწილების კანონის შესახებ.

საკითხის შესწავლის მიზნით აღებული იქნა ავტომობილი, რომელსაც აქვს შემდეგი კონსტრუქციული პარამეტრები: სრული წონა დატვირთულ მდგომარეობაში – 1550 კგ; ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე – 70 კვტ (ბრუნვის სიხშირე – 5500 წმ<sup>-1</sup>); მაქსიმალური მაბრუნი მომენტი 127 ნ.მ. (ბრუნვის სიხშირე – 3300 წმ<sup>-1</sup>); გარსედინობის ფაქტორი 0,55; თვლის დინამიკური რადიუსი – 0,275 მ.

წევით-სიჩქარით თვისებებისა და საწვავეკონომიურობის მაჩვენებლების გამოსათვლელად ვისარგებლოთ ავტომობილის მოძრაობის დიფერენციალური განტოლებით პორიზონტალურ გზაზე მოძრაობისას, რომელიც მოდიფიცირებულია გაანგარიშებათა ჩატარებისათვის და საწვავის ხარჯის გამოსათვლელი ფორმულით [3:]

$$\frac{dv}{dt} = \frac{1}{C_1 + C_2 i_{Tq}} \left[ -a^4 + G_3 i_{Tq} + C_4 i_{Tq}^2 V - (C_5 i_{Tq}^3 - a_5) V^2 \right] \quad \text{და} \quad (1)$$

$$Q_S = \int_{V_H}^{V_K} \frac{q_e N_e}{3600 j}, \quad (2)$$

სადაც,

$$C_1 = \frac{G}{g} + ZJ_k \frac{1}{r_k^2}; \quad C_2 = \frac{J_m \eta_m}{r_k^2}; \quad C_3 = \frac{a_1 \eta_m}{r_k^2}.$$

$$C_4 = \frac{30a^2\eta_m}{\pi r_k^2}; \quad C_5 = \frac{9000a_3\eta_m}{\pi^2 r_k^3}.$$

$a_1, a_2, a_3$  არის ძრავას მაბრუნი მომენტის მრუდის აპროქსიმაციის კოეფიციენტები.

$a_1$  და  $a_2$  – ავტომობილის გორგისა და ჰაერის ჯამური წინააღმდეგობის მრუდის აპროქსიმაციის კოეფიციენტები.

$V_H$  და  $V_K$  – გაქანების დაწყებისა და დამთავრების სიჩქარეები.

დანარჩენი სტანდარტული აღნიშვნები ცნობილია ავტომობილის თეორიიდან.

როგორც ცნობილია, გადაცემათა კოლოფის გადაცემათა რიცხვები შეიძლება განაწილდეს:

$$1. \text{ გეომეტრიული პროგრესით } \frac{i_1}{i_2} = \frac{i_2}{i_3} = \frac{i_3}{i_4} = \dots;$$

$$2. \text{ ასითმეტიკური პროგრესით } i_1 - i_2 = i_2 - i_3 = i_3 - i_4 = \dots;$$

$$3. \text{ ჰარმონიული რიგის კანონით } \frac{1}{i_2} - \frac{1}{i_1} = \frac{1}{i_3} - \frac{1}{i_2} = \dots$$

ამ სამი ვარიანტისთვის (1) განტოლების მიხედვით ჩატარებულ გაანგარიშებათა თანახმად, ოთხსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფის შემთხვევაში 100პმ/სთ სიჩქარემდე გაქანების დროების სიდიდეებმა შეადგინა: 1 – 21,45 წმ. 2 – 23,15 წმ. და 3 – 19,20 წმ.

აღნიშნულიდან, განაწილების ჰარმონიული რიგის უპირატესობა ცხადია, მაგრამ იგივე პირობებში (2) განტოლებით გამოთვლილი საწვავის ხარჯი 17,20%-ით მეტია პირველი სახის განაწილებასთან შედარებით. ასეთი შედეგი იმით აიხსნება, რომ ჰარმონიულ რიგს აქვს ზრდადი სიმკვრივე და გადაცემების გადართვა ხდება უფრო მაღალ სიჩქარეებზე, რაც იწვევს უკანასკნელის ინტენსიურ შემცირებას და შესაბამისად საწვავის ხარჯის გაზრდას.

ამავდროულად გაანგარიშებამ აჩვენა, რომ გადაცემათა რიცხვების ნებისმიერი კანონით განაწილებისას საწვავის ხარჯი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გადაცემების გადართვის დროზე. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული დამოკიდებულება მნიშვნელოვნად იზრდება გადაცემათა რაოდენობის გაზრდით. მაგალითად, სამსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფისათვის გადაცემების განაწილების გეომეტრიული რიგის შემთხვევაში საწვავის ხარჯი იზრდება 4,5%-ით. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ერთი გადაცემის გადართვის დრო ცვალებადობს ინტერვალში 0 1,5 წმ.. შვიდსაფეხურიანი გადაცემისათვის იგივე პირობებში საწვავის ხარჯი იზრდება უკვე 34,5%-ით.

ასე, რომ რაც დიდია გადაცემების რაოდენობა, მით მეტია გადაცემების გადართვაზე დახარჯული ჯამური დრო და შესაბამისად საწვავის ხარჯი.

რამდენადაც გაქანების დრო და საწვავის ხარჯი ფუნქციონალურად ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არიან, ამიტომ გადაცემათა კოლოფის საკვლევი კონსტრუქციული პარამეტრების უკეთ შესაფასებლად გამოვიყენოთ ავტომობილის მუშაობის ეფექტიანობის კოეფიციენტი – η<sub>ეფ</sub>. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სასარგებლო ტვირთის კინეტიკური ენერგიის (გადაზიდვის მოცემული სიჩქარის დროს) შეფარდებას გზის გარკვეულ მონაკვეთზე დახარჯული საწვავის თბურ ენერგიასთან, გამოსახულს პროცენტებში [2]:

$$\eta_{\mathcal{J}\mathcal{B}} = \frac{qV^2cp}{\gamma Q_s} \quad (3)$$

საღაც:

q – არის სასარგებლო ტვირთის მასა, კგ;


V<sub>საგ</sub> – მარშრუტზე ავტომობილის მოძრაობის საშუალო სიჩქარე, კმ/სთ

γ – საწვავის სიმკვრივე, კგ/ნ;

Q<sub>s</sub> – საწვავის საშუალო ხარჯი, ლ/100 კმ;

C – მუდმივი კოეფიციენტი, რომელიც ბენზინზე მომუშავე ძრავებისათვის შეადგენს 1/115000-ს, ხოლო დიზელზე მომუშავე ძრავებისათვის კი 1/113500-ს.

სხვადასხვა გადაცემათა რიცხვების რაოდენობისა და განაწილების კანონის შემთხვევებისათვის გამოთვლილი ეფექტიანობის კოეფიციენტის სიდიდეების მახასიათებელი მრუდები მოცემულია ნახაზზე.



ნახაზი 1. ავტომობილის მუშაობის ეფექტურობის კოეფიციენტის დამოკიდებულება  
გადაცემათა კოლოფის გადაცემათა რაოდენობისაგან:

- 1 – არითმეტიკული პროგრესია;
- 2 – ჰარმონიული კანონი;
- 3 – გეომეტრიული პროგრესია

როგორც ნახაზიდან ჩანს, გადაცემათა რიცხვების არითმეტიკული პროგრესით განაწილებისას ოთხზე მეტი გადაცემის შერჩევას აზრი არ აქვს, რადგან გადაცემების რაოდენობის გაზრდით უფრო მეტად იზრდება საწვავის ხარჯი, ვიდრე გაქანების სიჩქარე. შედეგად ეფექტიანობის კოეფიციენტი მცირდება. ჰარმონიული კანონის შემთხვევაში, ოპტიმალური საფეხურების რაოდენობა არის ხუთი. აღნიშნული სიდიდის მეტად გაზრდისას გაქანების სიჩქარე და საწვავის ხარჯი თითქმის პროპორციულად იზრდება, რის შედეგადაც ეფექტიანობის კოეფიციენტი უცვლელი რჩება.

## დასკვნა

მოცემული ავტომობილისათვის ყველაზე ეფექტიანია ხუთსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი გადაცემების გეომეტრიული პროგრესით განაწილებით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **Вахламов В.К., Шатров М.Г., Юрчевский А.А.** Автомобили – Москва, Академия, 2003, 805 с.
2. **Наркевич Э.И., Токарев А.А.** Оптимизация мощности двигателя и параметров трансмиссии городских автобусов. М. 1978, 29 с.

3. დ. ფრიდონაშვილი. ავტომობილის საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესება  
მექანიკური გადაცემათა კოლოფის გადაცემათა რიცხვების ოპტიმიზირებით. ს/ტ ჯურნალი  
“ტრანსმისიერებული და მანქანათმშენებლობა”, №1, 2009, გვ. 192-195.

## ОПТИМИЗАЦИЯ ЧИСЛА СТУПЕНЕЙ МЕХАНИЧЕСКОЙ ТРАНСМИССИИ АВТОМОБИЛЯ

**Д. Иосебидзе, Д. Придонашвили, М. Иобашвили**

### Резюме

В работе для механической трансмиссии представлена методика рационального подбора количества передаточных чисел и установления закономерности их распределения с учётом того, что во время переключения передачи происходит разрыв потока мощности. Оценочными параметрами выбраны: время разгона автомобиля, расход топлива и коэффициент эффективности. При разработке методики учтено, что двигатель работает в диапазоне частоты оборотов, соответствующей максимальной мощности и крутящего момента.

## OPTIMIZING THE NUMBER OF VEHICLE'S MECHANICAL TRANSMISSION STEPS

**D. Iosebidze, D. Pridonashvili, M. Iobashvili**

### Summary

In the work for mechanical transmission is presented the method of rational choice of number of gear ratios and establishing the regularity of their distribution with taking into account the fact that during the gear shifting is broken the power stream. As estimated parameters are chosen: the acceleration time of vehicle, fuel consumption and efficiency ratio. At developing of the methodology is takes into account that the engine operates in the frequency of revolutions corresponding to the maximum power and torque.

**შაპ. 514.513**

**დეზარგის სივრცულ კონფიგურაციაში სამრთო წერტილის**

**მქონე ორი ტეტრაედრის არსებობის შესახებ**

**გ. წულეისკირი, ი. ბაციკაძე**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

**საქართველო)**

**რეზიუმე:** დეზარგის სივრცულ კონფიგურაციას ბევრი საინჟინერული კანონზომიერება ახასიათებს. მათგან ძირითადია ის, რომ მასი შემადგენელი ათივე წერტილიდან, რომელზედაც გადის სამი წრფე, თვითოვეული შეგვიძლია მივიჩნიოთ დეზარგის წერტილად ისე, რომ დანარჩენი ცხრიდან ეჭვი დეზარგის სამკუთხედებად გადაიქცევა, სამი კი – დეზარგის წრფედ. ასევე თავისუფლად შეგვიძლია კონფიგურაციის ნებისმიერი წრფე, რომელზედაც სამი წერტილია განლაგებული, მივიჩნიოთ დეზარგის წრფედ და დავაფიქსიროთ შესაბამისი დეზარგის სამკუთხედები და წერტილი. ანდა ნებისმიერი სამკუთხედი მივიჩნიოთ დეზარგის კონფიგურაციის ერთ-ერთ სამკუთხედად და მოვნახოთ მასი შესაბამისი სამკუთხედი, დეზარგის წერტილი და წრფე. ჩვენ შევამჩნიეთ დეზარგის სივრცულ კონფიგურაციაში შემდეგი კანონზომიერება: დეზარგის სივრცული კონფიგურაციის ნებისმიერი წერტილი შეიძლება იყოს მასი შემადგენელი ორი შესაბამისი ტეტრაედრის საერთო წერტილი. დანარჩენი სამი წერტილი კი ერთ წრფეზე იქნება განლაგებული. გარდა ამისა, ამ ტეტრაედრების დიაგონალური წერტილები (თვითოვეულს ასეთი აქვს სამი) შეიძლება მივიჩნიოთ დეზარგის სამკუთხედების წვეროებად. დეზარგის წერტილი შესაბამისად გამოიკვეთება, ხოლო დეზარგის წრფე დაემთხვევა ძირითადი კონფიგურაციის შესაბამის წრფეს.

**საკვანძო სიტყვები:** დეზარგის კონფიგურაცია, ტეტრაედრი, დიაგონალური წერტილი.

## **შესაგალი**

ცნობილია, რომ დეზარგის სივრცით კონფიგურაციას მმრავალი თავისებური კანონზომიერება ახასიათებს. ერთ-ერთი მათგანია – ისეთი წერტილის არსებობა,

რომელიც საერთოა განსაზღვრული, ამ კონფიგურაციაში შემავალი ორი ტეტრაედრისათვის. განვიხილოთ ამ კლასიკური გეომეტრიული ტანის დამახასიათებელი ზოგიერთი განსაზღვრება.

1. ტეტრაედრი („ტეტრა” – ოთხი და ბერძნული ჰედრა – წიბო). ერთ-ერთი წესიერი მრავალწახნაგთაგანი (ნახ. 1). წესიერი სამკუთხა პირამიდა. აქვს ოთხი წახნაგი (სამკუთხედები ABC, ABD, BCD და ACD), ექვსი წიბო (AB, AC, AD, BC, BD და CD) და ოთხი წვერო (A, B, C და D), რომლებმიც სამ-სამი წიბო იყრის თავს.
2. მრავალწახნაგას, რომელიც შედგება ოთხი წახნაგისაგან (ტოლგერდა სამკუთხედები), აქვს ოთხი წვერო და ექვსი წიბო, ეწოდება წესიერი ოთხწახნაგა, ანუ ტეტრაედრი.

## პირითადი ნაშილი

დავუბრუნდეთ დეზარგის სივრცით კონფიგურაციას (ნახ. 2).  $S$  – დეზარგის წერტილია,  $A_1B_1C_1$  და  $A_2B_2C_2$  – დეზარგის სამკუთხედები და  $s(A_0, B_0, C_0)$  – დეზარგის წრფე. თუ  $S$  წერტილს განვიხილავთ როგორც ორი ტეტრაედრის საერთო წერტილს, ეს ტეტრაედრები იქნება  $SA_1B_1C_1$  და  $SA_2B_2C_2$ . (ნახ. 3). ვადგენთ ტეტრაედრების წიბოების ხილვადობას  $\alpha$  და  $\beta$  სიბრტყეების უგულვლყოფით.  $s(A_0B_0C_0)$  წრფე იქნება დეზარგის წრფე. თუ ასეთ წერტილად მივიღებთ  $A_1$ -ს, შესაბამისი ტეტრაედრები იქნება  $A_1SB_1C_1$  და  $A_1A_2B_0C_0$ , დეზარგის წრფე კი იქნება  $s(A_0C_2B_2)$  (ნახ. 4).

$B_1$  წერტილისათვის –  $B_1A_0B_2C_0$  და  $B_1SA_1C_1$  (ნახ.5). დეზარგის წრფე  $s(A_2C_2B_0)$ ;

$C_1$  წერტილისათვის –  $C_1SA_1B_1$  და  $C_1A_0B_0C_2$  (ნახ.6). დეზარგის წრფე  $s(B_2A_2C_0)$ ;

$A_2$  წერტილისათვის –  $A_2A_1B_0C_0$  და  $A_2SB_0C_0$  (ნახ.7). დეზარგის წრფე  $s(A_0C_1B_1)$ ;


$B_2$  წერტილისათვის –  $B_2A_0B_1C_0$  და  $B_2SA_2C_2$  (ნახ.8). დეზარგის წრფე  $s(A_1C_1B_0)$ ;

$C_2$  წერტილისათვის –  $C_2SA_2B_2$  და  $C_2A_0B_0C_1$  (ნახ.9). დეზარგის წრფე  $s(B_1A_1C_0)$ ;


$A_0$  წერტილისათვის –  $A_0B_0C_1C_2$  და  $A_0B_1B_2C_0$  (ნახ.10). დეზარგის წრფე  $s(SA_2A_1)$ ;

$B_0$  წერტილისათვის –  $B_0A_1A_2C_0$  და  $B_0A_0C_1C_2$  (ნახ.11). დეზარგის წრფე  $s(SB_2B_1)$ ;


$C_0$  წერტილისათვის –  $C_0A_1A_2B_0$  და  $C_0A_0B_1B_2$  (ნახ.12). დეზარგის წრფე  $s(SC_2C_1)$ ;




6s b. 1




6s b. 2




6s b. 3









6s b. 4



6s b. 5



6s b. 6



6s b. 11

6s b. 12

## დასკვნა

ცნობილია, რომ დეზარგის სივრცითი კონფიგურაციის ყოველ წრფეზე განლაგებულია მხოლოდ სამი წერტილი. თუ ერთ-ერთ მათგანს მივიღებთ ორი ტეტრაედრის საერთო წერტილად, დანარჩენი ორი ვერ მიეკუთვნება ერთიდაიგივე ტეტრაედრს. ე.ი. ორი ტეტრაედრის საერთო წერტილზე გამავალ ყოველ წრფეზე (და ასეთი წრფე სამია) იძყოფება ანალოგიური მნიშვნელობის ორ-ორი წერტილი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება დაბეჯითებით დავასკვნათ, რომ დეზარგის სივრცით კონფიგურაციაში არსებობს საერთო წერტილის მქონე მხოლოდ ორი ტეტრაედრი.

თუ ამ ორი ტეტრაედრის საერთო წერტილს მივიღებთ დეზარგის წერტილად და ორივე ტეტრაედრის დანარჩენ წერტილებს – დეზარგის სამკუთხედებად, წრფე, რომელზეც განლაგებული იქნება დანარჩენი სამი წერტილი, იქნება დეზარგის წირი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Зетель С. И. Новая геометрия треугольника. Москва. Учпедгиз. 1992.
2. Выгодский М. Я. Справочник по высшей математике. Москва. «Наука». 1975.
3. Кокстер Г. С. Введение в геометрию. Москва. Учпедгиз. 1953.
4. Четверухин Н. Ф. Проективная геометрия. Москва. Учпедгиз. 1953.
5. Четверухин Н. Ф. Изображение фигур в курсе геометрии. Москва. «Просвещение». 1955.

## ОБ СУЩЕСТВОВАНИИ ИМЕЮЩИХ ОБЩИЕ ТОЧКИ ТЕТРАЭДРОВ В ДЕЗАРГОВОЙ ПРОСТРАНСТВЕННОЙ КОНФИГУРАЦИИ

Г. Іулейскири, И. Бацикадзе

### Резюме

Дезаргово пространственная конфигурация характеризуется множеством интересных закономерностей. Из них главное состоит в том, чтобы из составляющих его десяти точек, Через которые проходят три прямые линии, каждую из них можем рассматривать как

дезарговую точку так, чтобы из девяти оставшиеся шесть превращаются в дезарговые треугольники, а три – в дезарговвие прямые. Мы также свободноможем рассматривать любую прямую конфигурации, на которой расположены три точки, рассматривать как дезарговые прямые зафиксировать соответствующие дезарговые треугольники и точки. Или рассматривать любой треугольник конфигурации как один из треугольников и найти соответствующий ему треугольник, дезарговую точку и прямую. Мы заметим в дезарговой пространственной конфигурации следующие закономерности: любая точка дезарговой пространственной конфигурации может быть общей точкой составляющих его двух тетраэдров. Остальные три точки будут расположены на одной прямой. Кроме того, диагональные точки этих тетраэдров (каждая имеет три точки) можно рассматривать как вершины дезарговых треугольников. Соответственно, дезарговая точки выделится, а дезарговая прямая будет совпадать с соответствующей прямой базовой конфигурации.

## **ON EXISTENCE OF HAVING COMMON POINTS TWO TETRAHEDRONS IN DESARGUESIAN SPATIAL CONFIGURATION**

**G. Tsuleiskiri, I. Batsikadze**

### **Abstract**

The Desarguesian configuration space is characterized by many interesting regularities. The main of them is that consisting its ten point, on that is passed is three straight lines, each would be considered as Desarguesian point so that from the remaining nine, six would be transformed into Desarguesian triangles and three ones – as Desarguesian straight lines. Also we easily can consider any straight of configuration, on which is located three points, as Desarguesian straight line and to fix according Desarguesian triangles and points. Or consider arbitrary triangle of as one of the Desarguesian configuration triangles and find its corresponding triangle, Desarguesian point and straight line. We noticed in the Desarguesian spatial configuration the following regularities: arbitrary point of Desarguesian spatial configuration would be common point of consisting it two according tetrahedrons. The remaining three points will be located on one straight line. In addition, the diagonal points of these tetrahedrons (each will have three such points) would be considered as vertexes of Desarguesian triangles. The Desarguesian point accordingly would be outlined as corresponding straight line of basic configuration.

**სფერულგრაფიტიანი თუჯის საპონსტო უქცევის სიმაღლის  
გაზრდა შედგენილობისა და თერმული  
დამუშავების სრულყოფით**

ვ. კოპალეიშვილი, ი. ქაშაკაშვილი, ლ. კერესელიძე, ნ. წილაშვილი,  
ო. ბარბაქაძე, მ. ბარათაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. 77, ქ. თბილისი 0175)

**რეზიუმე:** გაკეთებულია თუჯების (DI) თერმული დამუშავებისას არსებული როცელი პროცესების ანალიზი და შემუშავებულია ამ პროცესების ამოცანების ამოხსნის გზები. თუჯის ფუძის ყველანაირი მიახლოება საშუალონახშირბადიან ბეინიტური კლასის ფოლადებთან საშუალებას იძლევა ბეინიტური თუჯების წარმოებისას გამოვიყენოთ მრავალი ცნობილი შედეგი (მაგალითად, ბეინიტური კლასის ფოლადებზე –  $36\Gamma 2CM$ ,  $40\Gamma CMP$ ,  $40\Gamma CM\Phi^{(1)}$ ,  $40\Gamma CM\Phi^{(2)}$ ,  $45\Gamma CM\Phi$ ,  $40\Gamma M\Phi - 400^{\circ}C$ -ზე იზოთერმული წრთობის შედეგები:  $\sigma_B=1250-1550\text{N/mm}^2$ ;  $\sigma_R=1060-1290\text{N/mm}^2$ ;  $\delta_5=11-16\%$ ;  $\Psi=31,5-58\%$ ;  $HRC=37-43$ ), რაც ადვილებს როგორც სიმტკიცის მაღალი მაჩვენებლების მიღებას, ასევე, ამოხსნადი ხდება საჭირო დონის პლასტიკურობის მახასიათებლების მიღწევაც. ამისათვის საჭიროა (ADI-ის შემთხვევაში განსაკუთრებით) სილიციუმის რაოდენობის შემცირება  $1,0\%-მდე$  ( $Fe+1,0\% Si$  განაპირობებს  $A_1 \equiv 200\text{K}/\text{N}^2$ ) და ახალი, დამატებითი გრაფიტიზატორების გამოყენება ( $Al+SiCa$ ). ასევე მიზანშეწონილია, რომ გრაფიტის სფერული ფორმის მიღება განხორციელდეს ფულერუნული იდეოლოგიის გამოყენებით. საკვანძო სიტყვები: სფერულგრაფიტიანი თუჯი, წრთობა ბეინიტზე, საკონსტრუქციო სიმტკიცის გაზრდა, საშუალონახშირბადიანი ბეინიტური კლასის ფოლადებზე მიღებული შედეგების გამოყენება ბეინიტური თუჯების წარმოებისას, სილიციუმის რაოდენობის შემცირება და ახალი გრაფიტიზატორების შემოტანა.

### შესავალი

კაცობრიობის განვითარების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ლითონურ მასალებთან, კერძოდ – შენადნობებთან რკინის ფუძეზე – ფოლადებთან და თუჯებთან. მათი წარმოების ტემპი მიუთითებს იმაზე, რომ რკინის შენადნობები პირველობას სტაბილურად ინარჩუნებენ . განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი იყო რუხი თუჯის მიღება, ცოტა მოგვიანებით (XX საუკუნის 50-იანი წლები), რუხი თუჯის მოდიფიცირებით, მაღალი სიმტკიცის რუხი თუჯის მიღება. ჩამოსხმით მიღებული ნაკეთობების მექანიკური თვისებების მახასიათებლების გაუმჯობესება, ძირითადად განპირობებული იყო გრაფიტული ჩანართების

ფორმის შეცვლით, თუ გრაფიტულ ჩანართებს ჩავთვლით სიცარიელეებლად (დეფექტებად), მაშინ გრაფიტის ფირფიტოვანი ფორმის შეცვლა სფეროსმაგვარით უფრო ნაკლებად აზიანებდა ნაკეთობის თვისებებს. თუკას გაეზარდა სიმტკიცე და გაუჩნდა გარკვეული დონის პლასტიკურობის მახასიათებლები. ამან კი არსებულთან (ცივად ჭრით დამუშავების სიადვილე, ცვეთამედევობა, ვიბრაციების ჩახშობის კარგი უნარი და სხვა) ერთად განაპირობა მისი (ВЧ – Высокопрочный чугун, DI – Ductile Iron – პლასტიკური თუკა) ფართომასშტაბით გამოყენება მანქანათმშერნებლობაში და სხვა დარგებში. XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო არენაზე გამოდის, ე.წ. „TRIP-ფოლადები“ (TRIP – Transformation-Induced Plasticity), საიდანაც საფუძველი ეყრება პლასტიკურობის გაზრდას, განპირობებულს ფაზური გარდაქმნებით. სტუ-ის „მასალათა თვისებების ლაბორატორიამ“ (ჯერ სექტორმა) ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო XX საუკუნის 70-იან წლებიდან. წარმატებულად შეისწავლებოდა და ახლაც ინტენსიურად შეისწავლება TRIP-პროცესები, როგორც საშუალონახშირბადიან, ასევე, მცირენახშირბადიან და სხვა ტიპის ბეინიტური კლასის ფოლადებში. მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: ორ ფოლადი (40ГСМФ და 40ГМФ – საავტორო მოწმობები №1208090 და №1362058 შესაბამისად) ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მხოლოდ სილიციუმის შეცველობით (40ГСМФ-ში Si=0,50-1,00%, 40ГМФ-ში კი – Si=0,25-0,40%). სილიციუმის შედარებით მაღალი დონე პირველ ფოლადში, სხვა ეფექტებთან ერთად, განაპირობებდა ნარჩენი აუსტენიტის გაზრდილ რაოდენობას ( $\gamma \geq 10\%$ ), რომელიც „გაახალგაზრდავების“ შემდეგ ხელს უწყობდა მექანიკური თვისებების მახასიათებლების (განსაკუთრებით პლასტიკურობის) გაუმჯობესებას. ნაჩვენები იყო, ასევე, რომ სილიციუმის რაოდენობის გაზრდით მატულობდა ნარჩენი აუსტენიტის ( $\gamma$ ) რაოდენობა. ჩვენს მიერ გამოთქმული იქნა ჰიბრიდული არსებობის შესახებ რუხ თუჯებში, განსაკუთრებით „DI“-ში, რაც დადასტურდა გასული საუკუნის 80-90-იანი წლებში მსოფლიო მასშტაბით (მათ რიცხვში „მთლ“) ჩატარებული ექსპერიმენტებით. იზოთერმული წრთობის დროს ბეინიტე, სტრუქტურაში ბეინიტთან ერთად მიიღებოდა ნარჩენი აუსტენიტის გაზრდილი რაოდენობა. საკუთარი და არსებული ექსპერიმენტული შედეგების სისტემატურმა ანალიზმა მიგვიყვანა შემდეგ მეცნიერულ ჰიბრიდულ განვითარებულ ტექნიკაში [1-6]: დასაბუთებულია, რომ რკინაში და ბეინიტური კლასის Fe-C შენადნობებში არსებობს „სილიციუმის ზღურბლი“ (Si $>0,50\%$ ).

ამ ჰიბრიდული არა მარტო ახლებურად იხსნებოდა მრავალი არსებული პროცესი (გრაფიტიზაციის, შედუღება-დადუღების, ფლოკენების წარმოქმნის, ტემპერატურული გამყიფების, მაღალი სიმტკიცის მიღების და სხვა), არამედ შეიქმნა პირობები ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებისათვის (მაგალითად „წყალბადის დამაგროვებელი შენადნობები რკინის ფუძეზე“ [7]). მოვიყვანთ მხოლოდ ორ მაგალითს, დაკავშირებულს ბეინიტურ თუჯებთან:

1) გრაფიტიზაციის პროცესის ახლებური წარმოდგენა; 2) სიმტკიცის გაზრდის ახლებური გზები.

1) არსებული, დონორ-აქცეპტორული თეორია გარკვეულ დონემდე კარგად ხსნის გრაფიტიზაციის პროცესს. სილიციუმი თავისი  $3S^1P^3$  ელექტრონებოთ უფრო კარგად „ახშობს“ რკინის ატომების აქტიურობას  $3d^{6(10)}$ -ქვეშრეზე, ვიდრე ნახშირბადი თავისი  $2S^1P^3$  ელექტრონებით. სხვანაირად, სილიციუმის დონორული უნარი გაცილებით აღემატება ნახშირბადისას. იმისათვის, რომ ეს პროცესი წავიდეს სრულად, დიდი რაოდენობითაა საჭირო სილიციუმი, რაც გამოიწვევდა ნახშირბადის მთლიან „გამოთავისუფლებას“ რკინასთან არსებულ კავშირებისაგან. მაურერის სტრუქტურული დიაგრამის მიხედვით კი, სრულ გრაფიტიზაციას სჭირდება 7% Si, როდესაც  $C=1,0\%$ , ხოლო 3,5% ნახშირბადის შემცველობისას ფერიტული ფუძის მისაღებად საკმარისია 2,0% Si [8]. იმავე მიდგომით, ალუმინის თავისი  $3S^1P^2$  ელექტრონებით არ შეუძლია რკინის  $3d^{6(10)}$ -ქვეშრეზე არსებული აქტიური სპინების სრული „ჩახშობა“, მაგრამ ის კარგი გრაფიტიზატორია. ჩვენი მეცნიერული ჰიპოთეზით ძირითადია მალეგირებელი ელემენტების გავლენით – შეკუმშვით ( $\Delta_1=2,48\text{\AA}_{\text{Fe}}-2,35\text{\AA}_{\text{Si}}=0,13\text{\AA}$ ) ან გაფართოებით ( $\Delta_2=2,48\text{\AA}_{\text{Fe}}-2,86\text{\AA}_{\text{Al}}=-0,38\text{\AA}$ ) რკინის ატომების ისეთი დაახლოება, რომ სისტემატურად წარმოიქმნეს კოვალენტური ბუნების მაკავშირებელი ძალები. რკინა პასიური ხდება, თავისუფალი ნახშირბადი წარმოქმნის გრაფიტს. ზემოთ აღნიშნულის დამადასტურებელია, აგრეთვე, სილიციუმისა და ალუმინის გავლენა რკინაზე. როდესაც სილიციუმის შემცველობაა 2,3%, ხოლო ალუმინისა კი – 1,5%, რკინა კარგავს ფაზური გარდაქმნის უნარს – ალოტროპიზმს ( $L \rightarrow \delta \rightarrow \gamma \rightarrow \beta \rightarrow \alpha$  გარდაქმნას ცვლის  $L \rightarrow \delta \rightarrow \delta_f$ ). ახალი წარმოდგენებით ასევე კარგად იხსნება ნორბურის პოსტულატი [9]: გრაფიტიზაციის პროცესი ჩქარდება მით მეტად, რაც უფრო დიდია სწავლა მალეგირებელი ელემენტებისა და რკინის ატომების ზომებს შორის.

2) ჩვენი მეცნიერული ჰიპოთეზა კარგად ხსნის ბეინიტური გარდაქმნის, ბეინიტური კლასის შენადნობების (როგორც ფოლადების, ასევე, თუკების) ფართო მასშტაბით გამოყენებას. რკინის თანდათანობითი გადაყვანა პასიურ მდგომარეობაში ( $Si \geq 0,50\%$ ) აადვილებს ნახშირბადის გამოთავისუფლებას, რაც თავის მხრივ (შუალედური გარდაქმნის დროს) ხელს უწყობს და აადვილებს მის გადანაწილებას, ნახშირბადით ღარიბი და მდიდარი უბნების წარმოქმნის დროს. ნახშირბადით ღარიბი აუსტენიტის უბნები მარტენიტული მექანიზმით გარდაიქმნება გარკვეულად გადაჯერებულ ფერიტად. ნახშირბადით მდიდარი უბნებიდან (Fe-C შენადნობებში) ჯერ გამოიყოფა კარბიდები, ხოლო შემდეგ კი უდიფუზიო რეაქციით მიმდინარეობს  $\gamma \rightarrow \alpha$  გარდაქმნა. სილიციუმის გაზრდილი რაოდენობის დროს ( $Si=0,50-2,5\%$ ), წყალბადთან ერთად, ნახშირბადით მდიდარი აუსტენიტის უბნების გარკვეული ნაწილი (მით მეტი, რაც უფრო მაღალია სილიციუმის შემცველობა) გარდაუქმნელი რჩება, მიიღება ნარჩენი აუსტენიტი  $\gamma_f=10-50\%$ . ბეინიტური გარდაქმნის შედეგად ადვილად მიიღება სიმტკიცის მაღალი მაჩვენებლები, ხოლო საჭირო დონის პლასტიკურობის მახასიათებლები მიიღება TRIP-ეფექტების

რეალიზაციით  $\gamma_r + P_{\text{ძალა}} \rightarrow \alpha$  გარდაქმნის დროს. სხვანაირად, ჯამურად რეალიზდება მაღალი სიმტკიცე შეხამებული „ხელოვნურად“ მიღებულ პლასტიკურობასთან. ახალმა მიღომამ შეცვალა და იმავდროულად გაამარტივა საკონსტრუქციო სიმტკიცის გაზრდის გზა, რაც წარმატებით არის რეალიზებული Fe-C-Si შენადნობებში, განსაკუთრებით – ფოლადებში. რაც შეეხება თუკებს, ღარიბი უბნების ა-ად გარდაქმნის ბოლოს არსებობს მცირე პაუზა, ე. წ. „ფანჯარა“<sup>1</sup>, როცა შეიძლება გარკვეულად შეუშალო ხელი მდიდარ უბნებში შესაძლებელ არასასურველ გარდაქმნებს. ეს კი ხელმისაწვდომი გახდება მაშინ, როცა ოპტიმიზაციის საკითხების გადაწყვეტაში მეცნიერული მიღომა იქნება დომინანტი.

ბეინიტური თუჯი შეიძლება მიღებული იქნეს მაღალი სიმტკიცის თუჯის იზოთერმული წროობით ბეინიტზე (ADI – Austempered Ductile Iron) და ბეინიტური კლასის თუჯისაგან, მაგალითად, 350C2H2ДМФТ. რა თქმა უნდა, ჩვენი ამოცანების გადასაწყვეტად გამოყენებული იქნება ორივე თუჯისაგან დამზადებული ნაკეთობები, მაგრამ „მთლ-ში“ დაგროვილი მონაცემებით, ბეინიტური კლასის შენადნობები უფრო სტაბილურად ინარჩუნებენ სტრუქტურასა და თვისებებს საწარმოო პირობებში, ვიდრე სხვა კლასის შენადნობები.

ზოგადად შევნიშნავთ, რომ ჩვენი მიღომის გამოყენება შესაძლებელი იქნება ორივე მიმართულების შემთხვევაში. რაც უფრო ახლოს იქნება ფოლადის ქიმიური შედგენილობა თუჯის ფუძესთან, მით უფრო შედეგიანად იქნება (ყველა ასპექტში) გამოყენებული საშუალონახშირბადიან ბეინიტური კლასის ფოლადებზე ( $Si \geq 0,50\%$ ) არსებული მონაცემები.

## საკვლევი მასალა და მეთოდიკა

წარმოდგენილ ნაშრომში ძირითადად გამახვილებულია ყურადღება იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას საშუალონახშირბადიან ბეინიტური კლასის ფოლადებზე მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნეს ბეინიტური თუჯების ოპტიმიზაციის საკითხების გადასაწყვეტად, ძირითადად, შენადნობების ქიმიური შედგენილობისა და მათი თერმული დამუშავების რეჟიმების სრულყოფით. ყველაფერი ეს გაადვილებს, ე. წ. თერმული დამუშავების „ფანჯარის“ პოვნას.

კვლევის ობიექტად გამოყენებული გვქონდა ბეინიტური კლასის საშუალონახშირბადიანი, საწარმოო პირობებში (რმქ) გამოდნობილი ფოლადები: 36Г2СМ, 40ГСМР, 40ГСМФ,

<sup>1</sup> პერიოდი, როცა შუალედური გარდაქმნის დროს წარმოქმნილი ბეინიტური ფერიტის რაოდენობა მიაღწევს მაქსიმუმს, რომელსაც მოსდევს კარბიდების გამოყოფის დაწყება ნახშირბადით მდიდარ აუსტენიტის უბნებიდან, ცნობილია თერმული დამუშავების „ფანჯარის“ სახელწოდებით [10].


40ГСМФ<sup>(1)</sup>, 40ГСМФ<sup>(2)</sup>, 45ГСМФ, 40ГМФ. მზა პროდუქციიდან (უნაკერო მიღები, სორტული ნაგლინი) ჩამოჭრილი ნიმუშები (ზოლები) გამოყენებული იყო კომპლექსური კვლევების ჩასატარებლად. კერძოდ, აუსტენიტის დაშლის კინეტიკური დიაგრამების ასაგებად გამოყენებული იყო მაგნიტომეტრული, თერმომაგნიტომეტრული, თერმული, სტრუქტურული და ანალიზის სხვა მეთოდები. გარდა ამისა, აღებულ რეჟიმზე მზადდებოდა საკვლევი ნიმუშები, მინიმუმ სამი პარალელური ექსპერიმენტის ჩასატარებლად. მიღებული მონაცემებით ვაგებდით აუსტენიტის დაშლის კინეტიკურ დიაგრამებს (ამ შემთხვევაში იზოთერმულს), რომლებზეც მოტანილია ფოლადის ქიმიური შედგენილობა, კრიტიკული წერტილები და იზოთერმების მიხედვით სტრუქტურული და მექანიკური თვისებების მახასიათებლების ( $\sigma_B$ ,  $\sigma_d$ ,  $\delta_5$ ,  $\Psi$ , HRC) ცვლილებები. ისე, რომ სახეზეა მახასიათებლების სტრატეგიული სურათი: ქიმიური შედგენილობა და დამუშავება განაპირობებს სტრუქტურას (ფართო გაგებით), ეს უკანასკნელი კი – თვისებებს. გარდა აღნიშნულისა, მიღებული შედეგები, ოპტიმიზაციის საკითხების გასაადვილებლად, ჩვენს მიერ წარმოდგენილია ახლებურად (ნაჩვენები იქნა, რომ მექანიკური თვისებების მახასიათებლები გაცილებით უფრო მგრძნობიარეა ფაზური გარდაქმნების მიმართ, ვიდრე კვლევის სხვა მეთოდების გამოყენებით დაფიქსირებული შედეგები). დიაგრამაზე მოცემულია მექანიკური თვისებების მახასიათებლების ცვლილება იზოთერმული წრთობის ტემპერატურის მიხედვით, ხოლო სხვა საჭირო მონაცემები მოცემულია ცხრილების სახით.

### ექსპერიმენტის შედეგები და მათი განხილვა



საშუალო ნახშირბადიან, მცირედ ლეგირებულ ფოლადებზე 36Г2СМ, 40ГСМР, 40ГСМФ, 40ГСМФ<sup>(1)</sup>, 40ГСМФ<sup>(2)</sup>, 45ГСМФ, 40ГМФ. ჩატარებული კვლევების შედეგები მოყვანილია სურათებზე 1<sup>a,b</sup>-6<sup>a,b</sup> და ცხრილების სახით (1, 2, 3<sup>a,b</sup>). აუსტენიტის დაშლის იზოთერმულ დიაგრამებზე ინდექსით „ა“ მოცემულია, ტრადიციულის გარდა, მიკროანალიზისა და მექანიკური გამოცდების შედეგები. დიაგრამაზე ინდექსით „ბ“ მოყვანილია იზოთერმულ ტემპერატურებზე აუსტენიტის  $\gamma \rightarrow \alpha$  გარდაქმნის, მექანიკური თვისებების მახასიათებლების (ზედაზე – სისალე HRC და სიმტკიცის მაჩვენებლები –  $\sigma_B$ ,  $\sigma_d$ , ქვედაზე – პლასტიკურობის მახასიათებლები –  $\delta_5$ ,  $\Psi$ ) ცვლილება, ხოლო კრიტიკული წერტილები, შენადნობის ქიმიური შედგენილობა და იზოთერმული გარდაქმნის კინეტიკის მონაცემები (გარდაქმნის დასაწყისი, დასასრული, ხანგრძლივობა) მოცემულია ცხრილების სახით. დასაწყისშივე შევნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ დიაგრამებზე (როგორც „ა“, ასევე „ბ“) არსებული მონაცემები დიდად განსხვავდება ტრადიციულ

ლებისაგან მაშინაც კი, როცა ცალ-ცალკე დიაგრამაზე მოცემულია ფოლადების შეწრთობადობა, თერმული დამუშავების და გაუმჯობესების შედეგები. იქვეა ანიზო- და იზო- დიაგრამები, კრიტიკულ (ჩატარებულ) რეჟიმებზე მიღებული სისალის მონაცემებით [11].

სურათებზე 1<sup>ა.ბ</sup>–6<sup>ა.ბ</sup> მოყვანილი მონაცემების გამოყენებით ცხრილში 1 წარმოდგენილია იზოთერმული წრთობის ( $450, 400, 350^{\circ}\text{C}$ ) შედეგები ბენზიტური კლასის ფოლადებზე 36Г2СМ, 40ГСМР, 40ГСМФ<sup>(1)</sup>, 40ГСМФ<sup>(2)</sup>, 45ГСМФ, 40ГМФ, ხოლო ცხრილში 2 მოცემულია ფოლადების თვისებების მახასიათებლების ცვლილებები  $400^{\circ}\text{C}$ -ზე იზოთერმული წრთობის შემდეგ. მაჩვენებლები იცვლება შემდეგ დიაპაზონებში: სიმტკიცის ზღვარი –  $\sigma_B=1250\text{--}1550\text{ N/mm}^2$ ; დენადობის ზღვარი –  $\sigma_d=1060\text{--}1290\text{ N/mm}^2$ ; ფარდობითი წაგრძელება –  $\delta_5=11\text{--}16\%$ , ყელის ფარდობითი შევიწროება –  $\Psi=31,5\text{--}58\%$ , მაკროსისალე – HRC=37-43, რაც განპირობებულია კომპოზიციების (ფოლადების) ქიმიური შედგენილობების ცვლილებით – განსხვავებით. თუ დავუშვებთ, რომ ამ მონაცემების გადატანა შეიძლება თუკებზე, ეს ალბათ საოცნებოა!




სურ. 1. ფოლიდ 36Г2СМ-ის აუსტენიტის აზოთურმული დაშლის კინეტიკური დაგრადა  
მიკროსტრუქტურებითა და მექანიკურ თვისებათა მაჩვენებლებით





გარდაქმნის ტემპერატურა, °C	350	400	450	500	550	600	650	700
გარდაქმნის დასაწყისი, წმ	13	9	10	24	150	∞	4000	10 000
გარდაქმნის დასასრული, წმ	330	270	250	500	3000	∞	22 000	∞
გარდაქმნის ხანგრძლივობა, წმ	317	271	240	476	2850	∞	18 000	∞

სურ. 1<sup>o</sup>. აუსტენიტის იზოთერმული დაშლის ტემპერატურის გავლენა 36Mn2SiMo ტიპის ფოლადის გარდაქმნის კინეტიკასა და მექანიკურ თვისებებზე




სურ. 2<sup>o</sup>. ფოლად 40 ГСМР-ის აუსტენიტის იზოთერმული დაშლის კონტიკური დიაგრამა  
მიკროსტრუქტურებითა და მექანიკურ თვისტებით მაჩვენებლებით





გარდაქმნის ტემპერატურა, °C	350	400	450	500	550	600	650	700
გარდაქმნის დასაწყისი, წმ	7,5	6,5	8,5	25	120	550	280	2000
გარდაქმნის დასასრული, წმ	240	210	280	600	2000	3500	1200	16 000
გარდაქმნის ხანგრძლივობა, წმ	236,5	203,5	271,5	575	1880	2950	920	14 000

სურ. 2<sup>δ</sup>. აუსტენიტის იზოთერმული დაშლის ტემპერატურის გავლენა 40MnSiMoB ტიპის ფოლადის გარდაქმნის კინეტიკასა და მექანიკურ თვისებებზე




სურ. 3. ფოლად  $40\Gamma CM\Phi^{(1)}$ -ის აუსტენიტის იზოთერმული დაშლის კონტინუალი დაგურამა მიკროსტრუქტურული მინიჭრითა და მექანიურ თვისტებათა მაჩვინეობით





გარდაქმნის ტემპერატურა, °C	350	400	450	500	550	600	650	700
გარდაქმნის დასაწყისი, წმ	17	12	8,5	28	20	550	215	350
გარდაქმნის დასასრული, წმ	200	165	150	230	10 000	1700	1150	2000
გარდაქმნის სანგრძლივობა, წმ	183	153	141,5	202	10 000	1150	935	1650

სურ. 3<sup>б</sup>. აუსტენიტის იზოთერმული დაშლის ტემპერატურის გავლენა 40MnSiMoV ტიპის ფოლადის გარდაქმნის კინეტიკასა და მექანიკურ თვისებებზე




სურ. 4<sup>o</sup>. ფოლად 40ГМФ<sup>(2)</sup>-ის აუსტენიტის იზოთერმული დაშლის კინტიგური დიაგრამა  
მიკროსტრუქტურგანთა და მექანიკურ თვისტათა მაჩვენებლებთ





გარდაქმნის ტემპერატურა, °C	300	350	400	450	500	550	600	625	650	675
გარდაქმნის დასაწყისი, წმ	30	25	25	20	12	18	600	300	200	180
გარდაქმნის დასასრული, წმ	230	200	180	150	155	1000	3000	2000	1100	1150
გარდაქმნის ხანგრძლივობა, წმ	200	175	155	130	143	982	2400	1700	900	970

სურ. 48. აუსტენიტის იზოთერმული დაშლის ტემპერატურის გავლენა 45MnSiMoV ტიპის ფოლადის გარდაქმნის კინეტიკასა და მექანიკურ თვისებებზე




სურ. 5<sup>o</sup>. ფოლად 45 ГСМФ-ის აუსტენიტის იზოთერმული დაშლის კინეტიკური დაგრამა მიყროსტრუქტურებითა და მექანიკურ თვისტებათა მაჩვენებლებით





გარდაქმნის ტემპერატურა, °C	350	400	450	500	550	600	650
გარდაქმნის დასაწყისი, წმ	50	48	65	180	∞	∞	650
გარდაქმნის დასასრული, წმ	420	370	500	10 000	∞	∞	1600
გარდაქმნის ხანგრძლივობა, წმ	370	312	435	10 000	∞	∞	950

სურ. 5<sup>δ</sup>. აუსტენიტის იზოთერმული დაშლის ტემპერატურის გავლენა 50MnSiMoV ტიპის ფოლადის გარდაქმნის კინეტიკასა და მექანიკურ თვისებებზე



სურ. 4<sup>o</sup>. ფოლად 40ГМФ-ის აუსტენიტის იზოთერმული დაშლის კინეტიკური დიაგრამა  
მიკროსტრუქტურებითა და მუქანიკურ თვისებითა მჩვენებლებით



გარდაქმნის ტემპერატურა, °C	350	400	450	500	550	600	650	700
გარდაქმნის დასაწყისი, წბ	17	14	10	8	15	10 000	200	250
გარდაქმნის დასასრული, წბ	220	155	120	110	200	∞	750	2000
გარდაქმნის ხანგრძლივობა, წბ	203	141	110	102	185	∞	550	1750

სურ. 6<sup>3</sup>. აუსტენიტის იზოთერმული დაშლის ტემპერატურის გავლენა 40MnMoV ტიპის ფოლადის გარდაქმნის კინეტიკასა და მექანიკურ თვისებებზე

ცხრილი 1.  $1000^{\circ}\text{C}$  ტემპერატურიდან იზოთერმულად ნაწრთობი ბენზიტური კლასის საშუალონახშირბადიანი 36Г2СМ, 40ГСМР, 40ГСМФ<sup>(1)</sup>, 40ГСМФ<sup>(2)</sup>, 45ГСМФ, 40ГМФ ფოლადების მექანიკურ თვისებათა მახასიათებლები

№	საკვლევი ფოლადის მარკა და ქიმიური შედგენილობა მასურ %-ებში	წრთობის ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$	მექანიკურ თვისებათა მახასიათებლები				
			$\sigma_B$ , $\text{N/mm}^2$	$\sigma_{\text{F}}$ , $\text{N/mm}^2$	$\delta_5$ , %	$\Psi$ , %	HRC
1.	36Г2СМ C=0,33; Si=0,54; Mn=1,44; Mo=0,39.	450	1060	890	17,5	54	31
		400	1300	1145	16	58	37
		350	1680	1340	13,5	49	45
2.	40ГСМФ C=0,43; Si=0,53; Mn=1,25; Mo=0,20; B=0,02.	450	1140	840	14	35	34
		400	1250	1060	12	42	38
		350	1670	1360	10	38,5	46
3.	40ГСМФ <sup>(1)</sup> C=0,40; Si=0,50; Mn=0,97; Mo=0,22; V=0,07.	450	1060	750	16	45	33
		400	1320	1150	14	50	38
		350	1680	1430	12	47	44
4.	40ГСМФ <sup>(2)</sup> C=0,44; Si=0,50; Mn=0,94; Mo=0,25; V=0,07.	450	1150	890	15	45	36
		400	1450	1220	13	43	41
		350	1720	1400	11,5	35	48
5.	45ГСМФ C=0,45; Si=0,56; Mn=1,29; Mo=0,22; V=0,07.	450	1320	920	4	7,5	37
		400	1550	1290	11	31,5	41
		350	1815	1460	13,5	42	47
6.	40ГСМФ C=0,41; Si=0,35; Mn=0,97; Mo=0,24; V=0,04.	450	1100	860	14,5	57	36
		400	1360	1170	13	54	43
		350	1670	1400	12	48	47

ცხრილი 2.  $400^{\circ}\text{C}$ -ზე იზოთერმულად ნაწრთობი 36Г2СМ, 40ГСМР, 40ГСМФ<sup>(1)</sup>, 40ГСМФ<sup>(2)</sup>, 45ГСМФ, 40ГМФ ფოლადების მექანიკურ თვისებათა მახასიათებლები

№№	საკვლევი ფოლადი	მექანიკური თვისებების მახასიათებლები				
		$\sigma_B$ , $\text{N/mm}^2$	$\sigma_{\text{F}}$ , $\text{N/mm}^2$	$\delta_5$ , %	$\Psi$ , %	HRC
1.	36Г2СМ	1300	1145	16	58	37
2.	40ГСМР	1250	1060	12	42	38
3.	40ГСМФ <sup>(1)</sup>	1320	1150	14	50	38
4.	40ГСМФ <sup>(2)</sup>	1450	1220	13	43	41
5.	45ГСМФ	1550	1290	11	31,5	41
6.	40ГМФ	1360	1170	13	54	43

რეალურად სტრუქტურათა ფორმირებაში თავის ცვლილებებს შეიტანს: 1) სილიციუმის გაზრდილი რაოდენობა,  $\text{Si}=1-3\%$ ; 2) გრაფიტის მორფოლოგია, ფორმა და რაოდენობა, თუ მოცულობის რა ნაწილს დაიკავებს გრაფიტის სფერული ფორმის ჩანართები და როგორი იქნება მათი ჯამური გავლენა თვისებებზე. ყურადსალბია აგრეთვე, ძირითადად ფოლადებზე ჩამოყალიბებული ჩვენი კონცეფცია: მყარი ხსნარის ლეგირების ხასიათი (ფოლადის ქიმიური

შედგენილობა) და აგებულება – სტრუქტურული მოწესრიგება (განპირობებული თერმული დამუშავებით) ძირითადად განსაზღვრავენ სიმტკიცის ზღვრის დონეს, ხოლო მარცვლის სიდიდე, დისპერსულობა, მეორადი ფაზების ბუნება და სხვა ფაქტორები უფრო მეტ გავლენას ახდენენ დენადობის ზღვარზე. აღნიშნული კონცეფციით ბეინიტურ თუჯებზე, საერთოდ არ უნდა გაჭირდეს ფოლადებთან მიახლოებული სიმტკიცის მაჩვენებლების მიღება. რაც შეეხება პლასტიკურობის მახასიათებლებსა (δ<sub>5</sub>, Ψ) და მექანიკური თვისებების სხვა მაჩვენებლებს: დარტყმით სიბლანტეს –  $a_1$ , მდგრელებით –  $a_{\beta}+a_{\delta}$ ; ბზარმედევობას J<sub>IC</sub>, ფოლადების 40ГСМФ, 40ГМФ მაგალითზე, არ უნდა იყოს პრობლემატური (ცხრილი 3<sup>ა, ბ</sup>).

ცხრილი 3<sup>ა</sup>. 40ГСМФ და 40ГМФ ფოლადების საწარმოო ნადნობების ქიმიური შედგენილობები

ფოლადები	ქიმიური ელემენტების შემცველობა მასურ პროცენტებში						
	C	Si	Mn	S	P	Mo	V
40ГСМФ	0, 40	0, 52	0, 97	0, 035	0, 017	0, 22	0, 07
40ГМФ	0, 36	0, 43	0, 96	0. 029	0, 020	0, 27	0, 07

ცხრილი 3<sup>ბ</sup>. საწარმოო პირობებში გამოდნობილი 40ГСМФ და 40ГМФ ფოლადების მექანიკური თვისებების მახასიათებლები 900°C-ზე ნორმალიზაციისა და 600°C-ზე მოშვების შემდეგ

ფოლადები	მექანიკური თვისებების მახასიათებლები					
	$\sigma_{\text{ლ}}, \text{Н/мм}^2$	$\sigma_{\text{B}}, \text{Н/мм}^2$	$\delta_5, \%$	$\Psi, \%$	$a_1=a_{\beta}+a_{\delta}$	J <sub>IC</sub>
40ГСМФ	750	950	23	60	230=80+150	140
40ГМФ	730	910	23	56	150=60+90	114

3<sup>ა, ბ</sup> ცხრილების მონაცემებით ორივე შემთხვევაში სახეზეა მაღალი საკონსტრუქციო სიმტკიცის მაჩვენებლები, მაგრამ უპირატესობა Si $\geq 0,52\%$  ფოლადის მხარესაა. როგორც გვქონდა აღნიშნული, სილიციუმი „ზღურბლის“ ზემოთ (Si $\geq 0,50\%$ ) აადვილებს ნახშირბადის გადანაწილებას, ე. ი. ბეინიტური გარდაქმნის პროცესს, რომელიც უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს. საბოლოოდ, ყველა დამუშავების შემდეგ სრტუქტურა (ფართო გაგებით) უფრო ერთგვაროვანია ვიდრე, როცა Si=0,43% (ანდა, როცა Si<0,50%-ზე!).

ბეინიტური კლასის ფოლადებზე მოყვანილი ანალიზის მიხედვით, ბეინიტურ თუჯებში

საჭირო საკონსტრუქციო სიმტკიცის მისაღებად, პრობლემური საკითხები არ უნდა არსებობდეს ან მათ პრობლემური ხასიათი არ უნდა ჰქონდეთ. რეალურად, ბეინიტურ თუჯებში ამ კუთხით არსებული გადასაწყვეტი პრობლემური ამოცანა ასე წარმოგვიდგება. სილიციუმის შემცველობისას  $Si=0,5\text{--}3,0\%$ , ნახშირბადის მაღალ შემცველობასთან ერთად, შუალედური გარდაქმნის პირობებში თვითორგანიზებადი (სინერგეტიკული) სისტემა ირჩევს გამოსავალს, რასაც მოჰყვება გარკვეული რაოდენობის ბეინიტური ფერიტის წარმოქმნა. როცა ეს პროცესი აღწევს მაქსიმუმს, ნახშირბადით გამდიდრებული აუსტენიტის უბნები დაძაბულობას ვერ ინარჩუნებს (ვერ უძლებს), რასაც მოჰყვება რელაქსაციური პროცესების განვითარება (მეორადი ფაზების გამოყოფა, ოთახის ტემპერატურამდე ფაზური გარდაქნა და სხვა). ეს კი თავის მხრივ ამცირებს (ან მთლიანად სპობს) TRIP-ეფექტების განვითარების შესაძლებლობას ნაკეთობის ექსპლუატაციის დროს. ანდა ძალზე მცირდება პლასტიკურობის „ხელოვნურად“ – არატრადიციულად გაზრდის გზები – საშუალებები (თითქმის ნულამდე დადის საკონსტუქციო თვისებების ამაღლების შესაძლებლობები). თუმცა, ზოგიერთ პირობებში, მაგალითად, ასეთი მასალის (ნაკეთობის) ცვეთაზე მუშაობისას, დარჩენილი – გარდაუქმნელი აუსტენიტი გადადის მარტენიტში, რომელიც იწვევს ზედაპირული შრების სისალის გაზრდას, რაც დადებითად მოქმედებს ნაკეთობის ცვეთამედეგობაზე. თავიდან, მაღალი სიმტკიცის თუჯების წარმოებისას, ნახშირბადისა და სილიციუმის რაოდენობათა შერჩევა წარმოებდა, ძირითადად გრაფიტიზაციის პროცესის წასამართავად. ბეინიტურ თუჯებში ამ ორმა კომპონენტმა ( $C$ ,  $Si$ ) მიიღო ახალი დატვირთვა. სხვანაირად, აუცილებელი ხდება ნახშირბადისა და სილიციუმის რაოდენობათა შერჩევის დროს გათვალისწინებული იყოს ის პროცესებიც, რომელთაც ადგილი აქვთ ბეინიტური გარდაქმნების დროს. რეალურად მაღალი სიმტკიცის თუჯებში ( $C=3\text{--}4\%$ , ხოლო  $Si=2\text{--}3\%$ ) ირჩევენ ფერიტ-პერლიტურ უბანს – 350C2 (350C2H2ДМФТ). ნახშირბადის 3,5%-დან ფუძეში რჩება  $0,50\%C$ , ხოლო  $3,0\%C$  წარმოდგენილი იქნება გრაფიტის სახით.

თვისებებზე, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს, როგორც ლითონური, ასევე, გრაფიტული ნაწილი. აღნიშნულის გამო მეორის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად ცდილობენ მიიღონ, რაც შეიძლება კომპაქტური, სფერული ფორმის, თანაბრად განაწილებული გრაფიტული ჩანართები. პრობლემატურია აგრეთვე, ADI-ის შემთხვევაში, სილიციუმის თანაბარი განაწილების მიღწევაც (მაგალითად,  $Si=2,0\%$ ). აუსტენიტის ნახშირბადით ღარიბი უბნებიდან წარმოქმნილი ბეინიტური ფერიტის თვისებებზე მოქმედებს ნახშირბადი ( $\sim 0,1\%$ ) და სილიციუმი ( $Si \approx 2,0\%$ ). სილიციუმის გავლენით რკინა იქნება ქიმიურად პასიურ მდგომარეობაში, შემცირებული იქნება, აგრეთვე, მისი დარტყმითი სიბლანტე  $50\text{--}20\text{ }^{\circ}\text{C}/\text{mm}^2$ -მდე.

ნახშირბადით მდიდარ აუსტენიტის უბნებში ადგილი ექნება ენერგიების დაგროვებას (ძირითადად, ორი სახის). იზოთერმული წრთობის დროს სახეზეა აუსტენიტის გადაცივებული და ნახშირბადით გადაჯერებული მყარი ხსნარი, რომელსაც ემატება სილიციუმით (სხვა

მალეგირებელ ელემენტებთან ერთად!) განპირობებული რკინის პასიურობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გნარჩ. უბნებს შეიძლება ეჭიროთ საკმაოდ დიდი ფართობი – მოცულობა (გნარჩ.  $\approx 10-50\%$ ). იზოთერმული წრთობის დროს სასურველია დავაფიქსიროთ ის მომენტი, როცა ბეინიტური ფერიტის რაოდენობა მიაღწიეს მაქსიმუმს, ე. ი.  $\gamma \rightarrow \alpha$ , პროცესი დასასრულს უახლოვდება. აღნიშნულ პროცესებს წინ უსწრებს „მდიდარ უბნებში“ მეორადი ფაზების გამოყოფა და გაცივებისას მარტენიტული გარდაქმნა  $\gamma \rightarrow M$ . ეს უმართავი პროცესები, როგორც გვქონდა აღნიშნული, მნიშვნელოვნად ამცირებენ გნარჩ. რაოდენობას, რაც თავის მხრივ ინტენსიურად ამცირებს აუსტენიტის უბნების რაოდენობას, რომლებშიც მოსალიდნელი იყო TRIP-ეფექტების – პროცესების განვითარება.

ასეთი მასალის (ADI) გაჭიმვის მრუდებზე ფიქსირდება, მხოლოდ წრფივი მონაკვეთი, დრეკად-პლასტიკური და პლასტიკური დეფორმაციების გარეშე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უკეთეს შემთხვევაში, არსებულზე ოპტიმიზაციის ჩატარებით შეიძლება ფარდობითი წაგრძელების მნიშვნელობა გაიზარდოს  $2-5\%-ის$  ფარგლებში, მაგრამ სიბლანტისა და ბზარმედეგობის მახასიათბლების მიღება განუხორციელებელი დარჩება. ამ ჩიხისდან გამოსვლა (ჩატარებულ ანალიზზე დაყრდნობით!) შეიძლება ახალი გრაფიტწარმოქმნელების ( $Al-2,86\text{\AA}$ ;  $Mg-3,20\text{\AA}$ ;  $Y-3,55\text{\AA}$ ;  $Sm-3,59\text{\AA}$ ;  $Ce-3,65\text{\AA}$ ;  $La-3,73\text{\AA}$ ;  $Ca-3,95\text{\AA}$ ;  $Ba-4,30\text{\AA}$ ) გამოყენებითა და სილიციუმის რაოდენობის შემცირებით ( $Si < 1,0\%$ ;  $Fe+1\%Si \Rightarrow a_1=200\%/\text{ს}^2$ ) ჩვენს მიერ შერჩეულია ორი გრაფიტიზატორი  $Al+SiCa$  (ჯერ-ჯერობით), რომელთა გამოყენებით შევისწავლით სისტემას  $C=3,0\%-ის$  გარეშე, ხოლო შემდეგ – სრულად. ( $C=3,50\%$ ). საწყის ეტაპზე, ყურადღების ცენტრში იქნება გრაფიტის სფერული ფორმის სტაბილურად მიღების საკითხები, განხორციელებული ახალი წარმოდგენებით – ფულერუნული მოდელით, რომელმაც უნდა გამორიცხოს, ჩვენი ვარაუდით (რომელიც ეყრდნობა ექსპერიმენტულ მონაცემებს [12–16]), მთავარი – უხერხული მოდიფიკატორის –  $Mg$ -ის გამოყენება.

## დასპანები

1. გაკეთებულია თუჯის (DI) თერმული დამუშავებისას არსებული რთული პროცესების ანალიზი და შემუშავებულია ამ პრობლემური ამოცანების ამოხსნის გზები.
2. Fe–C–Si სისტემა ბეინიტზე წრთობისას იმყოფება რთულ მდგომარეობაში – სტრუქტურაში სახეზეა როგორც ნახშირბადით ღარიბი, ასევე, ნახშირბადით მდიდარი უბნები. მყარ ხსნარებში არსებული სილიციუმი ( $Si \approx 2,0\%$ ) ხელს ვერ უწყობს ფუძის ღარიბი უბნების

პლასტიკურობის მახასიათებლების (ფართო გაგებით) საგრძნობ მატებას. ასევე, პრობლემატურია ნახშირბადით მდიდარი აუსტენიტის უბნებიდან მეორადი ფაზების გამოყოფისა და მარტენიტული ( $\gamma\rightarrow M$ ) გარდაქმნის შემდეგ, შენარჩუნებული იქნეს TRIP-ეფექტების განვითარებისათვის საჭირო, გარდაუქმნელი აუსტენიტის ( $\gamma$ ) უბნები. საბოლოოდ, გვაქვს მაღალი სიმტკიცე, რომლის პრაქტიკაში რეალიზაცია შეიძლება, მხოლოდ შეზღუდულ პირობებში.

3. თუკის ფუძის ყველანაირი მიახლოება საშუალონახშირბადიან ბეინიტური კლასის ფოლადებთან საშუალებას იძლევა ბეინიტური თუკების წარმოებისას გამოვიყენოთ მრავალი ცნობილი შედეგი (მაგალითად, ბეინიტური კლასის ფოლადებზე – 36Г2СМ, 40ГСМР, 40ГСМФ<sup>(1)</sup>, 40ГСМФ<sup>(2)</sup>, 45ГСМФ, 40ГМФ – 400°C-ზე იზოთერმული წრთობის შედეგები:  $\sigma_B=1250-1550\text{ MPa}^2$ ;  $\sigma_d=1060-1290\text{ MPa}^2$ ;  $\delta_5=11-16\%$ ,  $\Psi=31,5-58\%$ , HRC=37-43), რაც ადვილებს, როგორც სიმტკიცის მაღალი მაჩვენებლების მიღებას, ასევე, ამონსნადი ზღება საჭირო დონის პლასტიკურობის მახასიათებლების მიღწევაც. ამისათვის საჭიროა სილიციუმის რაოდენობის შემცირება 1,0% Si-მდე (Fe+1,0% Si განაპირობებს  $a_1\leq 200\text{ MPa}^2$ ) და ახალი, დამატებითი გრაფიტიზატორების გამოყენება (Al+SiCa).

4. მიზანშეწონილია, გრაფიტის სფერული ფორმის მიღება განხორციელდეს ფულერენული იდეოლოგიის გამოყენებით.

## გამოყენებული ლიტერატურა

[1]. Копалейшвили В.П., Кашакашвили И.Г. Синергетические (самоорганизующиеся) явления в сплавах Fe-C бейнитного класса // Научные труды Груз. Тех. ун-та-№5 (438). Тбилиси :Технический университет. 2001, с. 27-32.

[2]. Копалейшвили В. П., Кашакашвили И. Г., Кереселидзе Л. Б. Закономерность между пороговым значением кремния и синергетическими процессами в Fe-C сплавах бейнитного класса // Проблемы металургии, материаловедения и сварки: Сб.тр.VII научн-техн. Конф. 8-11 октября 2002 г.-Тбилиси, 2002.-С 16-33.

[3]. Копалейшвили В. П., Кашакашвили И. Б., Кереселидзе Л. Б., Синергетические (самоорганизующиеся) явления в Fe-C сплавах бейнитного класса и пути их практического применения // Научные труды Груз. тех .ун-та– №2(448).-Тбилиси, 2003.–С. 136-140.

- [4]. V.P.Kopaleishvili,I.G.Kashakashvili, L.B.Kereselidze,G.O.Kifiani,O.G.Ioseliani-Scientific hypothesis for explain new bifuzcations in bainitic iron alloys and its meaning for material science // Tehran International Congress on Manufacturing Engineering ( TICME 2005).–December 12-15, 2005, Tehran Iran (Abstract Book, 3166, p.103).
- [5]. Копалеишвили В. П., Кашакашвили И. Г., Кереселидзе Л. Б., Иоселиани О. Г. Кремниевый порог в железе и сплавах бейнитного класса и его значимость для металловедения // Труды Груз. Технич. ун-та.–№1.–2006.–С.109-114.
- [6]. Self-organizing phenomena in bainite steels.V. P. Kopaleishvili, I. G. Kashakashvili, L. B. Kereselidze, O. G. Ioseliani // Metallurgist. Volume 52. Numbers 5-6. May, 2008. p.p. 314-318. (Translated from Metallurg, № 5, p.p. 58-60. May, 2008)
- [7]. Kopaleishvili V., Kashakashvili I., Kereselidze L., Khidasheli N., Kopaleishvili D., Ananiashvili Kh. Elaboration of Iron Based Hydrogen Accumulating Alloys // Advanced Processing of Metals and Materials Vol. 4: New, Improved and Existing Technologies: Nonferrous Materials Extraction and Processing / Edited by F. Kongoli and R.G. Reddy.– pp. 435-446.–From the 2006 TMS Fall Extraction & Processing: Sohn International Symposium, held August 27–31, 2006, in San Diego, California.
- [8].ЧУГУН: Справочник / Под. Ред.А. Д. Шермана и др.–М.: Металлургия, 1991.–576 с.
- [9]. L. Norbury The Effect of Casting Temperature on the primary Microstructure of Cast Iron // Iron Steel Inst.–1939.–v.140.–p. 161-182.
- [10]. B A I N I T E I N S T E E L S, Transformations, Microstructure and Properties, SECOND EDITION, H. K. D. H. BHADESHIA, University of Cambridge 2001, 454 p.
- [11]. SAARSTAHL GMBH, Baustähle. 1987, Vertriebsgesellschaft der ARBED-Gruppe fur Edelstähle und Qualitätsstahle. Federstähle, S, 318-319 (Saarstahl-46 Si7; C=0,46%; Si=1,80%; Mn=0,70%. Saarstahl-51. Si 7; C=0,51%; Si-1,75%; Mn=0,70%)
- [12]. Билецкий А. К., Шутихин В. С., Верховлюк А. М. Механизм формирования в чугуне компактных графитных включений.–ISSN 0024-449Х.–Литейное производство.–1992. №.1.–С. 3-5.
- [13]. Любченко А. П. (по „Завод им. Малышева“, г. Харков). Бакиболы – устойчивые зародыши шаровидных зёрен графита.–ISSN 0024-449Х.–Литейное производство.–1992. №.1.–С. 5.
- [14]. Крапошин В. С. (ФГУП ЦНИИЧермет). Новая аллотропическая форма углерода – новый принцип организации структуры вещества?–ISSN 0038-920Х..–Сталь.–№1.–2000.–С. 72-79.

[15]. О самоподобии фуллеренов, образующихся в структурах продуктов термического испарения графита, шунгита и высокоуглеродистой стали / Иванова В. С., Козинский Д. В., Кузеев И. Р., Закирпичная М. М. // Перспективные Материалы, 1998 №-1. С. 5-15.

[16]. Физическая природа разрушения (гл. Фуллеренная модель образования структуры железо-углеродистых сталей) / Куликов Д. В., Мекалова Н. В., Закирпичная М.М; Под общей редакцией проф. И. Р. Кузеева.–Уфа, 1999.–347 с.

## **ПОВЫШЕНИЕ КОНСТРУКТИВНОЙ ПРОЧНОСТИ ЧУГУНА С ШАРОВИДНОЙ ФОРМЫ ГРАФИТА УСОВЕРШЕНСТВОВАНИЕМ СОСТАВА И ТЕРМИЧЕСКОЙ ОБРАБОТКИ**

**В. П. Копалеишвили, И. Г. Каракашвили, Л. Б. Кереселидзе, Н. З. Хидашели,  
О. Г. Барбакадзе, М. Д. Бараташвили**

### **РЕЗЮМЕ**

Проделан анализ существующих сложных процессов термической обработки чугунов (ВЧ) и разработаны решения имеющихся проблемных задач. Всестороннее приближение основы чугуна к среднеуглеродистым бейнитным сталим дает возможность, при производстве бейнитных чугунов, использовать многие известные результаты (например, на бейнитных сталях – 36Г2СМ, 40ГСМР, 40ГСМФ<sup>(1)</sup>, 40ГСМФ<sup>(2)</sup>, 45ГСМФ, 40ГМФ результаты изотермической закалки при 400°C:  $\sigma_B=1250-1550 \text{ H/mm}^2$ ;  $\sigma_T=1060-1290 \text{ H/mm}^2$ ;  $\delta_5=11-16\%$ ;  $\Psi=31,5-58\%$ ;  $HRC=37-43$ ), что облегчает не только получение высоких показателей прочностных свойств, но и становится решаемым достижение уровня необходимых пластических свойств. Для этого необходимо (при производстве ADI обязательно!) понижение содержания кремния до 1,0%-а (Fe+1,0% Si обуславливает  $a_1=200 \text{ Дж/cm}^2$ ) и использование новых – дополнительных графитизаторов (Al+SiCa). Целесообразно, получение графита сферической формы осуществить использованием фуллеренной идеологии.

# **INCREASE THE STRUCTURAL STRENGTH OF GLOBULAR GRAPHITE CAST IRON BY IMPROVEMENT OF THE COMPOSITION AND HEAT TREATMENT**

**Vasil Kopaleishvili, Irakli Kashakashvili, Lamara Kereselidze, Nugzar Khidasheli,  
Otari Barbakadze, Manana Baratashvili**

## **Abstract**

The analysis of present composite processes of a heat treatment of cast irons (high-strength cast irons) is made and the solutions of existing problematic issues are designed. Comprehensive approach of base of cast iron to medium-carbon bainitic steels makes it possible, during the manufacture of bainitic cast irons, use many of the known results (eg for bainitic steels – C0,36Mn2Si1Mo, C0,40Mn1Si1MoB, C0,40Mn1Si1MoV<sup>(1)</sup>, C0,40Mn1Si1MoV<sup>(2)</sup>, C0,45Mn1Si1MoV, C0,40Mn1MoV the results of isothermal hardening at 400°C: Tensile Strength – 1250–1550 N/mm<sup>2</sup>; Yield Strength or Yield Stress – 1060–1290 N/mm<sup>2</sup>; Specific Elongation – 11–16%; Reduction of Area – 31,5–58%; Hardness HRC=37–43), which facilitates not only receiving high levels of strength indexes, but also becomes possible to achieve the required levels of plasticity indexes. For this purpose it is necessary (during manufacturing ADI – necessarily!) the decreasing of the contents of silicon up to 1,0 % (Fe+1,0%Si stipulates level of Impact Strength at  $\leq 200\text{J/cm}^2$ ) and usage of new – additional graphitizers (Al+SiCa). It is advisable to obtain a globular graphite using Fullerene ideology.



**უაგ 656.2591**

**ვაზამგრძნობიარე სარელსო წრედის საიმპორტის  
ამაღლების საინიციო მეთოდიკა**

**მ. გოცაძე, ნ. გოგიშვილი**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მ. კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** შემოთავაზებულია სარელსო წრედი რომელის, ნაცვლად დღეისთვის გამოყენებული სარელსო წრედისა [2], მოგვცემს 2,5 კმ სივრცის სარკინიგზო ბლოკის, რომლის ბალასტის წინაღობა იძოვება  $0,3\text{-}1,0$  ომი/კმ ფარგლებში, სამედო მუშაობის შესაძლებლობას. ამასთან ასეთი წრედები იძლევიან ზუსტ ინფორმაციას ძაბვის ზედა თუ ქვედა ზღვრებთან მიახლოების შესახებ, რაც, შესაბამისად, იძლევა სარელსო წრედის დროული რეგულირების შესაძლებლობას.


**საკვანძო სიტყვები:** რკინიგზის ქსელი, სარელსო წრედი, ძაბვა, ფაზა, ფილტრი, სიგნალი.

დღეისათვის რკინიგზების ქსელში გამოიყენება სხვადასხვა სახის სარელსო წრედები, რომელთა უმრავლესობას გააჩნია ის ძირითადი ნაკლი, რომ მათი საიმედოობა მცირდება ბალასტის წინაღობის საგრძნობი ცვალებადობის შედეგად. აღნიშნული ნაკლოვანებისაგან თავისუფალი სარელსო წრედები (სხვებთან შედარებით) ფლობენ იმ უპირატესობას, რომ თუ ძაბვის მნიშვნელობა საგზაო რელეში, როდესაც სარელსო წრედი თავისუფალია, უახლოვდება ქვედა ან ზედა ზღვრულ მნიშვნელობას, სიგნალიზაციის ბლოკი სადგურში გადასცემს სიგნალს სარელსო წრედის აუცილებელი რეგილირებისათვის. ასეთ წრედებსაც გააჩნიათ არსებითი ნაკლი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მათ მიერ სადგურში გადაცემული სიგნალი არ გადაეცემა ცალსახად, ე.ი. ამ სიგნალის საშუალებით ოპერატორი ვერ მიხვდება ძაბვის მნიშვნელობა ზედა ზღვარს უახლოვდება თუ ქვედა ზღვარს. ამასთან ერთად, აშკარაა ასეთი ინფორმაციის მიღების აუცილებლობა, რამდენადაც მისი არქონა ეწინააღმდეგება სარელსო

წრედის რეგულირების პრინციპს ან იწვევს დროის არამწარმოებლურ ხარჯვას – ხელით რეგულირების საჭიროებას.

აღნიშნულისგან განსხვავებით შემოთავაზებული გვაქვს სარელსო წრედის რაციონალური გადაწყვეტა. ასეთი სარელსო წრედები ფლობენ გაზრდილ სამედოობასა და გაფართოებულ ფუნქციონალურ ურთიერთობას ზემოთ მოცემულ სარელსო წრედებთან შედარებით. შემოთავაზებულ სარელსო წრედებში, აღნიშნულთან შედარებით, ამოცანა იხსნება უფრო ზუსტად, როდესაც საგზაო მიმღებში მიიღწევა ძაბვის რაღაცა დონე, ანუ როდესაც ძაბვა მიუახლოვდება ქვედა და ზედა ზღვარს და არ იქნება მიღებული ზომები სარელსო წრედის რეგულირებისათვის, მისი შემდგომი მუშაობის შედეგად მიიღება უარი, ე.ი. წრედი აღარ იმუშავებს.

ნახ. 1-ზე ნაჩვენებია შემოთავაზებული სარელსო წრედის სტრუქტურული სქემა.



ნახ. 1. შემოთავაზებული სარელსო წრედის სტრუქტურა.

სარელსო წრედი შედგება სარელსო ხაზისაგან 1, რომელიც შემოზღუდულია პირაპირებით 2 და 3. სარელსო ხაზის ერთ ბოლოზე ჩართულია გადამცემი ბლოკი 4, ხოლო მეორეზე – დროსელ-ტრანსფორმატორი 5, რომელზეც მიერთებულია დამცავი ფილტრი 6. დამცავი ფილტრის გამოსასვლელებზე ჩართულია საინფორმაციო 7 და საკონტროლო 8 გამართველები. 7 და 8 გამმართველების გამოსასვლელებზე ჩართულია შესაბამისად,

საინფორმაციო არხი – 9 და საკონტროლო არხი – 10, 11. ფილტრის 9 გამოსასვლელზე ჩართულია იმპულსური საგზაო რელე 12, რომელსაც აქვს 12.1 კონტაქტი, ხოლო საკონტროლო არხის გამოსასვლელებზე – რელეები 13 და 14 შესაბამისი კონტაქტებით 13.1, 13.2 და 14.1, 14.2. კონტაქტი 12.1 შეერთებულია დეშიფრატორის უჯრედთან 15, რომლის გამოსასვლელზეც ჩართულია რელეები 16 და 17 ყვითელი და მწვანე სინათლეებით. სიგნალიზაციის ბლოკის 18 შესასვლელთან ჩართულია ორი წრედი, რომელთაგან თითოეული შეიცავს ორ მიმდევრობით ჩართულ კონტაქტს. პირველი წრედი შედგება ფრონტული კონტაქტისაგან 13.1 და ზურგის კონტაქტისაგან 14.1, ხოლო მეორე – ზურგის კონტაქტისაგან 13.2 და ფრონტული კონტაქტისაგან 14.2.

სარელსო წრედის მუშაობს შემდეგნაირად: გადამცემი ბლოკიდან 4 მიღებული სიგნალი დროსელ-ტრანსფორმატორის 5 გავლით გადაეცემა საინფორმაციო და საკონტროლო 7 და 8 გამმართველებში. ამასთან, სიგნალის ძაბვა გარდაიქმნება ძაბვის პროპორციულ სიხშირედ. გარდაქმნილი სიხშირე გადაეცემა საინფორმაციო 9 და საკონტროლო 10, 11 არხების ფილტრებს. თუ დამცავი ფილტრის გამოსასვლელზე ძაბვა იმყოფება დასაშვების ფარგლებში, მაშინ გამმართველის 7 მიერ გარდაქმნილი სიგნალი საინფორმაციო არხის ფილტრის 9 გავლით მიეწოდება იმპულსურ საგზაო რელეს 12 და იგი ამუშავდება. ამ რელეს კონტაქტი 12.1 მართავს დეშიფრატორის 15 მუშაობას. ამავე დროს, მიღებული კოდური სიგნალის მიხედვით ამუშავდება ყვითელი სინათლის რელე 16 ან ორივე სიგნალის რელეები 16 და 17 ერთდროულად – ყვითელი და მწვანე სინათლეებით.

შემოთავაზებული სარელსო წრედის გამოყენება, ნაცვლად დღეისთვის გამოყენებული სარელსო წრედისა [2], მოგვცემს 2,5 კმ სიგრძის სარკინიგზო ბლოკის, რომლის ბალასტის წინაღობა იმყოფება 0,3-დან 1,0 ომი/კმ ფარგლებში, სამედო მუშაობის შესაძლებლობას. ამასთან ასეთი წრედები იძლევიან ზუსტ ინფორმაციას ძაბვის ზედა თუ ქვედა ზღვრებთან მიახლოების შესახებ, რაც, შესაბამისად, იძლევა სარელსო წრედის დროული რეგულირების შესაძლებლობას.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Аркадов В. С. Красов Ю. А.** Релсовые цепи. Москва. Транспорт 1990 г. 294 ст.
- Лаврик В. В.** электрическое централизация стрелок и сигнала метрополитенов 1980г. 238 ст.

# **ИНЖЕНЕРНАЯ МЕТОДИКА ПОВЫШЕНИЯ НАДЕЖНОСТИ ФАЗОЧУВСТВИТЕЛЬНЫХ РЕЛЬСОВЫХ ЦЕПЕЙ**

**Н. Гогишвили, М. Гоцадзе**

## **Резюме**

Предложена рельсовая цепь, в которой вместо используемой в настоящее время рельсовая цепи [2], предоставит возможность надежной работы железнодорожного блока длиной 2,5 км, в которой балластное сопротивление будет находиться в пределах 0,3 - 1,0 ом/ км. Кроме того, такие схемы предоставляют точную информацию о верхних или нижних пределах напряжения , соответственно предоставляет возможность своевременного регулирования рельсовой цепи.

## **ENGINEERING METHODS TO IMPROVE RELIABILITY OF PHASE-SENSITIVERAIL CIRCUIT**

**N. Gogishvili, M. Gotsadze**

## **Summary**

Is proposed rail circuit that, instead of the currently used rail circuit [2], gives the possibility of reliable operation of 2.5 km long railway block with ballast resistance is range of 0.3 - 1.0 ohm/km. In addition, such circuits provide accurate information about the upper or lower limits of voltage, that accordingly gives the possibility to provide timely regulation s of rail circuit.



უაკ 667. 002. 786

## ხარაზი და მექალამნები საქართველოში

ლ. ლემეტრაძე, ნ. გზირიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0175,  
თბილისი)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია საქართველოში ხელოსნობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის ფეხსაცმლის კერვის ხალხური ხერხები, ასევე განხილულია ხარაზთა, მექალამნეთა და მეწარეთა საქმიანობა.

**საკვანძო სიტყვები:** ხარაზი, მეწარე, მექალამნე, ქარგალი.

საქართველოში ხარაზობა ქალაქური ხელოსნობის წამყვანი დარგი იყო, ამდენად ის საქართველოს ყველა ქალაქში იყო წარმოდგენილი.

ხარაზები კვირაში ერთი დღე არ მუშაობდნენ, მხოლოდ ნედლეულს იძენდნენ დაბლებისაგან ნისიად ან ნაღდ ანგარიშზე, ამიტომ ისინი ორშაბათს “პატარა კვირას” უწოდებდნენ.

ხარაზის ძირითადი სამუშაო მაგიდა ხის დაზგა იყო, აგრეთვე მას მიმაგრებული უნდა ჰქონოდა კალაპოტში ჩასადები ხის (რცხილის ან თხილის) ხაბსვლები და სოლი. დაზგასაც ხაბსვალსაც ხელოსანი აკეთებდა. დაზგისა და იარაღებისათვის საჭირო მასალა ძირითადად იყო კაკალი, რომელიც გლეხებს სოფლიდან მოჰქონდათ. სამუშაო იარაღების დასახელება ხშირ შემთხვევაში არა ქართული სიტყვებით მოიხსენება.

ხარაზს დაზგა ორი-სამი უნდა ჰქონოდა, ასევე უნდა ჰქონოდა თითბრის მუშტა – ტყავის გასასწორებელი, ჯევიჩი ტყავიდან ბალნის მოსაშორებელი, ტყავის გასაჭრელად სხვა დანას იყენებდნენ – კრაჩინს. ოსტატი – ”ხაზეინი” წულას თვითონ გამოჭრიდა, ქარგალი მას ძირს სარჩულს უკეთებდა.

ხარაზები იყენებდნენ ბამბის ძაფს, რომელიც იყო სხვადასხვა სისქის და შეგრეხილობის. დართულ ძაფს ყიდულობდნენ, თვითონ თხუზავდნენ, სანთლავდნენ წმინდა სანთლით და მერე

კერავდნენ. საბაზრო ჩუსტებს კერავდნენ წმინდა ძაფით, შეკვეთებს მსხვილი ძაფით. ხარაზი ჩექმასაც კერავდა; თავადურს და სირაჯულს. თავადური უფრო ფაქიზად იკერებოდა, კვირის თავთან ფუნჯი ჰქონდა ჩამოკიდებული. ჩექმის შუა ნაწილი – ყაფალი ბუზმენტით იკერებოდა, ღილები ყაითნის უკეთდებოდა. სირაჯისას არც ფუნჯი ჰქონდა, არც ბუზმენტი და ყაითანი, მთელი ქუსლი იკერებოდა ძაფით. შემდეგ შემოვიდა მჭედლის მიერ მოჭრილი თავიანი ლურსმანი. ქუსლი ბიზით იხვრიტებოდა და ყოველი ნაჭერი ცალ-ცალკე კეთდებოდა, თავადურის ქუსლი წვრილი იყო და უზალთუნიანს აკრავდნენ ნალად. სირაჯულს ხუთგბილიანი ნალი ეკრა, ორი ჩექმის წვერზე და სამი ქუსლზე, ქუსლის ნალის კბილების სიგრძე – 3,5სმ., ხოლო წვერისა – 2,5სმ. იყო.

საქართველოში იკერებოდა არამარტო ფეხსაცმელი, არამედ ამზადებდნენ უნაგირსა და ქამრებს, ასევე ცხენის მოსართავებს, როგორც ლითონის ნაწილებისაგან, ასევე ტყავისაგან. უნაგირისთვის ვერცხლის მოსართავს მხოლოდ თავმომწონე თავადები ატარებდნენ. ჩვეულებრივი უნაგირისა და სარტყლის ლითონის ნაწილები მზადდებოდა მდარე ხარისხის ვერცხლისაგან. რაზედაც ძირითადად ლეკები მუშაობდნენ.

დასავლეთ საქართველოს ხარაზები ტყავს თბილისში ყიდულობდნენ. საპირე მასალა დასტობით მიჰქონდათ, ერთ დასტაში მათი ცნობით 30 საპირე გამოდიოდა, ნახევარი ტყავიდან 20-25 ზოგჯერ 30 წყვილიც კი გამოიჭრებოდა. ზუგდიდში ხარაზის 40 დუქანი ყოფილა, მეუნაგირის კი – 20 დუქანი.

საქართველოში ხარაზი ძირითადად აზიურ და ქართულ ჩექმას კერავდა, ცალკე იყო მეწალე (მეჩექმე), რომელიც ნამდვილ (ევროპულ) ჩექმას ამზადებდა, მაგრამ ყარაჩოლების საყვარელ ეგრეთწოდებულ დაგეცილ ანუ გარმონ წალას მხოლოდ ხარაზები კერავდნენ. მეწალე კერავდა ფეხსაცმელსაც და ცარსკებსაც, რომელსაც სამხედრო პირები, ვაჭრები და მდაბიო ხალხიც ატარებდა. თავადებს ჩექმები ეცვათ და წულებზე იკეთებდნენ მესტებს.

გადმოცემით გორში ხარაზთა 245 დუქანი იყო და თითოეული ხარაზი კვირაში 160 წყვილ წულას კერავდა. ხარაზთა სახელოსნოში 5 კაცი მუშაობდა – 2 ამზანაგი თავისი ქარგლებითა და ერთი შეგირდით. სამზე ნაკლები საერთოდ ერთ სახელოსნოში არ იქნებოდა, ზოგჯერ ჰყავდათ სამი შეგირდი და ოთხი მუშა (ქარგალი), მაგრამ ისეთი სახელოსნოებიც იყო, სადაც ერთ ოსტატთან 14-15-20 ქარგალი მუშაობდა.

მე-19ს-ში საქართველოში ქალის ფეხსაცმელი იკერებოდა ქუსლიანი, უკეთდებოდა ტყავის ქუსლი, ცხვირი გრძელი ჰქონდა. იყო უცხვიროც.

მეწარე მუშაობდა ფაბრიკულ ტყავზე. ეს იყო “ვარშავის” ტყავი, რომელიც დიდ ვაჭრებს შემოჰქონდათ თბილისში, შემდეგ სხვა ვაჭრები ყიდულობდნენ მას და გაპქონდათ საქართველოს ქალაქებში.

გადმოცემით ჩექმას მეწარე სამ დღეში კერავდა (იგი 12-15 მან. ღირდა), ფეხსაცმელს (8 მან.) კი ორ დღეში. მზა პროდუქციას მყიდველი ადგილობრივ მეწარეს სახელოსნოში ყიდულობდა.

აღმოსავლეთ საქართველოში მექალამნები დალოცვას ხარაზებთან აწარმოებდნენ სამღვროთოზე, ვინაიდან მათ საკუთარი ბაირალი არ ჰქონდათ. დაბლებისგან განსხვავებით მექალამნები თვითონ ამუშავებდნენ ტყავს ხის კასრებში. თითო ასეთ კასრში ხარის ან კამეჩის 5-6 ტყავი ჩალაგდებოდა (თუ დიდი ტყავი იყო 3-4). კირი ერთი-ორი სალთი მოუნდებოდა. ტყავს ყოველდღე სჭირდებოდა გადაბრუნება. შემდეგ ამოიღებდნენ, ჩამოკიდებდნენ და ბალანს გააცლიდნენ, წყალში გაავლებდნენ, ჭილოფზე გააშრობდნენ და შაბსა და მარილს მოაყრიდნენ იმ ვარაუდით, რომ ერთ წილ შაბზე ორი წილი მარილი მოსულიყო. მარილიანს ჩამოკიდებდნენ, დაჭიმავდნენ და მზეზე გაახმობდნენ. გამხმარ ტყავს შოლტებად დაჭრიდნენ საქალამნედ. ტყავის თხელ ნაწილს- ფერდსა და მუცელს- თასმად გრეხდნენ და იმით კერავდნენ ქალამანს. წვედა იხმარებოდა ქალამნის სადგისით გახვრეტისას, ტყავის გასასწორებლად. მექალამნის სადგისი და დაზგა ხარაზულისაგან განსხვავებული, უფრო პატარა იყო. თითბრის მუშტას ტყავის გასასწორებლად ხმარობდნენ.

ძირითადად იკერებოდა ქართული ქალამანი. გადმოცემით ქართული ქალამნის კალაპოტი მამაკაცისაა. ქალამნის მორგება ფეხზე ხდებოდა. არსებობდა დიდი და პატარა კალაპოტი. მექალამნე თვითონ მოარგებდა შემკვეთს. ქალის ქალამანი უფრო იშვიათად იკერებოდა. მას უფრო მთის ქალები ხმარობდნენ. შედარებით ძნელი იყო კახური, ეგრეთწოდებული ჩუსტური ქალამნის დამზადება, მას ერთი-ორი თუ კერავდა გორში. კახურ ქალამანს ტყავიც მეტი ესაჭიროებოდა. თუ ჩვეულებრივი გარკვეული რაოდენობის ტყავისაგან წყვილი კახური ქალამანი იკერებოდა, ქართული სამი ცალი გამოდიოდა.

თბილისის დაბახანები შეგირდ-ქარგალთა სიმრავლით გამოირჩეოდა. გადმოცემით ერთ “ხაზეინთან” 50-100 კაცი მაინც მუშაობდა.

ყველა მონაცემი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში თითქმის ყველა ქუთხეში საკმაოდ გავრცელებული იყო ყველა სახის ფეხსაცმლის კერვა და ხელოსნური წარმოების ხალხური ხერხები, რომელსაც იყენებდნენ სხვადასხვა ნაწარმის შექმნისათვის და ყოველივე

ამისათვის ამზადებდნენ ხელოსნებს, რომლებიც ასევე მონდომებით სწავლობდნენ სხვადასხვა სახის ფეხსაცმელს, უნაგირს და მისი აღკაზმულობის დამზადებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. 6. აბესაძე “ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში” 1986წ.

## ЧЕБОТАРИ И МАСТЕРА ПО ИЗГОТОВЛЕНИЮ ЛАПТЕЙ В ГРУЗИИ

**Л. Деметрадзе, Н. Гзиришвили**

### Резюме

В данной работе рассмотрены народные методы пошива обуви - одной из ведущих отраслей ремесла в Грузии. Также обсуждена деятельность сапожников, мастеров по изготовлению лаптей и сапожников.

## SHOEMAKERS AND BAST SANDAL MAKERS IN GEORGIA

**L. Demetradze, N. Gzirishvili**

### Summary

The presented work studies national technics of one of the leading branches of Georgia - shoe-making. It also reviews business of shoe-makers, bast sandal makers and boot-makers.



**შპ 629.735**

**უკილოტო ჟვეულმფრენის განვითარების ამრსამაშტივები და  
აეროდინამიკური ჟეთაცემობის გაუმჯობესება**

გ. სანაძე, ზ. მიღელაშვილი

(საქართვლოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მ. კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია უპილოტო საფრენი აპარატების განვითარების ამჟამინდელი ძღვომარეობა. წარმოდგენილია არასაბრძოლო დანიშნულების უპილოტო შვეულმფრების განვითარების და მათი საქართველოში ვამყენების პერსპექტივები. ვაანალიზებულია მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები. შემოთავაზებულია მიზანშეწონილი აეროდინამიკური შეთანხმობის გარიანტი, რომელიც წარმოადგენს ორი სხვადასხვა დამტეტრის ხრახნებისაგან შეძლვარ თანაღერბულ სქემას.

**საკვანძო სიტყვები:** უპილოტო შვეულმფრენი, უპილოტო საფრენი აპარატი, მზიდი ხრახნი, საავიაციო ტექნოლოგიები.

საავიაციო ტექნოლოგიების განვითარების გზაზე მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა უპილოტო ანუ დისტანციურად მართვადი საფრენი აპარატების განვითარების საკმაოდ ძლიერი ტენდენცია. სხვადასხვა ქვეყნაში 50-მდე ფირმაა დაკავებული ამ ტიპის საფრენი აპარატების კვლევითა და წარმოებით. უპილოტო საფრენი აპარატების უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ თანამედროვე კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების დახმარებით შეუძლიათ შეასრულონ მთელი რიგი ისეთივე ამოცანები რასაც ასრულებენ პილოტირებადი ანალოგები, ოღონდ უფრო იაფად და უსაფრთხოდ. მათი მართვა წარმოებს დინსტანციურად, დედამიწაზე განლაგებული კომპიუტერული სისტემების საშუალებით. კომპიუტერის ოპერატორი ფაქტორად ასრულებს მფრინავის ფუნქციას. გარდა საბრძოლო დანიშნულებისა ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საპატრულო და სადაზვერვო დანიშნულების უპილოტო საფრენ აპარატების ტექნოლოგიების განვითარებას. ასეთი ტიპის საფრენ აპარატებს შეუძლიათ შეასრულონ ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანები, როგორიცაა:

- საავტომობილო და სარკინიგზო გზების პატრულირება;
- მიღსადენებისა და კავშირგაბმულობის კომუნიკაციების პატრულირება და მონიტორინგი;
- საპოლიციო საპატრულო-სასადაზვერვო ამოცანების შესრულება ქალაქის დასახლებებში;
- სამაშველო-სადაზვერვო ამოცანები, სამხედრო დაზვერვა და სხვა ამოცანები;
- აერო-ფოტო გადაღებები და გეოდეზის ამოცანები;
- ეკოლოგიური მონიტორინგი, მეტეოროლოგიური გაზომვები და სხვა ამოცანები.

საქართველოს რეგიონში თავისი ბუნებრივ-რელიეფური თავისებურებებისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებას გააჩნია პერსპექტივა. მაგალითად მოხერხებულია უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება ქალაქის დასახლებების და სატრანსპორტო მაგისტრალების პატრულირებისათვის. ასევე კონფლიქტური და ძნელად მისადგომი ტერიტორიების დაზვერვის მიზნით და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემოთავაზებული საფრენი აპარატების გამოყენება რეგიონში არსებული საერთაშორისო მაგისტრალების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც ანტიტერორისტული პატრულირების ისე ეკოლოგიური მონიტორინგის თვალსაზრისით.

დასახული ამოცანებიდან გამომდინარე იქმნება, როგორც თვითმფრინავის ისე შვეულმფრენის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატები. თვითმფრინავის ტიპის საფრენ აპარატს შეუძლია დიდი სიჩქარით ფრენა, მაგრამ იგი საჭიროებს ასაფენ-დასაფრენ ბილიკებს. უპილოტო შვეულმფრენის შემთხვევაში შესაძლებელია ვერტიკალური აფრენა და დაფრენა. მაგრამ მას არ შეუძლია დიდი სიჩქარით ფრენა. ვერტიკალური აფრენისა და დაფრენის სქემის თვითმფრინავის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია, როგორც შვეულმფრენის მსგავსად ვერტიკალური აფრენა, ისე თვითმფრინავის რეჟიმში დიდი სიჩქარით ჰორიზონტალური ფრენა. მაგრამ ამავე დროს ამ ორი ფუნქციის შეთავსება იწვევს აპარატის კონსტრუქციისა და სისტემების გართულებას, დამძიმებას, მისი მართვადობა-მდგრადობის და ფრენის უსაფრთხოების გაუარესებას. ამით არის განპირობებული, რომ საავიაციო ტექნიკის ამ სახეობამ ჯერ კიდევ გერ ჰპოვა ფართო გამოყენება პრაქტიკაში. მაგრამ თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევები იძლევა ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორების საშუალებას.






აღსანიშნავია, რომ საპატრულო ამოცანების შესრულებისას განსაკუთრებით ეფექტურია უპილოტო შვეულმფრენების და ვერტიკალური აფრენისა და დაფრენის საფრენი აპარატების გამოყენება. წარმოგიდგენთ უპილოტო შვეულმფრენების აეროდინამიკური შეთანწყობების სქემების უპირატესობების და ნაკლოვანებების შედარებით ანალიზს.

ერთხრახნიან სქემაში შვეულმფრენს გააჩნია ერთი მზიდი ხრახნი, რომლის რეაქტიული მომენტის კომპენსაცია ხდება კუდის ხრახნის საშუალებით. აღნიშნული სქემის უპირატესობას წარმოადგენს კონსტრუქციისა და მართვის სისტემის სიმარტივე. ნაკლოვანებას კი: კაჭის ხრახნზე ძრავას საერთო სიმძლავრის დანაკარგები (7–10%), დაცენტრების შეზღუდვის დიაპაზონი, ვიბრაციები. აღნიშნული სქემა ამჟამად ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოში.

განვით სქემის შვეულმფრენზე მზიდი ხრახნები განლაგებულია ფიუზელაჟის სხვადასხვა მხარეს. აღნიშნული სქემის უპირატესობაა: ფიუზელაჟის მთელი მოცულობის მოხერხებული გამოყენება, ხრახნებს შორის ურთიერთგავლენის არ არსებობა, გაუმჯობესებული განვით მდგრადობა. აღნიშნული სქემის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს: მართვის რთული სისტემა, დიდი გაბარიტები და წონა.


გრძივი სქემის შვეულმფრენს გააჩნია ორი მზიდი ხრახნი, რომელთაგან ერთი განლაგებულია წინ, მეორე კი – უკან. ამ სქემის უპირატესობას წარმოადგენს: დაცენტრების შედარებით დიდი დიაპაზონი, ფიუზელაჟის დიდი მოცულობა, გაუმჯობესებული გრძივი მდგრადობა. ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს: მართვის რთული სისტემა, გაუარესებული ავტოროტაციის რეჟიმი.

თანაღერძულ სქემაში შვეულმფრენს გააჩნია ორი ერთმანეთის ქვეშ განლაგებული მზიდი ხრახნი, რომლებიც ბრუნავენ ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით და აკომპენსირებენ მათ მიერ წარმოქმნილ რეაქტიულ მომენტებს. ამიტომაც შვეულმფრენის ასეთი სქემა საჭის ხრახნს არ საჭიროებს. ამ სქემის უპირატესობას წარმოადგენს შედარებით მცირე გაბარიტები, ნაკლოვანებას კი – კონსტრუქციის სირთულე, ხრახნებს შორის ინტერფერენცია და შეჯახების ალბათობა, უარესი საგზაო მდგრადობა. აღნიშნული სქემის შვეულმფრენის აეროდინამიკური მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით გამოკვლეული და მოდერნიზებული იქნა მზიდი ხრახნი სხვადასხვა დიამეტრის ხრახნების გამოყენების მეშვეობით. ასეთი ხრახნის შემთხვევაში: უფრო მეტადაა ათვისებული არამომუშავე ზონა, შემცირებულია უკუგარსდენის ზონა, ძირითად და დამხმარე ხრახნებს შორის ინტერფერენცია მინიმალურია. მზიდი ხრახნის ასეთმა შეთანწყობამ უნდა უზრუნველყოს მისი აეროდინამიკური ეფექტურობის 15–20%-ით გაუმჯობესება.

				
ერთხრახნიანი სქემა	განივი სქემა	გრძივი სქემა	თანალერმული სქემა	გადაჯვარედი- ნებული სქემა

გადაჯვარედინებულ სქემაში შვეულმფრენს გააჩნია ორი მზიდი ხრახნი, რომელთა ბრუნვის ღერძები გვერდიგვერდ არიან განლაგებული. ხრახნის ფრთებს შორის შეჯახების თავიდან აცილების მიზნით ფრთების ბრუნვა უნდა იყოს სინქრონული, წანაცვლებული ფაზებით და ხრახნის ბრუნვის სიბრტყეები ერთმანეთის მიმართ უნდა იყოს დახრილი. ამ სქემის უპირატესობას წარმოადგენს შედარებით მცირე გაბარიტები, ნაკლოვანებას კი – კონსტრუქციის სირთულე, ხრახნებს შორის ინტერფერენცია და შეჯახების ალბათობა, უარესი საგზაო მდგრადობა.

წარმოიდგენთ თანალერმული სქემის უპილოტო შვეულმფრენის აეროდინამიკური შეთანწყობის გაუმჯობესებულ ვარიანტს, რომელიც შედგება სხვადასხვა დიამეტრის ხრახნებისგან. ამისათვის მზიდი ხრახნის ზემოთ განვათავსებთ დამატებით მცირე დიამეტრის საჰაერო ხრახნს, რომელიც იმუშავებს ძირითადი მზიდი ხრახნის ფუძისეულ არამომუშავე ზონაში. იგი უნდა ბრუნვავდეს უფრო მეტი სიხშირით და საწინააღმდეგო მიმართულებით ვიდრე ძირითადი ხრახნი. დამხმარე საჰაერო ხრახნის დიამეტრმა უნდა შეადგინოს ძირითადი ხრახნის დიამეტრის 40–50 %. ძირითადი ხრახნის ფრთები უნდა იწყებოდეს მისი დიამეტრის 25–35 %-იდან. საჰაერო ხრახნის ასეთმა შეთანწყობა უზრუნველყოფს მისი აეროდინამიკური ეფექტურობის 15–20%-ით გაუმჯობესებას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ძირითადი ხრახნის ფრთის გაქანის შემცირების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ფრთის გრეხის კანონზომიერების გამარტივება, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს საჰაერო ხრახნის ფრთის კონსტრუქციას და მისი დამზადების ტექნოლოგიას. გარდა ამისა მცირე ხრახნი იბრუნებს რა ძირითადი ხრახნის საწინააღმდეგო მიმართულებით ნაწილობრივ განტვირთავს მას ბრუნვის რეაქციის მომენტისაგან. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ შემოთავაზებული მზიდი ხრახნის აეროდინამიკური მახასიათებლები და პირველ რიგში მარგი ქმედების კოეფიციენტი ერთიმეორის თავზე განლაგებული ერთნაირი დიამეტრის თანალერმული



მზიდი ხრახნებისგან განსხვავებით იქნება უფრო მაღალი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მცირდება ერთიმეორის უკან განლაგებული ხრახნებს შორის აეროდინამიკური ინტერფერენცია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებობს ასეთი საფრენი აპარატების არა მარტო გამოყენების არამედ მათი წარმოების პოტენციალი, რაც კომპლექსში იძლევა შემოთავაზებული სავიაციო ტექნოლოგიების საქართველოში განვითარების შესაძლებლობას.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გ. სანაძე. შვეულმფრენის აეროდინამიკა და ფრენის დინამიკა. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი. დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული კადემია. თბილისი 2008. 138 გვ.
2. Крыгин В.Г., Петросян Э.А., Шибанов Ю.В. Перспективы использования беспилотного вертолета для экологического мониторинга. Материалы V форума Российского вертолетного общества. Москва 2002.12с.
3. Michael W. McKee. VTOL UAVs Come of Age: US Navy Begins Development of VTUAV. <http://www.vtol.org/uavpaper/NavyUAV.htm>
4. Eagle Eye UAV. Bell Helicopter Textron. [www.bellhelicopter.com](http://www.bellhelicopter.com).

## **ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ БЕСПИЛОТНЫХ ВЕРТОЛЕТОВ И УЛУЧШЕНИЯ АЭРОДИНАМИЧЕСКОЙ КОМПОНОВКИ**

**Г. Санадзе, З. Миделашвили**

### **Резюме**

В работе рассмотрено современное состояние развития беспилотных летательных аппаратов. Рассмотрено перспективы развития беспилотных вертолетов в Грузии и их применения с целью выполнения задач патрулирования и разведки. Дан анализ их преимуществ и недостаток. Предложены целесообразные схемы аэродинамических компоновок беспилотных вертолетов.

## **PROSPECTS OF DEVELOPMENT OF UNMANNED ROTORCRAFTS AND IMPROVEMENT OF ITS AERODYNAMIC COMBINATION**

**G. Sanadze, Z. Midelashvili**

### **Summary**

Present-day development of the unmanned aerial vehicles is considered. Prospects of development of the unmanned rotorcrafts and possibility of their application in Georgia for the purpose of patrol and reconnaissance are considered. Their advantages and disadvantages are analyzed. Expedient aerodynamic schemes of the rotorcrafts are offered.

**სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის  
მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი ბაერთიანებულია  
შემდეგი მიმართულებები:**

**➤ მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (№20)**

მიმართულება ამზადებს, ნებისმიერი დარგის წარმოებისათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტების, დამზადების და ექსპლუატაციის სპეციალისტებს.

**➤ ამძრავთა სისტემები, ჩარხები და კომპლექსები (№43)**

მიმართულება ამზადებს სამანქანათმშენებლო საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობების პროექტირების, ექსპლუატაციის, რემონტის, მოდერნიზაციის და ტექნიკურ-ეკონომიკური ექსპერტიზის სპეციალისტებს.

**➤ კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობები და წარმოების ავტომატიზაცია (№47)**

მიმართულება ამზადებს კვების საწარმოთა სხვადასხვა დარგის მანქანების რემონტსა და ექსპლუატაციაზე მომუშავე სპეციალისტებს.

**➤ სამშენებლო მანქანები და მექანიკური მოწყობილობები (№56)**

მიმართულება ამზადებს სამშენებლო, საგზაო, ამწე-სატრანსპორტო და კომუნალური მეურნეობის მანქანებისა და მექანიზმების სპეციალისტებს.

**➤ პოლიგრაფია და ბეჭდვითი კომპიუტერული გრაფიკა (№85)**

მიმართულება ამზადებს ბეჭდვითი მედიისა და სარეკლამო ხელოვნების ციფრული ტექნოლოგიების სპეციალისტებს.

**➤ ხის დამუშავების საწარმოთა მოწყობილობა და ტექნოლოგია (№125)**

მიმართულება ამზადებს მერქნული მასალების დამუშავების ტექნოლოგებს.

**➤ მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა ტექნოლოგია და კონსტრუირება (№126)**

მიმართულება ამზადებს ტყავისა და საფეიქრო ნაწარმის მოდელიორ-ტექნოლოგებს.

## **სამაგისტრო სპეციალობები:**

- მექანიზმების დინამიკური ანალიზი და სინთეზი
- დიაგნოსტიკა და კონტროლის მეთოდები მანქანათმშენებლობაში
- მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია
- ამძრავთა სისტემები და მანქანათა დინამიკა
- კვებისა და სამაცივრო საწარმოთა პროცესები და მოწყობილობები
- პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნოლოგია
- მერქნული მასალების დამუშავება, სატყეო საინჟინრო საქმე
- მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ტექნოლოგია

## **სადოქტორო პროგრამა „მანქანათმცოდნეობა და მანქანათმშენებლობა“**

**მიმართულებები:**

- მექანიზმებისა და მანქანების თეორია
- მანქანების დინამიკა და სიმტკიცე
- კვების მრეწველობის მანქანები და აგრეგატები
- ამძრავთა სისტემები
- მერქნული მასალების დამუშავების მოწყობილობები და პროცესები
- პოლიგრაფიული წარმოების მანქანები, აგრეგატები და მოწყობილობები
- ტრიბოტექნიკა
- მანქანათა ნაწილები
- მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია
- მექანიკური და ფიზიკურ-ტექნიკური დამუშავების პროცესები, იარაღები და ტექნოლოგიური აღჭურვილობა

## **მანქანის ინშინერის დიპლომირებულ საეციალისტთა მიმართულებები:**

- მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია
- საჩარხო მოწყობილობების ექსპლუატაცია და რემონტი
- კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობები
- ამწე-სატრანსპორტო და სალიფტე მეურნეობა
- პოლიგრაფიული მანქანები და ავტომატები
- მერქნული მანქანების დამუშავების მანქანები
- მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური მანქანები
- სამშენებლო, საგზაო, სალიანდაგო მანქანები და მოწყობილობები

**შპს. 629.113.04**

**ავტომობილის საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების  
საიმედოობის მაჩვენებლების გამოვლენა**

**ი. ზაკუტაშვილი, ვ. ლეკიაშვილი, ნ. თოფურია**

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სატრანსპორტო დეპარტამენტი,**

**მ. კოსტავას ქ.№77, თბილისი, საქართველო)**

**რეზიუმე:** გამოვლენილი იქნა ავტომობილის საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების უმტკუნებლობისა და ხანგამძლეობის მაჩვენებლები. მათი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მტკუნებათა და უწესივრობათა განაწილების კანონზომიერება უქვემდებარება ექსპონუნციალურ კანონს მაღალი ვარიაციის კოეფიციენტით. ეს განაპირობებს მათდამი წაყენებული ტექნიკური ზემოქმედების პირობებს, რომელთა მიხედვითაც დადგინდა, რომ ტექნიკური მომსახურების (პროფილაქტიკური ოპერაციების) შესრულება არაეფექტურია. დამუშავებული იქნა მათი შეცვლათა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდი ექსპლუატაციის გარკვეული პერიოდისათვის, რაც ითვალისწინებს მოცემული კონკრეტული ხელსაწყოს უმტკუნებო მუშაობის აღბათობას.

**საკვანძო სიტყვები:** ავტომობილი, საიმედოობა, უმტკუნებლობა, ხანგამძლეობა, პროფილაქტიკური ოპერაცია, ტექნიკური ზემოქმედება.

**შესავალი**

ტექნიკური ექსპლუატაციის, როგორც საავტომობილო ტრანსპორტის ქვესისტემის ეფექტური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსის დამუშავება და სრულყოფა.

ამ კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კვანძებისა და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობის შემფასებელი პარამეტრების ცვლილების (ნომინალურიდან გადახრების) კანონზომიერების ცოდნას და მათ მუდმივ ან პერიოდულ კონტროლს. ეს შესაძლებელია

საჩვენებელი და საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოებით და საინფორმაციო სასუალებებით, რომლებიც ქმნიან ავტომობილებზე საბორტე დიაგნოსტიკის სისტემას. ამ სისტემის სამედიცინურ მუშაობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრეგატების, მექანიზმების, კვანძების და მთლიანად ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობის სათანადო დონეზე შენარჩუნება, მატერიალური და შრომითი რესურსების დაზოგვა, მოძრაობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

## პირითადი ნაშილი

ავტომობილის აგრეგატების და სისტემების ფუნქციონირების აშახველი პარამეტრების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ღებულობს ოპერატორი (მოძრაობისას მძღოლი და სხვა შემთხვევაში მომსახურე პერსონალი) მოიცავს მონაცემებს, რომლებიც მიუთითებენ ავტომობილზე განსახორციელებელი ტექნიკური ზემოქმედების აუცილებლობას ან მისი შესრულების პროგნოზირებას. ამ ინფორმაციის დამაჯერებლობა (კონტროლის უტყუარობა, მისი სარწმუნო ალბათობა) დამოკიდებულია საინფორმაციო და მზომი ხელსაწყოების და გადამწოდების სამედოობაზე (ზეთის წევა, გამაგრილებელი სითხის ტემპერატურა, სპიდომეტრი და მისი ამძრავი-მექანიკური თუ ელექტრული, სამუხრუჭე სითხის დონე და მექანიზმების მდგომარეობა, ავზში საწვავის დონე და მისი ხარჯვის საკონტროლო სისტემა, საბურავებში ჰაერის წევა, ძრავის მუხლა ლილვის ბრუნთა რიცხვის მაჩვენებელი – ტახომეტრი, საკონტროლო ნათურები და სიგნალები კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად და სხვა უამრავი ელექტროსისტემა პროგრამული უზრუნველყოფით.)

ასეთი სისტემებისა და მოწყობილობების საიმედოობა განპირობებულია უწესივრობებითა და მტყუნებებით, რომელთა გამოვლენის ხასიათი და წარმოქმნის მიზეზი სიგნალის უეცარი გაწყვეტა, ნათურის გადაწვა და დასაშვები ზღვრებიდან გამოსული დატვირთვები შეიძლება იყოს. როგორც ცნობილია ასეთი სახის მტყუნებების (უეცარი მტყუნებები) განაწილების კანონზომიერება ექვემდებარება ექსპონენციალურ კანონს, რომლისთვისაც განაწილების სიმჭიდროვე შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$f(L) = \frac{1}{L_{\text{საშ}}} \cdot e^{-\frac{L_i}{L_{\text{საშ}}}} \quad (1)$$

ამ კანონის ძირითადი თავისებურება არის ის, რომ ხასიათდება მოქმედების შეწყვეტით, ე.ი. მტყუნების ალბათობა არ არის დამოკიდებული მტყუნების წინა ნამუშევარზე (გარბენა, დრო

და სხვა) და ნამუშევრის საშუალო მნიშვნელობა ტოლია საშუალო კვადრატული გადახრის. ე.ი.  $L_{\text{საშ}} = \sigma$ , მაშასადამე ვარიაციის კოეფიციენტი ერთის ტოლია,  $\nu=1$ . ექსპონენციალური კანონის შემთხვევაში სისტემის (ელემენტის) მტყუნების განაწილების ფუნქცია განისაზრვრება შემდეგნაირად:

$$F(L) = 1 - e^{\frac{L_i}{L_{\text{sash}}}} \quad (2)$$

ხოლო, ალბათობა იმისა, რომ მტყუნება არ მოხდება (უმტყუნებო მუშაობის ალბათობა) ფორმულით:

$$P(L) = e^{-\frac{L_i}{L_{\text{sash}}}} \quad (3)$$


როდესაც უმტყუნებო მუშაობის ალბათობა  $P(L) \geq 0.85$ , შეიძლება ვისარგებლოთ მიახლოებით მნიშვნელობით

$$P(L) = e^{-\lambda L} \approx 1 - \lambda L \quad (4)$$


სადაც,  $\lambda$  არის მტყუნებათა ინტენსიურობა და ექსპონენციალური კანონის შემთხვევაში გარბენის მიხედვით არ იცვლება ე. ი.  $\lambda(L)=\text{const}$  და რიცხობრივად საშუალო რესურსის შებრუნებული სიდიდეა

$$\lambda(L) = \frac{1}{L_{\text{sash}}} \quad (5)$$

ავტომობილებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავებით მიღებული იქნა ძრავას შეზეთვის სისტემაში ზეთის წევის გადამწოდისა და მონომეტრის, ხოლო გაგრილების სისტემაში ტემპერატურული გადამწოდისა და ოერმომეტრის უმტყუნებლივის მაჩვენებლები და აგებული იქნა მათი უმტყუნებო მუშაობის ალბათობის მრუდები (ნახ. 1. და 2), გამოვლენილი იქნა აგრეთვე განაწილების პარამეტრები – საშუალო რესურსი, საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი (ცხრილი 1).



ნახ.1. ძრავის ზეთის წნევის  
გადამწოდის-1 და მანომეტრის-2  
უმტყუნებო მუშაობის ალბათობის  
მრუდები



ნახ.2. ძრავის გაგრილების სისტემის  
ტემპერატურული გადამწოდის-1 და  
თერმომეტრის -2 უმტყუნებო მუშაობის  
ალბათობის მრუდები

### ცხრილი 1

#### რესურსის განაწილების პარამეტრები

Nº	ელემენტის დასახელება	საშუალო რესურსი $L_{\text{საჭ. ათასი კბ.}}$	ვარიაციის კოეფიციენტი $v$	საშუალო კვადრატული გადახრა $\sigma$ , ათასი კბ.
1	წნევის გადამწოდი	240,0	0,95	228,0
2	ზეთის მანომეტრი	380,0	0,90	342,0
3	ტემპერატირული გადამწოდი	210,0	0,91	190,0
4	თერმომეტრი	230,0	0,88	202,4

როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, საკვლევი საკონტროლო მოწყობილობების რესურსი საკმაოდ მაღალია, 190-380 ათასი კმ-ის ზღვრებში და მათი განაწილება ექვემდებარება ექსპონენციალურ კანონს ვარიაციის კოეფიციენტით 0,88-0,95 ზღვრებში.

საკონტროლო-სადიაგნოსტიკო და საინფორმაციო მოწყობილობების საომედოობის სათანადო დონეზე შენარჩუნება მოითხოვს კონკრეტული ტექნიკური ზემოქმედების განხორციელებას. იგულისხმება როგორც პროფილაქტიკური, ისე წინასწარი დაგეგმილი შეცვლითი სახის

სამუსაოების შესრულება. ასეთი სახის სამუსაოების შესრულების პერიოდულობა დამოკიდებულია საინფორმაციო თუ სადიაგნოსტიკო პარამეტრის ცდომილებაზე. ე.ო. კონტროლის (დიაგნოზის) ცდომილების სიდიდეზე. როგორც წესი, ტექნიკური მომსახურების ოპერაციების შესრულება მტყუნებათა განაწილების ექსპონენციალური კანონის შემთხვევაში არაეფექტური და არამიზანშეწონილია. ელემენტის შეცვლა კი უნდა მოხდეს გარკვეული ნარჩენი რესურსის გათვალისწინებით. აქ გარკვეული გარბენის შემდეგ შეცვლათა რაოდენობა მტყუნების ალბათობაზეა დამოკიდებული.

$$N_{\text{ამოწყ.}} = n_{\text{ამოწყ.}} \cdot F(L) \quad (6)$$

სადაც  $n_{\text{ამოწყ.}}$  - ერთი და იგივე ტიპის და დანიშნულების მოწყობილობების რაოდენობა, (პირობითად  $n=10$ ).

თუ მივიღებთ, რომ შეცვლათა რაოდენობა განისაზღვროს  $\text{Li}=50$  ათასი კმ-თვის (საშუალო წლიური გარბენა), მაშინ (3) გამოსახულებით ზეთის მონომეტრის უმტყუნებო მუშაობის ალბათობა იქნება:

$$P(L) = e^{-\frac{50000}{380000}} = e^{-0,13} \approx 0,9$$

მტყუნების ალბათობა იქნება:

$$F(L) = 1 - P(L) = 1 - 0,9 = 0,1$$

ხოლო შეცვლათა რაოდენობა მოცემული პერიოდისათვის იქნება:

$$N_{\text{ამოწყ.}} = n_{\text{ამოწყ.}} \cdot F(L) = 10 \cdot 0,1 = 1,0$$

ანალოგიურად განისაზღვრება სხვა საინფორმაციო და საკონტროლო-სადიაგნოსტიკო მოწყობილობების შეცვლათა რაოდენობა.

## **დასკვნა**

ავტომობილის საკონტროლო სადიაგნოსტიკო ხელსაწყოების საიმედოობის მაჩვენებლების გამოვლენა და ანალიზი საშუალებას იძლევა კონკრეტული მოწყობილობისა და ხელსაწყოს მიმართ ეფექტურობის პირობიდან გამომდინარე, დასახული იქნას ტექნიკური ზემოქმედების გარკვეული სახეობა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. **В. Козлов, И. Уикеков,** Справочник по расчету надежности, Москва, „Советское радио“, 1977г.
2. ვ. ლეკიაშვილი „ავტომობილის საიმედოობა“, თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005.

## **ВЫЯВЛЕНИЕ ПОКАЗАТЕЛЕЙ НАДЕЖНОСТИ КОНТРОЛЬНО-ИЗМЕРИТЕЛЬНЫХ ПРИБОРОВ АВТОМОБИЛЕЙ**

**И. Закуташвили, В. Лекиашвили, Н. Топурия**

### **Резюме**

Выявлены показатели безотказности и долговечности некоторых контрольно-измерительных приборов автомобилей и их анализ. На основе полученных результатов разработан метод определения количества замен исследуемых элементов системы за определенных срок эксплуатации.

## **REVEALING OF INDICATORS OF RELIABILITY OF INSTRUMENTATIONS OF CARS**

**I. Zakutashvili, V. Lekiashvili, N. Topuria**

### **Summary**

Indicators of non-failure operation and durability of some instrumentations of cars and their analysis are revealed. On the basis of the received results the method of definition of quantity of replacements of investigated elements of system for defined operation term is developed.

შპს 621.864

## **მაგისტრატურული საბიბლიონო სამუშაო** **დაშვების შესაძლებლობით**

ს.გ. ბიწაძე, რ.გ. ბიწაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77,  
0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია ამწე-სატრანსპორტო მანქანების სამუხრუჭე სისტემებში მაგნიტურატიდრავლიკური საბიძებლების ამძრავად გამოყენებისას მექანიზმის დამუხრუჭების დროის დამოკიდებულება საბიძებლის ჭოკის დაშვების დროზე. გაანალიზებულია ყველა ის ფაქტორი, რომელიც ეწინააღმდეგება საბიძებულას ჭოკის დაშვების დროის შემცირებას. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით შემუშავებულია ორივინალური კონსტრუქციის მაგნიტურატიდრავლიკური საბიძებელა, რომელშიც მიღწეულია საჭირო მომენტში ჭოკის სწრაფი დაშვება საგიბებელას ელექტრომაგნიტის გამორთვის გარეშეც. აღნიშნული საბიძებელას ამწე-სატრანსპორტო მანქანების სამუხრუჭე სისტემების ამძრავად გამოყენებისას შესაძლებელია როგორც დამუხრუჭების სიმდოვრის ნებისმიერი ხარისხის უზრუნველყოფა, ისე ავარიულ სიტუაციაში ამსრულებელი მექანიზმის სწრაფი დამუხრუჭება.

**საკვანძო სიტყვები:** საბიძებელა, მუხრუჭი, ჭოკი, ელექტრომაგნიტი.

### **შესავალი**

მაგნიტურატიდრავლიკური საბიძებლები (მჰს) გამოიყენება მრეწველობის მრავალ სფეროში, სადაც საჭიროა ელექტრული პროცესების გარდაქმნა მექანიკურ პროცესებად, კერძოდ სწორხაზოვან წინსვლით და უკუსვლით მოძრაობებად. მჰს ძირითადად გამოიყენება ტვირთამწე მანქანების მუხრუჭების ამძრავად [1].

ამწე-სატრანსპორტო მანქანებში დამუხრუჭების დრო დამოკიდებულია მოძრავი მასების ინერციული ძალებისა და სამუხრუჭე მომენტის ფარდობის სიდიდეზე. რაც მეტია სამუხრუჭე მომენტი და რაც უფრო სწრაფად ხდება მისი მაქსიმალური სიდიდის მიღწევა, მით ნაკლებია

ეს ფარდობა და მით მცირება დამუხრუჭების დრო. დამუხრუჭების დროის შემცირება კი, თავის მხრივ, იწვევს მექანიზმის მდოვრე მუშაობის დარღვევას. მაგალითად, ტვირთის დაშვებისას, სწრაფი დამუხრუჭებისას დამუხრუჭება მიმდინარეობს არათანაბრად, ბიძგებით. მანქანა-მექანიზმების ლითონკონსტრუქციებში წარმოიშვება დიდი დინამიური დატვირთვები, მკვეთრი რხევები, რაც, თავის მხრივ, ამცირებს მექანიზმისა და ლითონკონსტრუქციების სიმტკიცეს და ხანგამძლეობას. ამიტომ დინამიური დატვირთვების შესამცირებლად რეკომენდირებულია დამუხრუჭების დროის გაზრდა მუხრუჭების ისეთი ამძრავების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფენ დამუხრუჭებისას სამუხრუჭე მომენტის მდოვრე ზრდას. ასეთ ამძრავებად ამწე-სატრანსპორტო მანქანების მუხრუჭებში გამოყენებულია მაგნიტოჰიდრავლიკური და ელექტრო-ჰიდრავლიკური საბიძგებლები, რომელთა ჭოკის დაშვების დროის (სიჩქარის) რეგულირებით პრაქტიკულად მიღება დამუხრუჭების სიმდოვრის წესისმიერი ხარისხი.

## მირითადი ნაშილი

მანქანა-მექანიზმების დამუხრუჭების სრული დრო არის დრო მექანიზმის ამძრავი ელექტროძრავისა და მუხრუჭის ამძრავისადმი ელექტროენერგიის შეწყვეტის მომენტიდან მანქანა-მექანიზმის ან ასაწევი ან დასაშვები ტვირთის სრულ გაჩერებამდე

$$\tau_{\text{სრ}} = \tau_{\text{დაშ.დაყ.}} + \tau_{\text{დაშ.}} + \tau_{\text{დამ.}}$$

სადაც,  $\tau_{\text{დაშ.დაყ.}}$  – წარმოადგენს საბიძგებელას ჭოკის დაშვების დაწყების დაყოვნების დროს, ანუ დროს დენის მიწოდების შეწყვეტიდან საბიძგებელას ჭოკის დაშვების დაწყებამდე;

$\tau_{\text{დაშ.}}$  – არის ის დრო, რომელიც ტოლია დროის ჭოკის დაშვების დაწყებიდან მექანიზმის დამუხრუჭების დაწყებამდე, ანუ მუხრუჭის ხუნდების ფრიქციული მასალის სამუხრუჭე დოლთან შეხებამდე;

$\tau_{\text{დამ.}}$  – არის ჭოკის დაშვების დროის მონაკვეთი მუხრუჭების ხუნდების ფრიქციული მასალის სამუხრუჭე დოლთან შეხებიდან სამუხრუჭე დოლის და მექანიზმის სრულ გაჩერებამდე, ანუ დრო, როდესაც მიმდინარეობს უშუალოდ დამუხრუჭების პროცესი.

მპს-ში ჭოკის დაშვების დაწყების დაყოვნების დრო  $\tau_{\text{დაშ.დაყ.}}$  განპირობებულია საბიძგებელას მუდმივი დენის ელექტრომაგნიტის ნარჩენი მაგნეტიზმით გამოწვეული ღუზის გულანასთან მიზიდულობის ძალით. ნარჩენი მაგნეტიზმით გამოწვეული მიზიდვის ძალაში იგულისხმება მიზიდვის ძალის ის სიდიდე, რომლის ზემოქმედებით საბიძგებელას მუდმივი დენის ელექტრომაგნიტის ღუზა მიზიდულია გულანაზე, მანამ სანამ ის არ შემცირდება იმ სიდიდემდე, როცა მისგან წარმოქმნილი მიზიდულობის ძალა ვეღარ შეაკავებს ღუზას მიზიდულ

მდგომარეობაში და ღუზა მოშორდება გულანას და დაიწყებს დაშვებას, მასთან ერთად დაშვებას იწყებს საბიძებელას ჭოკიც. ნარჩენი მაგნეტიზმით გამოწვეული დაშვება დრო საკმაოდ არსებით სიდიდეს წარმოადგენს, განსაკუთრებით საბიძებელას დიდი სიმძლავრის ელექტრომაგნიტების დროს და შეიძლება იყოს 0,3 0,6 წმ [1].

პრაქტიკაში მუდმივი დენის ელექტრომაგნიტებში ნარჩენი მაგნეტიზმით გამოწვეული ღუზის მიზიდვის ძალის შესამცირებლად ღუზასა და გულანას შორის ათავსებენ არამაგნიტური მასალის თხელ ფირფიტას. რადგან ღუზა უშუალოდ ვერ ეხება გულანას მიზიდვისას, ანუ მათ შორის არის საპაერო ღრებო ფირფიტის სისქის სიდიდისა, ამიტომ ნარჩენი მაგნეტიზმით გამოწვეული მიზიდვის საწყისი ძალაც მცირეა და ღუზაც ელექტრომაგნიტისადმი დენის მიწოდების შეწყვეტისთანავე ეშვება ქვევით. ამ დროს იზრდება ღუზასა და გულანას შორის საწყისი საპაერო ღრებო ფირფიტის სისქის ბჟ სიდიდით. ამ შემთხვევაში ღუზის მიზიდვის დრო იანგარიშება ფორმულით [2]

$$t_{\text{გონ.}} = \sqrt{\frac{3m\delta_{\text{ღ}}}{u \cdot \sqrt{\frac{P_{\text{ღ}}}{2\delta_0 \cdot L_0} - R \frac{P_{\text{ღ}}}{L_0}}}}, \quad (1)$$

სადაც,  $m$  – საბიძებელას მუდმივი დენის ელექტრომაგნიტის მოძრავი ნააწილების მასაა;

$\delta_{\text{ღ}}$  – ღუზის სვლის სიდიდე;

$\delta_0$  – ღუზასა და გულანას შორის საწყისი საპაერო ღრებოს სიდიდე;  $\delta_0 = \delta_{\text{ღ}} + \delta_{\text{ფრ}}$

$\delta_{\text{ფრ}}$  – არამაგნიტური მასალის ფირფიტის სისქე;

$u$  – ძაბვაა;

$P_{\text{ღ}} = \text{ღუზაზე } \text{მოქმედი } \text{უკუქმედი } \text{ძალა};$

$R$  – ელმაგნიტის კოჭის წინაღობა;

$L_0$  – კოჭის ინდუქციურობა ღუზის საწყისი მდებარეობის დროს.

ღუზის მიზიდულობის ძალა კი იანგარიშება ფორმულით

$$P_{\text{გონ.}} = \frac{1}{2} i^2 \frac{\mu_0 S \omega^2}{(\delta_0 - \delta_{\text{ღ}})^2}, \dots \quad (2)$$

სადაც  $i$  – დენის ძალა;

$\mu_0$  – ჰაერის შეძლევადობა;

$S$  – ღუზის განივევეთის ფართი;

$\omega$  – ელექტრომაგნიტის კოჭის ხვიათა რიცხვი.

ფორმულა (1) და (2)-ის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ არამაგნიტური მასალის ფირფიტის არსებობისას ელექტრომაგნიტის ღუზის მიზიდვის დრო იზრდება, ხოლო მიზიდვის ძალა მცირდება, ამიტომ საბიძებელას სასურველი ტექნიკური მახასიათებლების მიღებისათვის ამ შემთხვევაში საბიძებელას ელექტრომაგნიტის სიმძლავრე უნდა გაიზარდოს, რაც, ერთი მხრივ, არასასურველია, რადგან იზრდება ელექტროენერგიის და ელმაგნიტის ძვირადლირებული მასალის ხარჯი, ასევე იზრდება მჭს-ს გაბარიტები და წონა. ამიტომ მჭს-ს მუდმივი დენის ელექტრომაგნიტებში არამაგნიტური მასალის ფირფიტის გამოყენება ნარჩენი მაგნეტიზმით გამოწვეული მიზიდვის ძალის შესამცირებლად არ არის მიზანშეწონილი.

ჭოკის დაშვების დრო  $\tau_{\text{დაშ.}} = \frac{1}{M_{\varrho\alpha\theta} \pm M_1} \left[ (1,1 \div 1,2) \frac{GD_1^2 n_1}{375} + \frac{QD_{\varrho}^2 n_1 \eta_0}{375 i^2 a^2} \right]$  სითხის სიბლანტეზე, საბიძებელას ჰიდრავლიკურ წინაღობებზე, მოძრავი მასების ინერციული ძალების სიდიდეზე, ჭოკზე მოქმედ გარე დატვირთვაზე და, რაც მთავარია, მარეგულირებელი ვენტილის სარქველის გახსნის ხარისხზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი მეტნაკლებად მოქმედებს არსებულ მჭს-ის ჭოკის დაშვების დროზე და მათი თავიდან აცილება შეუძლებელია.

ტვირთამწე მექანიზმებში ასაწევი ან დასაშვები ტვირთის დამუხრუჭების დრო იანგარიშება ფორმულით [1]

$$\tau_{\text{დაშ.}} = \frac{1}{M_{\varrho\alpha\theta} \pm M_1} \left[ (1,1 \div 1,2) \frac{GD_1^2 n_1}{375} + \frac{QD_{\varrho}^2 n_1 \eta_0}{375 i^2 a^2} \right] \quad (3)$$

სადაც  $GD_1^2$  – მბრუნავი მასების სამქევარო მომენტია (ძრავის როტორის, ქუროს, ძრავისა და რედუქტორის შემაერთებელი ლილვის, სამუხრუჭების შკივის და რედუქტორის ლილვების ჩათვლით);

$n_1$  – მუხრუჭის ლილვის ბრუნვის სიხშირე;

$a$  – პოლისპატების კერადობა

$M_T$  – მუხრუჭების შკივზე მოქმედი სამუხრუჭე მომენტი დამუხრუჭებისას;

$i$  – გადაცემათა რიცხვი;

$\eta_0$  – მექანიზმის საერთო მ.ქ.კ.;

$Q$  – ნომინალური ტვირთის წონა;

$D_{\varrho}$  – დოლის დიამეტრი;

$M_1$  – დამუხრუჭების პროცესში ტვირთის მიერ სამუხრუჭე ლილვზე წარმოქმნილი მომენტი. ნიშანი პლიუსი  $M_1$ -ის წინ შეესაბამება ასაწევი ტვირთის დამუხრუჭებას, ხოლო ნიშანი მინუსი – დასაშვები ტვირთის დამუხრუჭებას.

ფორმულა (3)-ის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ  $\tau_{\text{დამ.}} - \tau_{\text{შემცირება}}$  მოცემული სამუხრუჭე სისტემებისათვის შესაძლებელია, თუ სამუხრუჭე მომენტის  $M_T$  სიდიდე სწრაფად მიაღწევს თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას, მაგრამ სამუხრუჭე მომენტის სწრაფი ზრდა შეზღუდულია მუხრუჭის ამძრავის ჭოკის დაშვების სიჩქარით. აღნიშნული სიდიდე რეგულირდება მჰს-ს მარეგულირებელი ვენტილით, რომელიც უზრუნველყოფს დამუხრუჭების სიმდოვრის ნებისმიერ ხარისხს. მცირე  $\tau_{\text{დამ.}} - \tau_{\text{შემცირება}}$ , ანუ მკვეთრი დამუხრუჭებისას წარმოიქმნება დინამიური და-ტვირთვები და რხევები სამუხრუჭე სისტემებში და მანქანა-მექანიზმის ლითონ-კონსტრუქციებში.

საბიძგებელას ჭოკის სრული დაშვების დროის შესაძლებლად შექმნილია რიგი კონსტრუქციები ელექტროპიდრავლიკური და მაგნიტურპიდრავლიკური საბიძგებლებისა [1,3]. თუმცა ამ კონსტრუქციის საბიძგებლებში მცირდება როგორც  $\tau_{\text{დამ.}}$ , ისე  $\tau_{\text{დამ.}}$  სიდიდეები. გამომდინარე აქედან გამორიცხულია მდოვრუ დამუხრუჭების პროცესის უზრუნველყოფა და მათი გამოყენება სამუხრუჭე სისტემებში არა რეკომენდირებული. ამიტომ ფართო გამოყენება პპოვეს მარეგულირებელი სარქველებით აღჭურვილმა საბიძგებლებმა.

ჩვენს მიერ შექმნილია ორიგინალური კონსტრუქციის მჰს [4], სადაც შესაძლებელია ჭოკის დაშვების დროის  $\tau_{\text{დამ.}}$  სიდიდის შემცირება ნებისმიერ სასურველ სიდიდემე და შემდგომ ნებისმიერ საჭირო მომენტში (მაგ., დამუხრუჭების დაწყებისას) მისი დაშვების სიჩქარის სიმდოვრის რეგულირება ნებისმიერი ხარისხით. აღნიშნული საბიძგებელას გამოყენება საგრძნობ ეფექტს იძლევა მისი ჭოკის სვლის დიდი სიდიდისას, როცა სასურველია რაიმე პროცესის ჯერ სწრაფად წარმართვა, ხოლო შემდეგ მისი სიჩქარის სიმდოვრის რეგულირება. მაგალითად, ამ საბიძგებელას მუხრუჭების ამძრავად გამოყენებისას მიღწევა დამუხრუჭების სწრაფად დაწყება და შემდგომ დამუხრუჭების პროცესის მდოვრედ წარმართვა.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამუხრუჭე სისტემებში (განსაკუთრებით დიდი მასების დამუხრუჭებისას) აუცილებელია მდოვრე დამუხრუჭების პროცესის უზრუნველყოფა, რომელიც მიღწევა მჰს მუხრუჭების ამძრავად გამოყენებული საბიძგებლების ჭოკის დაშვების დროის გაზრდით.

იმ მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის დროს, სადაც ამძრავად გამოყენებულია საბიძგებლები, შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი ავარიული სიტუაცია, რომლის დროსაც აუცილებელი იქნება მომუშავე მანქანა-დანადგარების სწრაფი გაჩერება, ან რაიმე ტექნოლოგიური პროცესის სწრაფი შეწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გაჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს მათი მწყობრიდან გამოსვლა. მაგრამ არსებული მარეგულირებელი გენტილიანი

საბიძგებლების გამოყენებისას ეს შეუძლებელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ არსებულ ელექტროჰიდრავლიკურ და მაგნიტურჰიდრავლიკურ საბიძგებლებში ჭოკის დაშვება საბიძგებლებისადმი ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის გარეშე შეუძლებელია.

ზემოთ განხილული მპს-ების მუშაობის პრინციპების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებული საბიძგებლებიდან ვერცერთი ვერ უზრუნველყოფს ავარიულ სიტუაციაში ჭოკის სწრაფ დაშვებას (შესაბამისად სწრაფ დამუხრუჭებას). ამიტომ ჩვენი მიზანია შეიქმნას ისეთი კონსტრუქციის მპს, რომელიც სამუხრუჭე სისტემებში გამოყენებისას უზრუნველყოფს დამუხრუჭების სიმდოვრის ნებისმიერ ხარისხს, ხოლო ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება საბიძგებლას ჭოკის სწრაფი დაშვება, რითაც მიღწეული იქნება სწრაფი დამუხრუჭება.

ჩვენს მიერ შემუშავებულია არსებული მპს-ს ბაზაზე მპს-ს ორიგინალური კონსტრუქცია [5], რომელიც წარმოადგენს კორპუსს ორი ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა დიამეტრის პიდროცილინდრებით. ამ უკანასკნელთა მცირე დიამეტრის დგუში ჭოკის მეშვეობით დაკავშირებულია ამსრულებელ მექანიზმთან, ხოლო დიდი დიამეტრის დგუში წარმოადგენს მუდმივი დენის ელექტრომაგნიტის ღუზას, რომელიც მოთავსებულია ელექტრომაგნიტის კოჭის შიგნით მოთავსებული პიდროცილინდრში. მცირე დიამეტრის დგუშსზედა არე მიღის და მარეგულირებელი ვენტილის მეშვეობით დაკავშირებულია დიდი დიამეტრის დგუშსქვედა არესთან, ხოლო პიდროცილინდრის მცირე დიამეტრის დგუშსქვედა არე დაკავშირებულია ზეთის ავზთან ხვრელით, რომელიც დახშულია მუდმივი დენის ელექტრომაგნიტური სარქველის სარქველით, სარქველი კი ზამბარიანი ღეროთი დაკავშირებულია ელექტრომაგნიტური სარველის ელექტრომაგნიტის ღუზასთან. აღნიშნული საბიძგებლას მუშაობის პრინციპი იგივეა, რაც პროტოტიპად აღებული მპს-სა; მისი მუხრუჭებში ამძრავად გამოყენებისას უზრუნველყოფილია დამუხრუჭების სიმდოვრის ნებისმიერი ხარისხის მიღება.

მანქანა-დანადგარების მუშაობის პროცესში ავარიული სიტუაციის წარმოქმნისას საბიძგებელას ჭოკის სწრაფი დაშვებისათვის ავარიულ ღილაკზე ხელის დაჭერით ჩაირთვება საბიძგებელას ელექტრომაგნიტური სარქველის მუდმივი დენის ელექტრომაგნიტი, რომლის ღუზა მიეზიდება გულანას. ღუზა ზამბარიანი ღეროს მეშვეობით სარქველით გახსნის მცირე დიამეტრის დგუშსქვემთ ცილინდრში არსებულ ხვრელს. ჭოკი ზედა მუშა კიდურა მდგომარეობაში ყოფნისას მცირე დიამეტრის დგუშის მეშვეობით მუდმივად აწვება მუშა სითხეს მასზე მოქმედი გარე ძალისა და საკუთარი წონის გავლენით და ქმნის ჭარბ წნევას, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე მუშა სითხის აგზში არსებული წნევა. ამიტომ მუშა სითხე მცირე

დიამეტრის დგუშს ქვედა არედან სწრაფად გადაედინება მუშა სითხის ავზში მცირე დიამეტრის ცილინდრში არსებული ზვრელით ყოველგვარი წინაღობის გარეშე და ჭოკიც მცირე დიამეტრის დგუშთან ერთად სწრაფად დაეშვება ქვედა საწყის მდებარეობამდე. ჭოკის დაშვებას ველარ ეწინააღმდეგება ვერც ნარჩენი მაგნეზიტმით გამოწვეული მიზიდულობის ძალა და, რაც მთავარია, ვერც მარეგულირებელი ვენტილის სარქველის გახსნის ნებისმიერი ხარისხი.

ჭოკის ქვედა კიდურა მდებარეობაში მისვლის შემდეგ ითიშება ელექტრომაგნიტური სარქველის ელექტრომაგნიტი და სარქველი ახშობს მცირე დიამეტრის ცილინდრისა და მუშა სითხის ავზის დამაკავშირებელ ზვრელს. ჭოკის ქვედა კიდურა მდებარეობაში მისვლისთანავე ბოლო გამომრთველის მეშვეობით გაითიშება მჰს-ს ელექტრომაგნიტი. ღუზა-დგუში მოშორდება რა ელმაგნიტის გულანას, თავისი წონის გავლენით დააწვება რა მის ქვემოთ არსებულ მუშა სითხეს და მილისა და მარეგულირებელი ვენტილის გავლით გადაჭირხნის მუშა სითხეს ავზში. ღუზა-დგუში დაშვებისას შეიწოვს მუშა სითხეს მის ზედა არეში მუშა სითხის ავზიდან ცალმხრივმოქმედი სარქველის მეშვეობით, როცა ღუზა-დგუში მიაღწევს საწყის ქვედა კიდურა მდებარეობას, ელექტრომაგნიტური სარქველიც გაითიშება და დაიხშობა მცირე დიამეტრის ცილინდრის მუშა სითხის ავზთან დამაკავშირებელი ზვრელი. ამის შემდეგ საბიძგებელი მზადაა კვლავ ჩასართავად, როცა აღმოიფხვრება ავარიული სიტუაცია.

## დასპპნა

ამგვარად ჩვენს მიერ შემუშავებული ორიგინალური კონსტრუქციის მჰს-ს ჭოკის დაშვების სიჩქარე ავარიული სიტუაციისას არაა დამოკიდებული მარეგულირებელი სარქველის გახსნის ხარისხზე, არც ნარჩენი მაგნეტიზმით გამოწვეულ მიზიდულობის ძალაზე და ასევე მჰს-ს ელექტრომაგნიტისადმი ელექტროენერგიის მიწოდებაზე. ამიტომ შესაძლებელია ჭოკის დაშვების სიჩქარის მაქსიმალურად გაზრდა მცირე დიამეტრის პიდროცილინდრისა და მუშა სითხის ავზის დამაკავშირებელი ზვრელის დიამეტრის შერჩევით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მჰს-ს ამწე-სატრანსპორტო მანქანების მუხრუჭების ამძრავად გამოყენებისას უზრუნველყოფილია დამუხრუჭების სიმდოვრის ნებისმიერი ხარისხი და ასევე ავარიული სიტუაციისას მკვეთრი დამუხრუჭება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **М.П. Александров.** «Тормоза подъемно-транспортных машин». Москва, «Машиностроение», 1976г., 383 с.

2. А.К. Тер-Акопов. «Динамика быстродействующих электромагнитов». Москва, «Энергия», 1965г., 166с.
3. Э.М. Гусельников, В.Ф. Фотт. «Электрогидравлические толкатели». Москва, «Энергия», 1968г., 111с.
4. С.Г. Бицадзе. «Магнитогидравлический толкатель», А.С. №1331817, Бюллетень изобретений №31. Москва, 1987г.
5. ს. ბიწაძე – პატენტი გამოცემაზე P4846 – მაგნიტურჰიდრავლიკური საბიძებელი. სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი. 2009.11.25 №22.

## МАГНИТОГИДРАВЛИЧЕСКИЙ ТОЛКАТЕЛЬ С ВОЗМОЖНОСТЬЮ БЫСТРОГО ОПУСКАНИЯ ШТОКА

**С.Г. Бицадзе, Р.Г. Бицадзе**

### Резюме

В статье рассмотрена зависимость времени торможения механизма подъема от времени опускания штока приводного толкателя. Проанализированы все те факторы, которые препятствуют уменьшению времени опускания штока магнитогидравлического толкателя, в котором достигнута возможность быстрого опускания штока в нужное время, без выключения электромагнита толкателя. При использовании данного толкателя как привода тормозов грузоподъемных машин возможно получение как плавного, так и резкого торможения при возникновении аварийной ситуации.

## MAGNETOHYDRAULIC PUSHERS WITH THE POSSIBILITY OF STOCK'S QUICK DOWN-STROKE

**S.G. Bitsadze, R.G. Bitsadze**

### Summary

Dependence of lifting mechanism braking time on the time of driving pusher's down-stroke is considered in the article. All those factors are analyzed that hinder reduction in down-stroke time of magnetohydraulic pusher stock's, in which the possibility of stock's quick down-stroke at proper time is reached, without switching off of pusher's electromagnet. When using the given pusher as of driving gear of lifting machines' brakes is possible to get both smooth, and hard braking during emergency situation.

**შპგ 06**

**ტვირთის გადაზიდვის სამართლებრივი ორგანიზაცია  
საქართველოს კანონმდებლობით**

**(ზოგადი მიმღებლება)**

**ელა კუსიანი\***

(ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის  
გამზ. 3, II კორპ., 0179, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომი ეხება ტვირთის გადაზიდვის პროცესის სამართლებრივ რეგლამენტიციას საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით. ნაშრომში ასევე განხილულია გადაზიდვის ხელშეკრულება, როგორც გადაზიდვის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ბაზისი, გადაზიდვის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა და მხარეთა მორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტის წესი. სტატია ასევე შეეხაბა გადაზიდვების სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას, ამასთან, რეკომენდაციის სახით გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება გადაზიდვების ეფექტურობისა და ხარისხის აძლლების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** ტვირთი, ტრანსპორტი, გადაზიდვის ხელშეკრულება, ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები, გადამზიდველი, შიდასახელმწიფოებრივი /საერთაშორისო გადაზიდვები.

ცივილიზაციული საზოგადოების არსებობა ტრანსპორტის გარეშე შეუძლებელია. ტრანსპორტი ეკონომიკური საქმიანობის ნაწილია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან საქონლის (ტვირთის) ან ადამიანთა გეოგრაფიული ადგილის შეცვლის გზით. საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვები კვლავაც რჩება ქვეყანაში საინვესტიციო საქონლის შემოტანის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ, ასევე ასრულებენ ძირითად როლს მოსახლეობის სურსათით და სხვადასხვა სამომხმარებლო საქონლით მომარაგებაში.<sup>1</sup> ტრანსპორტის ქსელის გაფართოება

\* თსუ-ის იურიდიული ფარულტეტის მაგისტრანტი

<sup>1</sup> ზაალიშვილი, ლ., საქართველო საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების სისტემაში, ავტორეფერატი, თბ., 2003, 17.

ხელს უწყობს ჩამორჩენილი რაიონების ეკონომიკურ აღმავლობას, სხვა რაიონების კულტურის კერძოან დაკავშირებასა და დაახლოებას.

საქართველო წარმოადგენს ევროპა-კავკასია-ცენტრალური აზიის სატრანსპორტო სისტემის საკვანძო პუნქტს. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე საქართველოს უჩნდება რეალური შანსი გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც საგრძნობლად გაზრდის ქვეყნის შემოსავლებს, შექმნის მეტ სამუშაო ადგილს, ხელს შეუწყობს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას. რაც თავის მხრივ უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ისეთი დარგების აღორძინებისათვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტურიზმი. გამართული სატრანსპორტო სისტემა განაპირობებს მარალი ხარისხის სერვისს, იაჟ და უფასო მიწოდების ქსელს.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითად მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო და საპარო ტრანსპორტი. მისი დანიშნულებაა მსოფლიოს სხვადასხვა ბიზნეს-სტრუქტურებს შორის კავშირის დამყარება კოოპერაციის და კოორდინაციის, საერთაშორისო კონვენციებისა და სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ტრანსპორტის სფეროში<sup>2</sup> ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას შეუმუშავებს და ამ სფეროში სახელმწიფო მმართველობას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.<sup>3</sup> ტრანსპორტის სფეროს ტექნიკურ რეგულირებას ახორციელებს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია, რომელიც არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. ადმინისტრაციის ძირითადი ფუნქციებია: სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას, ტვირთების გადაზიდვისას უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება და დამტკიცება, ტექნიკური რეგლამენტის შესრულების ზედამხედველობა.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი “ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ” ტრანსპორტის სფეროს

განმარტავს როგორც სატრანსპორტო სისტემისა და სატრანსპორტო პროცესის ერთობლიობას.

სატრანსპორტო პროცესი ეს არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვას. სატრანსპორტო სისტემა კი მოიცავს სავტომობილო, საზღვაო/სამდინარო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავაციის სფეროს სატრანსპორტო საწარმოთა, ხელოვნურ სატრანსპორტო ნაგებობათა, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო ქსელისა და მართვის სისტემათა ერთობლიობას.

<sup>3</sup> საქართველოს კანონი “ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ”, მე-5 მუხლი.

ტრანსპორტი შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი ქვესისტემის სახით: საერთო სარგებლობის ტრანსპორტი, რომელიც მომხმარებელს აწვდის სხვადასხვა სახის პროდუქციას და არასაერთო სარგებლობის ტრანსპორტი, რომელიც მასალებსა და სხვა სახის ნედლეულის მომოქცევის საშუალებაა, რომელსაც არა აქვს მიღებული საბოლოო პროდუქციის სახე და არის მოქცეული მიმოქცევის სფეროში.<sup>4</sup>

საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეებია: სარკინიგზო, საზღვაო, საავტომობილო, საჰაერო და მილსადენი ტრანსპორტი. თითოეული ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებით განხორციელებული გადაზიდვა ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით და რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით. მაგალითად, საჰაერო ხომალდით განხორციელებული გადაზიდვა სამართლებრივად წესრიგდება საჰაერო კოდექსით; საზღვაო გადაზიდვები – საზღვაო კოდექსით; საავტომობილო გადაზიდვები – საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ კანონით. ამასთან, ტრანსპორტის ყველა სახისათვის მოქმედებს საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები. აღნიშნული სამართლის წყაროები სარგებლობენ უპირატესობით ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, თუ საქართველო მიერთებულია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან.<sup>5</sup>

საქართველოში მოქმედებს შემდეგი საერთაშორისო კონვენციები:

- ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ;
- კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ 1924 წლის საერთაშორისო კონვენცია “ჰააგა-ვიზბის წესები”;
- ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ გაეროს 1978 წლის კონვენცია “ჰამბურგის წესები”.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს თუ როგორ რეგულირდება სამართლებრივად ტვირთის გადაზიდვის პროცესი საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით. განხილულ იქნება გადაზიდვის ხელშეკრულება, როგორც გადაზიდვის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ბაზისი, გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმები, ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა და მხარეთა შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტის წესი.

## 2. გადაზიდვის ხელშეკრულება.

დღეისათვის სამეწარმეო ურთიერთობების ძირითად ბაზისს ხელშეკრულება წარმოადგენს. ნებისმიერი საწარმოს კომერციული გეგმის რეალიზაცია შეუძლებელია გარიგებისა და

<sup>4</sup> ზალიშვილი, ლ., საქართველო საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების სისტემაში,

ავტორეფერაციით, 2003, 12.

<sup>5</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-6 მუხლი.

ხელშეკრულების გარეშე. იყო მეწარმე, განახორციელო სამეწარმეო საქმიანობა და არ დადო ხელშეკრულება - უბრალოდ წარმოუდგენელია.

ხელშეკრულება მხარეებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმებაა, იურიდიული აქტია, რომელშიც გამოხატულია ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის თანხმობა. ყველა საქმიანი ურთიერთობა სამეურნეო სუბიექტთა შორის რეგულირდება კანონმდებლობითა და იმ პირობებით, რომლებსაც ისინი ითვალისწინებენ შესაბამის ხელშეკრულებაში. კომერციული საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმით, თუ რამდენად სწორადაა შედგენილი და გაფორმებული ხელშეკრულება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სწორედ ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს, მათ პასუხისმგებლობას, მიწოდების ვადებს, ანგარიშსწორების წესებს და სხვ.<sup>6</sup>

ტვირთების გადაზიდვას ყოველთვის წინ უსწრებს შეთანხმების მიღწევა ხელშეკრულების ძირითად პირობებზე, როგორიცაა ვადები და ტვირთის გადაზიდვისათვის საჭირო სატრანსპორტო ერთეულების ოდენობა, ასევე ტვირთის მოცემულობა და მისი თვისებები. სამოქალაქო კოდექსი პირს, რომელიც საჯაროდ სთავაზობს ტვირთის გადაზიდვას, ავალებს დადოს ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება. ასეთი შეთანხმების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე რაციონალურად და ეკონომიურად იქნეს გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის თანახმად, გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიტანოს გამგზავნის მიერ მისთვის ჩაბარებული ტვირთი<sup>7</sup> დანიშნულების ადგილზე და გადასცეს იგი ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილ პირს. ხოლო გამგზავნი ვალდებულია გადაიხადოს გადაზიდვის საფასური.

ფრახტის (ჩარტერის) ხელშეკრულების საფუძველზე, ტვირთის გადამზიდავი ან გამფრახტველი ვალდებულებას იღებს გადაზიდოს ტვირთი და ჩაბაროს იგი მიმღებს, ხოლო გამგზავნი ან დამფრახტველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს გადაზიდვის ღირებულება (ფრახტი).

ჩარტერის დროს ხდება ერთ ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების მთლიანი ტევადობის ან მისი ნაწილის გამოყოფა ერთი ან რამდენიმე რეისით. შესაბამისად, გადაზიდვის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად გვევლინებიან: ტვირთგამგზავნი, გადამზიდავი ფირმები და ტვირთმიმღები. “მიმღები” არის ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილი პირი. ამასთან, მიმღები შეიძლება თავად იყოს ტვირთის გამგზავნი.

<sup>6</sup> იაშვილი, თ., როგორ გავაფორმოთ ხელშეკრულება, თბ., 2005, 5.

<sup>7</sup> საქართველოს სარკინიგზო კოდექსის მე-2 მუხლის, პ13 ქვეპუნქტი ტვირთს განმარტავს როგორც ქონებას, რომელიც ტვირთის მფლობელის მიერ მიწოდებულია გადასაზიდად.

გადამზიდავი ფირმები ფლობენ სატრანსპორტო საშუალებას და სახელმწიფო ნებართვის საფუძველზე ახორციელებენ გადაზიდვას. ნებართვას იძლევა ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ან თვითმმართველი ქალაქის უფლებამოსილი ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ნებართვის გაცემის წესი დგინდება “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით. ამასთან, სატრანსპორტო საშუალება კანონით დადგენილი წესით უნდა იყოს რეგისტრირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში საექსპლოატაციოდ არ დაიშვება.

სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელი მძღოლები გზებზე ტვირთის გადაზიდვის დროს ვალდებული არიან უზრუნველყონ მოძრაობის უსაფრთხოება.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, ჩადენილი განზრახ თუ გაუფრთხუილებლობით გამოიწვევს სხვადასხვა სახის თურიდოულ პასუხისმგებლობას: ადმინისტრაციულს, სამოქალაქოს თუ სისხლის სამართლებრივს.<sup>8</sup>

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის ძირითადი წყაროებია: განზრახი, გაუფრთხილებლი ქმედებები, ავტომანქანის ტექნიკური გაუმართაობა, გზებისა და მაგისტრალების მოუწესრიგებლობა და სხვ.

### 3. გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმები

სსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი გარიგებისათვის კანონით არ არის განსაზღვრული სპეციალური ფორმა სსკ-ის 68-ე მუხლით დეკლარილებულია მხარეთა უფლებამოსილება - თვითონ განსაზღვრონ იგი.

თუ არ არის დაცული კანონით გათვალისწინებული ფორმა, ნების გამოვლენა არ არსებობს. ფორმა არ არის თვითმიზანი, არამედ სხვადასხვა მიზნის მიღწევის საშუალებაა და განპირობებულია ამ მიზნებით. ფორმის მიზნებია: გარიგების დადების სიცხადე, მისი შინაარსის სიცხადე, მტკიცების გამარტივება და სხვ.<sup>9</sup>

გადაზიდვის ხელშეკრულებები მათი ფორმების მიხედვით შეიძლება დავყოთ შემდეგ ტიპებად: ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებები, რომლებიც ფორმდება ზედნადების ან

<sup>8</sup> წიკლაური, ქ., საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად წარმოშობილი სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასპექტები, შრომები, საქართველოს საავტომობილი-საგზაო ინსტიტუტე, თბ., 2007, 53.

<sup>9</sup> კერესელიძე, დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 286.

კონსამენტის სახით (ეს არის კონკრეტული ტვირთის გადაზიდვის რეალური ხელშეკრულებები); ხელშეკრულებები, რომლებშიც ოფერტის აქცეპტირება ხდება კონკლუდენტური ქმედებებით (სატრანსპორტო ორგანიზაციის მიერ განცხადების ან სხვა შეკვეთის მიღება ტვირთის გამგზავნისგან ტვირთის გადასაზიდად ტრანსპორტის გამოყოფის თაობაზე), ხელშეკრულებები, რომლებიც იდება საერთო წესით.

გადაზიდვის ხელშეკრულების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ზედნადები. ზედნადების არარსებობის, მისი ხარვეზების ან დაკარგვის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულების შინაარსი და ნამდვილობა განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებითაც გადაზიდვის ხელშეკრულება წესრიგდება.

ზედნადები წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება. ზედნადები გამოიწერება 3 ეგზემპლარად. პირველი პირი გადაეცემა გამგზავნს, მეორე პირი თან ახლავს ტვირთს, მესამე პირი რჩება გადამზიდავთან. ზედნადები წარმოადგენს გადაზიდვის ხელშეკრულების დადების, მისი პირობების, გადამზიდვლის მიერ ტვირთის მიღების მტკიცებას<sup>10</sup> – პრიმა ფაციე.

გამგზავნი ვალდებულია ზედნადებს დაურთოს ყველა ის საბუთი, რომელიც აუცილებელია ტვირთის მიტანამდე საბაჟო და სხვა მსგავს მოქმედებათა შესასრულებლად ან გადასცეს ეს საბუთები გადამზიდველს და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია.

ზედნადები ადასტურებს უმნიშვნელოვანეს მონაცემებს (სსკ-ის 674-ე მუხლი), რომლებიც ეხება ტვირთის გადატანას. ზედნადების მონაცემები სწორად და სრულყოფილად უნდა იქნეს შევსებული. გამგზავნი პასუხს აგებს ყველა იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც დადგა იმის გამო, რომ არასწორად ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია.

#### 4. გადაზიდვის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი

გადაზიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და მოვალეობები:

გადამზიდველი განსაზღვრავს ტვირთის გადაზიდვისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებათა ტიპს; განახორციელებს ტვირთის ჩატვირთვას ტვირთის გადაცემის ადგილას, ტვირთის ჩამოტვირთვას დანიშნულების პუნქტში. გადამზიდველი ვალდებულია ტვირთის მიღებისას შეამოწმოს: ტვირთის ცალიბრიგი რაოდენობა, მათი ნიშნებისა და ნორმების შესახებ ზედნადებში აღნიშნულ მონაცემთა სისტორე; ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობა.

<sup>10</sup> შენევის კონვენცია “ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ”, მე-9 მუხლი. საქართველოში ძალაშია პარლამენტის 1999 წლის 22 ივლისის დადგენილებით.

გამგზავნს შეუძლია გადამზიდველს მოსთხოვოს, რომ გადამზიდველმა გადაამოწმოს ტვირთის წონა ან მისი სხვაგვარად მოცემული რაოდენობა. მას შეუძლია ასევე მოითხოვოს, რომ გადამზიდველმა შეამოწმოს გადასაზიდი ტვირთის შემცველობა. გადამზიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ამ შემოწმებასთანდაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. გადამოწმების შედეგები უნდა აღინიშნოს ზედნადებში. გამგზავნი ამზადებს ტვირთს გადასაზიდად; შეფუთავს სათანადოდ, ამზადებს დოკუმენტაციას.

ხელკშეკრულების მხარეები ასევე თანხმდებიან გადაზიდვისათვის გადასახდელი თანხის ოდენობაზე, გადახდის ვადასა და ანგარიშსწორების წესზე.

## 5. გადაზიდვის ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა

თუ პირმა იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს კიდეც – *Pakta sunt servanda - ხელშეკრულება უნდა შესრულდეს.* ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის გათვალისწინებულია მხარეთა მატერიალური პასუხისმგებლობა.

საქრთველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გადამზიდველის პასუხისმგებლობას ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის.

ტვირთის დაკარგვა გულისხმობს მიმღებისათვის მისი გადაცემის შეუძლებლობას კანონით დადგენილ ვადებში, რაც შეეხება ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვას ანუ ე.წ. დანაკლისს, იგი გულისხმობს განსხვავებას გადასაზიდად მიღებული და მიმღებისათვის ჩაბარებული ტვირთის წონაში ან რაოდნობაში.

გადამზიდველი პასუხესს აგებს ასევე ტვირთის დაზიანებისათვის. ტვირთი დაზიანებულად ითვლება, თუ დანიშნულების ადგილზე გადატანილი ტვირთის ხარისხი არ შეესაბამება მის პირვანდელ ხარისხს, რაც მითითებულია სატრანსპორტო დოკუმენტაციაში. ამდენად, გადამზიდველი პასუხისმგებელია მისთვის გადასაზიდად გადაცემული ტვირთის შენარჩუნებისათვის (ანუ პასუხეს აგებს მისი დაკარგვის, დანაკლისისა და დაზიანებისათვის) ტვირთის მიღების მომენტიდან მიმღებისათვის დანიშნულების ადგილზე ჩაბარებამდე.

გადამზიდველის პასუხისმგებლობის საერთო პირობას წარმოადგენს მისი ბრალი. ის პასუხეს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისათვის, თუ არ დაამტკიცებს, რომ აღნიშნული გამოწვეულია უფლებამოსილი პირის

(გამგზავნი, მიმღები) ბრალით ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს. ასევე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებითაა გამოწვეული, რომელთა

თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აუცილებიანა. ამგვარად თავად გადამზიდველმა უნდა დაამტკიცოს მისი ბრალის არარსებობა ერთ-ერთ ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებებზე მითითებით, რათა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.

თუ სატრანსპორტო საშუალებით უნდა განხორციელდეს საფრთხის შემცველი (ადვილად აალებადი, ფეთქებადი და ა.შ.) ტვირთის გადაზიდვა, გამგზავნს ეკისრება ვალდებულება გადამზიდველს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია და გააფრთხილოს ამ ტვირთის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში დააზღვიოს ეს ტვირთი. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ასეთი სახის ტვირთის ტრანსპორტირება განსაკუთრებული სიფრთხილეს და სათანადო ზომების მიღებას მოითხოვს გადამზიდველისაგან, რისი განხორციელებაც მას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა იცის გადასაზიდი ტვირთის სახე და თავისებურებანი.

## 6. გადაზიდვის ხელშეკრულების შხარეთა შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტის წესი

ტვირთის გადატანასთან დაკავშირებული დავების განხილვა ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, კერძოდ, განსაკუთრებული საპრეტენზიო წესით. პრეტენზია ანუ ე.წ. რაკლამაცია არის მიმართვა გადამზიდველისადმი გადაზიდვის ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო ჯარიმის გადახდის ან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო ჯარიმის გადახდის ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. პრეტენზიის და სარჩელის წარდგენის ზოგადი წესი მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, ხოლო სპეციალური წესები განმტკიცებულია შესაბამის სატრანსპორტო კანონმდებლობაში. სამოქალაქო კოდექსი ადგენს პრეტენზიის წარდგენის წესსა და ვადებს.

თუ მიმღები ტვირთის მიღებისას გადამზიდველთან ერთად არ შეამოწმებს ტვირთის მდგომარეობას და არ წაუყენებს გადამზიდველს ზოგადი ხასიათის პრეტენზიას დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირთი ჩააბარა ზედნადებში მითითებულ მდგომარეობაში. თუ მიმღები მიიღებს გადამზიდველთან ერთად შეუმოწმებელ ტვირთს და არ წაუყენებს გადამზიდველს ზოგადი ხასიათის პრეტენზიას, საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ გადამზიდველმა ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად შესრულდა. გარეგნულად შესამჩნევი დანაკარგებისა და დაზიანების დროს პრეტენზია წარდგენილ უნდა იქნეს ტვირთის ჩაბარების დღესვე.

სადაც  $\rho$  - ჰაერის სიმკვრივეა,  $F$  - საპარო ხრახნის გარშემოწერის ფართობის,  $V_1$  - ჰაერის ნაკადის ინდუქციური სიჩქარეა ხრახნის ბრუნვის სიბრტყეში.

თუ გამოვსახავთ ხრახნის გარშემოწერის ფართობს ფორმულით

$$F = \pi(R^2 - r^2) = \pi(R^2 - (\bar{r} \cdot R)^2) = \pi R^2 (1 - \bar{r})^2$$

მაშინ საპარო ხრახნის წევის ძალის ფორმულა შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სახით


$$T = 2 \cdot \rho \cdot V_1^2 \cdot \pi \cdot R^2 (1 - \bar{r})^2$$

უგულებელვყოთ ინდუქციურ სიჩქარეთა ცვლილება საპარო ხრახნის სხვადასხვა არამომუშავე ზონისათვის და განვსაზღვროთ ხრახნის წევის ძალის დანაკარგების ფარდობითი სიდიდეები შემდეგი გამოსახულებით

$$\frac{T}{T_0} = \frac{2 \cdot \rho \cdot V_1^2 \cdot \pi \cdot R^2 (1 - \bar{r})^2}{2 \cdot \rho \cdot V_1^2 \cdot \pi \cdot R^2} = (1 - \bar{r})^2$$


მიღებული შედეგების საფუძველზე ვაგებთ საპარო ხრახნის წევის ძალის დანაკარგების ფარდობითი სიდიდის ხრახნის არამომუშავე ზონის რადიუსზე დამოკიდებულების გრაფიკს (ნახ. 1). გრაფიკიდან ჩანს, რომ საპარო ხრახნის ფუძისეული დანაკარგები  $\bar{r} = 0,3$  რადიუსამდე

უმნიშვნელოა. საპარტო ხრახნის ფუძისეულ ნაწილში  $\bar{r} = 0,15 - 0,35$  რადიუსის დიაპაზონში მზიდი ზედაპირის არ არსებობა იწვევს წევის ძალის  $(7-10)\%$ -ით შემცირებას.




ნახ. 1. საპარტო ხრახნის წევის ძალის დანაკარგების ფარდობითი სიდიდის ხრახნის არამომუშავე ზონის რადიუსზე დამოკიდებულების გრაფიკი

აქედან გამომდინარე მიზამშეწონილია შვეულმფრენის მზიდი ხრახნის აეროდინამიკური მახასიათებლების გაუმჯობესების გამოკვლევა. ამისათვის მზიდი ხრახნის ზემოთ განვათავსებთ დამატებით მცირე დიამეტრის საპარტო ხრახნს, რომელიც იმუშავებს ძირითადი მზიდი ხრახნის ფუძისეულ არამომუშავე ზონაში. იგი უნდა ბრუნავდეს უფრო მეტი სიხშირით და საწინააღმდეგო მიმართულებით ვიდრე ძირითადი ხრახნი. დამსმარე საპარტო ხრახნის დიამეტრმა უნდა შეადგინოს ძირითადი ხრახნის დიამეტრის  $30-40\%$ . ძირითადი ხრახნის ფრთები უნდა იწყებოდეს მისი დიამეტრის  $25-35\%$ -იდან. საპარტო ხრახნის ასეთმა შეთანწყობამ უნდა უზრუნველყოს მისი აეროდინამიკური ეფექტურობის  $15-20\%$ -ით გაუმჯობესება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ძირითადი ხრახნის ფრთის გაქანის შემცირების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ფრთის გრეხის კანონზომიერების გამარტივება, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს საპარტო ხრახნის ფრთის კონსტრუქციას და მისი დამზადების ტექნოლოგიას. გარდა ამისა მცირე ხრახნი იბრუნებს რა ძირითადი ხრახნის საწინააღმდეგო მიმართულებით ნაწილობრივ განტვირთავს მას ბრუნვის რეაქციის მომენტისაგან. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ შემოთავაზებული მზიდი ხრახნის აეროდინამიკული მახასიათებლები და პირველ რიგში მარგი ქმედების კოეფიციენტი ერთიმეორის თავზე განლაგებული ერთნაირი დიამეტრის თანალერმული მზიდი ხრახნებისგან განსხვავებით იქნება უფრო მაღალი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მცირდება ერთიმეორის უკან განლაგებული ხრახნებს შორის აეროდინამიკური ინტერფერენცია (ნახ.2).



ნახ. 2. ერთხრახნიანი და სხვადასხვა დიამეტრის ორხრახნიანი სქემების მზიდი ხრახნის ჰაერის ნაკდის სიჩქარეთა განაწილება დერბული გარსდენის რეჟიმის დროს



ნახ. 3. ერთხრახნიანი და სხვადასხვა დიამეტრის ორხრახნიანი სქემების მზიდი ხრახნის ჰაერის ნაკდის სიჩქარეთა განაწილება ირიბი გარსდენის რეჟიმის დროს

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომელიც გააჩნია შემოთავაზებულ ტექნიკურ გადაწყვეტილებას. ცნობილია, რომ შვეულმფრენის პორიზონტალური ფრენის რეჟიმში, მზიდი ხრახნის ირიბი გარსდენის დროს წარმოიქმნება უკუგარსდენის ზონა. ეს ზონა წანაცვლებულია მზიდი ხრახნის ცენტრის ერთ მხარეს და მნიშვნელოვნად აუარესებს მის აეროდინამიკურ მახასიათებლებს. მიზეზი ე.წ. უკუგარსდენის ეფექტისა არის ის რომ, ამ ზონაში ხრახნის ფრთის ფარდობითი სიჩქარე შვეულმფრენის პორიზონტალური ფრენის სიჩქარესთან შადარებით

არის უფრო ნაკლები. შემოთავაზებული დამატებითი საპაერო ხრახნის შემთხვევაში აღნიშნული ეწ. უკუგარსდენის ეფექტი მნიშვნელოვნად მცირდება, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დამატებითი საპაერო ხრახნის ბრუნთა რიცხვი უფრო მაღალია, ვიდრე ძირითადი მზიდი ხრახნისა (ნახ. 3).

**შეეულმფრენის ადგილზე მუშაობის  
რეჟიმი (მზიდი ხრახნის სიმეტრიული  
გარსდენა)**

ნაკლოვანება: არამომუშავე ზონა

**შეეულმფრენის ერთ მზიდხრახნი  
სქემა**

ნაკლოვანება: კუდის ხრახნის  
საჭიროება



ორი სახეადასხვა დიამეტრის მქონე თანალერძულ ხრახნიანი  
მოდერნიზირებული სქემა

**უპირატესობები:**

- უფრო მეტადაა ათვისებული არამომუშავე ზონა;
- შემცირებულია უკუგარსდენის ზონა;
- ძირითად და დამსმარე ხრახნებს შორის ინტერფერენცია მინიმალურია;
- შემცირებულია რეაქტიული მომენტი ერთხრახნიანი სქემის შემთხვევაში.



**შეეულმფრენის ორ  
თანალერძულ ხრახნიანი სქემა**

ნაკლოვანება: ხრახნებს შორის  
ინტერფერენცია

**შეეულმფრენის ჰორიზონტალური  
ფრენის რეჟიმი (მზიდი ხრახნის ირიბი  
გარსდენა)**

ნაკლოვანება: უკუგარსდენის ზონა

**ნახ. 4. მოდერნიზირებული სხვადასხვა დიამეტრის ორ მზიდ ხრახნიანი სისტემის  
უპირატესობის სქემა**

შემოთავაზებული მოდერნიზირებული მზიდი ხრახნის კონცეფცია ნაჩვენებია სქემაზე (ნახ.4). საერთო შეფასებით წარმოდგენილი მზიდი ხრახნის გადაწყვეტილება აუმჯობესებს შეეულმფრენის აეროდინამიკურ მახასიათებლებს და გააჩნია პერსპექტიული გამოყენება მოწინავე საავაიაციო ტექნოლოგიების სრულყოფის მიმართულებით.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ს. ტეფნაძე, გ. სანაძე, დ. ლელაძე. აეროდინამიკა. “ტექნიკური უნივერსიტეტი”. 1997. 215 გვ.
2. გ. სანაძე. შვეულმფრენის აეროდინამიკა და ფრენის დინამიკა. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი. დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული კადემია. თბილისი 2008. 138 გვ.
3. გ. სანაძე, მ. მახარაშვილი, გ. ფიფიანი. ცვალებადი კონფიგურაციის საპარო ხრახნის კონსტრუქციული გადაწყვეტა. შრომები. “ტექნიკური უნივერსიტეტი”. №4(462). თბილისი. 2006. გვ.29-33.
4. **Базов Д.И.** Аэродинамика вертолетов. М. изд-во «Транспорт». 1969. 196 с.
5. **Санадзе Г., Кипиани Г., Гегучадзе А.** Повышение несущей способности несущего винта вертолета путем уменьшения потерь на корневых и концевых частях лопасти. XIV международная научно-техническая конференция. Trans & MOTAUTO'07. “Транспортная техника”. Rousso, Bulgaria. 08-10 November. 2007. ст. 143-145.

## **УЛУЧШЕНИЕ АЭРОДИНАМИЧЕСКИХ ХАРАКТЕРИСТИК НЕСУЩЕГО ВИНТА ВЕРТОЛЕТА ПУТЕМ ОСВОЕНИЯ ЕГО НЕРАБОЧЕЙ ЗОНЫ**

**Г. Санадзе**

### **Резюме**

В работе представлено исследование улучшения и модернизация несущего винта вертолета путем освоения его нерабочей зоны. Сделан анализ влияния диаметра нерабочей зоны воздушного винта на потери тяги винта. Рассмотрено преимущество винта соостной схемы состоящий из несущих винтов разного диаметра, для случаев работы винта как в режиме осевого, так и в режиме косого обтекания.

## **IMPROVEMENT OF AERODYNAMIC CHARACTERISTICS OF HELICOPTER MAIN ROTOR BY UTILIZATION OF ITS INACTIVE AREA**

**G. Sanadze**

### **Summary**

Researches of improvement and modernization of the helicopter main rotor by development of its inactive root zone in the work is presented. The analysis of influence of diameter of an inactive root zone of the rotor on losses of draught of the rotor is made. Advantages of the coaxial rotor schemes composed of two rotors of different diameters is considered, for cases of work of the rotor both in a axled and in a oblique mode of air flow.

**შაპ 621.01**

**ტექნიკური სისტემების საიმპლობის პარამეტრების  
შეფასების მეთოდების ანალიზი**

**ჭ. მიღელაშვილი**

(საქართვლოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მ. კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია საფრენი აპარატების შემადგენელი სისტემების სამედოობის გამოიყელის არსებული ალგორითმები და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძვლზე გაკეთებულია დასკვნა არსებული განაწილების კანონების სრულყოფის აუცილებლობის შესახებ. გამოყენებული იყო ექსპონენციალური განაწილება, ხოლო მიღებული შედეგების სიზუსტის გასაზრდელად და ტექნიკურ სისტემებში რეალურად მიმდინარე პროცესებთან მისაახლოებლად – კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური განაწილება.

**საკვანძო სიტყვები:** სამედოობა, ტექნიკური სისტემები, ექსპონენციალური განაწილება, კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური განაწილება.

ტექნიკის სრულყოფისა და განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო აქტუალური ხდება მისი სამედოობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკურობის საკითხები. ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად რთულდება, როგორც თავად ტექნიკა, ასევე მისი მომსახურებაც, რაც თავის მხრივ მოითხოვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მაღალკვალიფიციური მომსახურე პერსონალის არსებობას, ჩასატარებელი სამუშაოების სწორ დაგეგმვასა და ა.შ.

ადამიანთა მზარდი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე თანამედროვე სისტემაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ტექნიკის ისეთმა სახეობამ, როგორიცაა საფრენი აპარატი და შესაბამისად მისი სამედოობის უზრუნველყოფის საკითხიც გახდა აქტუალური.

სამედოობის უზრუნველყოფა არის რთული კომპლექსური პრობლემა, ამიტომ მის გადასაწყვეტად გამოიყენება ერთიანი სისტემური მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა

განხილულ იქნას საიმედოობის საკითხები ტექნიკური სისტემის შექმნიდან ექსპლუატაციის ჩათვლით მის ჩამოწერამდე.

ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საიმედოობის საკითხების გადაჭრისათვის საჭიროა ახალი პრინციპებისა და ანალიზის მეთოდების დამუშავება.

საფრენი აპარატის საიმედოობის, ხანგამძლეობის, უსაფრთხოებისა და სიცოცხლისუნარიანობის შეფასების გათვლითი მეთოდების სრულყოფა იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და საშუალებას იძლევა შემცირდეს მისი კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავების ვადების და ძვირად ღირებული გამოცდების მოცულობა, გაიაფდეს და გამარტივდეს მისი ექსპლუატაცია, შენახვა და ა.შ..

შედარებით ახალია ისეთი ნაკეთობების საიმედოობის გათვლითი მეთოდიკა, როგორებიც ერთიანდება “უნიკალურთა” სახეობაში. ასეთად შეიძლება წარმოგვიდგეს უპილოტო საფრენი აპარატების ცალკეული კლასი – "მცირე" და "მიკრო" უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებიც იქცნენ შესწავლისა და კვლევის არჩეულ საგნად.

საიმედოობის, როგორც მეცნიერების ცალკეული მიმართულების, მრავალწლიანი ისტორიის განმავლობაში შეიქმნა არაერთი თეორია და ჩამოყალიბდა სხვადასხვა კანონი, რომელთა გამოყენებაც წარმოებს, როგორც ტექნიკური სისტემებისათვის ასევე ეპონომიკური პრობლემების გადაჭრისას.

ტექნიკური სისტემების საიმედოობის პარამეტრების შეფასებისათვის ფართო გამოყენება ჰქოვეს ისეთმა კანონებმა, როგორებიცაა: ექსპონენციალური, ნორმალური, გნედენკო-ვეიბულის, გამა და შედარებით ახალი – კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური. თითოეულ მათგანს გააჩნია გამოყენების არეალი და შესაბამისი უპირატესობა დანარჩენებთან მიმართებაში:

**ექსპონენციალური განაწილება** უპირატესად გამოიყენება რთული სისტემების ანალიზისას, რომლებსაც გავლილი აქვთ გასახმარისების პერიოდი. ასევე გამოიყენება მასიური მომსახურების თეორიაში უეცარი მტყუნებებისას, რომლებიც წარმოიქმნა დამზადების ტექნოლოგიაში არსებული ნაკლოვანებების გამო.

**ნორმალური განაწილება** გამოიყენება ელემენტების ცვეთისა და დამველებისა, ასევე სიდიდით ერთნაირი დიდი რაოდენობის ფაქტორთა ზეგავლენის შედეგად წარმოქმნილი მტყუნებებისას.

**გნედენკო-ვეიბულის განაწილება** გამოიყენება საკისართა მსახურის ვადის, სიმტკიცის მახასიათებელთა, დალლილობითი მდგრადობის, ასევე მექანიკური სისტემების ხანგამძლეობის მახასიათებელთა აღწერისათვის.

**გამა განაწილება** გამოიყენება მტყუნებაზე ნამუშევრის აღწერისათვის ცვეთისა ან დაზიანებების დაგროვების პირობებში, დარეზერვებული ელემენტების მქონე სისტემის მტყუნებაზე ნამუშევრის აღწერისას, ასევე აღდგენის დროის აღწერისთვისაც.

#### **კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური განაწილება:**

კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური განაწილება უფრო ზუსტად ახასიათებს მექანიკურ სისტემებში მიმდინარე პროცესებს მათი ელემენტების მუშაობის დამყარებულ ეტაპზე, ვიდრე ექსპონენციალური განაწილება და ამავდროულად მას არ ახასიათებს როგორი მათემატიკური აპარატი, რაც თავის მხრივ აადვილებს მის გამოყენებას საინჟინრო პრაქტიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური ფუნქციის გამოყენება ისეთი მექანიკური სისტემების გათვლისათვის, როგორებიც მრავლადაა საფრენი აპარატის შემადგენლობაში.

#### **განვიხილოთ აღნიშნული ფუნქციის ძირითადი მახასიათებლები:**

უმტყუნო მუშაობის საშუალო დრო ექსპონენციალური და კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური განაწილების შემთხვევაში ტოლია:

$$T_0 = \frac{1}{\lambda}; \quad T_0 = \frac{\sqrt{\lambda\pi}}{2\lambda}.$$

საშუალო კვადრატული გადახრა ექსპონენციალური და კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური განაწილების შემთხვევაში ტოლია:

$$\sigma = \frac{1}{\lambda}; \quad \sigma = \frac{1}{2} \sqrt{\frac{4-\pi}{\lambda}}.$$

დისპერსია ექსპონენციალური განაწილების და კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური განაწილების შემთხვევაში ტოლია:


$$D = \frac{1}{\lambda^2}; \quad D = \frac{4-\pi}{4\lambda}.$$

მოყვანილი შედარებებიდან ნათლად ჩანს, რომ შემთხვევით სიდიდეთა განაწილებას კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური ფუნქციით უდაო უპირატესობა გააჩნია საინჟინრო პრაქტიკაში. იგი კარგად ახასიათებს საიმედოობის მაჩვენებლებს მექანიკური სისტემის ექსპლუატაციის შუა პერიოდში და გამოირჩევა გამოყენებული მათემატიკური აპარატის სიმარტივით.

აღნიშნული ფუნქციით საიმედოობის მაჩვენებლების გამოსახვის უმთავრესი მახასიათებელი ნიშნებია:

### გენერაციული ფუნქცია

$P, f, \lambda$



$$P(t) = e^{-\lambda \cdot t}$$


$$f(t) = \lambda \cdot e^{-\lambda \cdot t}$$

$$\lambda(t) = \text{const}$$

### კვანტული მჩუნაბლის მწერე

გენერაციული ფუნქცია

$P, f, \lambda$



$$P(t) = e^{-\lambda \cdot t^2}$$

$$f(t) = 2\lambda t \cdot e^{-\lambda \cdot t^2}$$

$$\lambda(t) = 2\lambda t$$

– მტყუნების ინტენსიურობის მაჩვენებელი გამოისახება წრფივი ფუნქციით  $\lambda(t)=2\lambda t$ ;

– მტყუნებათა სიმკვრივის მაჩვენებელს ნორმალური განონის მსგავსად ახასიათებს ექსტრემუმი, მაგრამ მისგან განსხვავებით ასიმეტრიულია;

– ელემენტის უმტყუნო მუშაობის საშუალო დრო  $\frac{\sqrt{\lambda\pi}}{2}$  სიდიდით განსხვავდება

ექსპონენციალური კანონის შემთხვევისაგან.

განხილულ იქნა უპილოტო საფრენი აპარატის ერთ-ერთი შემადგენელი სისტემა. აღნიშნული სისტემის მტყუნებათა განაწილების ხასიათი ემორჩილება ექსპონენციალურ კანონს და რომლის სტატისტიკური მახასიათებლების გამოთვლაც ნაჩვენებია ცხრილში 1.

აღნიშნული სტატისტიკური მასალის ანალიზისა და შესაბამისი ალგორითმის გამოყენებით დამუშავების შემდეგ მიღებულ იქნა სისტემის უმტყუნო მუშაობის ალბათობის შესაბამისი პარამეტრები  $\lambda=0,0022; T_0=454,5\text{ მო},$  რომელთა გამოყენებითაც ცხრილი 2-ის მიხედვით აგებულ იქნა სათანადო გრაფიკები (ნახატი 1).

შედარებითი ანალიზის განხორციელების დროს ნათლად ვლინდება კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური განაწილების უპირატესობა უპილოტო საფრენი აპარატების ამა თუ იმ სისტემის სამედოობაზე გათვლის წარმოებისას.


cfo,bcb cnfnbcnb rehb vj yfwtvt, b	b <sub>n</sub> thd71	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	t <sub>1</sub> -t <sub>2</sub>	400-500	500-600	600-700	700-800	800-900	900-1000	1000-1100	1100-1200	1200-1300	1300-1400
	Δn	15	5	3	3	0	2	4	1	2	1
	n	15	20	23	26	26	28	32	33	35	36
cnfnbcnb rehb vf[fcfst,k - t,b N=40 n=40	n(t)	0	15	20	23	26	26	28	32	33	35
	f*(t)*10 <sup>-3</sup>	3,75	1,25	0,75	0,75	0,00	0,50	1,00	0,25	0,50	0,25
	λ*(t)*10 <sup>-3</sup>	3,75	2,00	1,50	1,77	0,00	1,43	3,33	1,25	2,86	2,00
	P*(t)	0,625	0,500	0,425	0,350	0,350	0,300	0,200	0,175	0,125	0,100
cfo,bcb cnfnbcnb rehb vj yfwtvt, b	b <sub>n</sub> thd71	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
	t <sub>1</sub> -t <sub>2</sub>	1400-1500	1500-1600	1600-1700	1700-1800	1800-1900	1900-2000	2000-2100	2100-2200	2200-2300	2300-2400
	Δn	1	1	0	0	0	1	0	0	0	1
	n	37	38	38	38	38	39	39	39	39	40
cnfnbcnb rehb vf[fcfst,k - t,b N=40 n=40	n(t)	36	37	38	38	38	38	39	39	39	39
	f*(t)*10 <sup>-3</sup>	0,25	0,25	0,00	0,00	0,00	0,25	0,00	0,00	0,00	0,25
	λ*(t)*10 <sup>-3</sup>	2,50	3,33	0,00	0,00	0,00	5,00	0,00	0,00	0,00	10,00
	P*(t)	0,075	0,050	0,050	0,050	0,050	0,025	0,025	0,025	0,025	0,000

### ცხრილი 1

t	400	500	600	700	800	900	1000	1100	1200	1300	1400
f(t)*10 <sup>-3</sup>	0,913	0,732	0,588	0,472	0,378	0,304	0,244	0,196	0,157	0,126	0,101
P(t)	0,415	0,333	0,267	0,214	0,172	0,138	0,111	0,089	0,071	0,057	0,046
t	1500	1600	1700	1800	1900	2000	2100	2200	2300	2400	2700
f(t)*10 <sup>-3</sup>	0,081	0,065	0,052	0,042	0,034	0,027	0,022	0,017	0,014	0,011	
P(t)	0,037	0,030	0,024	0,019	0,015	0,012	0,010	0,008	0,006	0,005	0,0026

### ცხრილი 2

ცხრილში 1 წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან, კერძოდ თუ დაუკვირდებით მტყუნებათა ინტენსიურობის სტატისტიკურ მახსიათებელს, გნახავთ, რომ იგი ჯერ მცირდება  $3,75 \cdot 10^{-3}$ -დან  $1,50 \cdot 10^{-3}$ -მდე და შემდეგ იწყებს ნელ-ნელა ზრდას. აღნიშნული კი თავისმხრივ ახასიათებს ტექნიკურ სისტემებში მიმდინარე პროცესებს, რომელთა უგულვებელყოფაც არ შეიძლება. მტყუნებათა ინტენსიურობის ამდაგვარ ხასიათს ექსპონენციალური განაწილებისაგან განსხვავებით ითვალისწინებს კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური განაწილება.



ნახატი 1

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქმე გვაქვს მცირე ზომის და საკმაოდ ძვირადლირებულ საფრენ აპარატებთან მიზანშეწონილია განხორციელდეს არსებული განაწილების კანონების დამუშავება, მორგება და დახვეწა, რათა მიღწეულ იქნას უფრო დიდი სიზუსტე გათვლების წარმოების დროს.

კვადრატული მაჩვენებლის მქონე ექსპონენციალური განაწილების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ არსებობს საკმაო პოტენციალი შესაბამისი კანონების დახვეწაში ან მათ სხვაგვარად წარმოდგენაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- შილაკაძე გ. მექანიკური მოწყობილობების სამეცნიერო საფუძვლები. გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი". თბილისი 2009. 399 გვ.
- Гнеденко Б.В., Беляев Ю.К., Соловьев А.Д. Математические методы в теории надёжности. М.: Наука, 1965г.-524с.
- Анцелович Л.Л. Надёжность, безопасность и живучесть самолёта. М.: Машиностроение. 1987г.

# **АНАЛИЗ МЕТОДОВ ОЦЕНКИ ПАРАМЕТРОВ НАДЁЖНОСТИ ТЕХНИЧЕСКИХ СИСТЕМ**

**З. Миделашвили**

## **Резюме**

В статье рассмотрены существующие алгоритмы расчёта надёжности составных систем летательных аппаратов. На основе анализа полученных результатов сделан вывод о необходимости совершенствования существующих законов распределения. Было использовано экспоненциальное распределение, а для повышения точности полученных результатов и их приближения к процессам, реально происходящим в технических системах - экспоненциальное распределение с квадратичным показателем.

## **ANALYSIS OF ESTIMATION METHODS OF TECHNICAL SYSTEMS RELIABILITY CHARACTERISTICS**

**Z. Midelashvili**

## **Summary**

In this article it's underlined current calculation algorithms for aircraft constituent parts reliability and necessity of improvement of distribution rules on the base of results. It's been used exponential distribution and exponential distribution with quadratic ratio for the purpose of increasing results accuracy and for approximation to current process within technical systems.



**სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის**

**საბზარ დეპარტამენტი გამორიგებულია შემდეგი**

**მიმართულები:**

- რკინიგზის მშენებლობა, ლიანდაგი და სალიანდაგო მეურნეობა (№60)  
მიმართულება ამზადებს მაგისტრალური და სამრეწველო რკინიგზების, პორტებისა და საბორნე გადასასვლელების, მეტროპოლიტენების და ქალაქის სარელსო ტრანსპორტის მშენებლობისა და სალიანდაგო მეურნეობის სპეციალისტებს.
- ხიდები და გვირაბები (№64)  
მიმართულება ამზადებს ხიდებისა და გვირაბების დაპროექტების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და რეაბილიტაციის სპეციალისტებს.
- საავტომობილო გზები და აეროდრომები (№65)  
მიმართულება ამზადებს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და რეაბილიტაციის სპეციალისტებს.

**სამაგისტრო სპეციალობები:**

- რკინიგზის მშენებლობა
- ხიდების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია
- გვირაბების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია
- საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა

**საღოძოო პროგრამა „საბზარ 06 ვარასტრუქტურა და მიმართულება ნაბეჭდები“.**

**მიმართულებები:**

- ხიდების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია
- გვირაბების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია
- საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია
- ლიანდაგი და სალიანდაგო მეურნეობა
- მეტროპოლიტენები
- საქალაქო მიწისქვეშა ნეგებობები
- რკინიგზის მშენებლობა

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის

**საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მეჩანიკის**

**დეპარტამენტი გამოყენებულია შემდეგი**

**მიმართულებები:**

➤ საინჟინრო გრაფიკა (№6)

➤ მექანიზმებისა და მანქანების თეორია (№9)

➤ მანქანათა ნაწილები და ამწე-სატრანსპორტო მანქანები (№53)

აღნიშნულ დეპარტამენტში შემავალი მიმართულებები წარმოადგენენ  
საინჟინრო-ტექნიკური განათლების ზოგად საუნივერსიტეტო საგნებს და  
გათვალისწინებულია ყველა საინჟინრო სპეციალობათა სასწავლო გეგმებში.

სადოქტორო პროგრამა „საინჟინრო და პოლიტერნული გრაფიკა”.

**მიმართულებები:**

➤ საინჟინრო გრაფიკა

➤ საინჟინრო დიზაინი

**შაპ 621.43.001**

## **ავტომობილის ტოქსიკური გახასიათებელი**

ე. მიქაძე, ხ. მღებრიშვილი, ზ. ბალიაშვილი, გ. მიქაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მერაბ ქოსტავას

ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** განხილულია ავტომობილის ესპლუატაციის შესაძლებლობის ან გამოყენების შეზღუდვის აუცილებლობის დადგენის საკითხები. რეკომენდებულია ანალიზი მოხდეს ატმოსფერული პარამეტრების წარისხის შემცვასებელ გამოსახულებაში ავტომობილისა და მისი თბური ძრავის მუშაობის რეჟიმების დამახასიათებელი პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობების შეტანის საფუძველზე.

**საკვანძო სიტყვები:** ნამუშევარი აირები, ტოქსიკურ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, ჰაერის პირობითი მოცულობა ქუჩის მონაკვეთზე, განიავების ხარისხი, ტოქსიკურობის ზოგადი რიცხვითი მაჩვენებელი.

## **შესავალი**

საავტომობილო თბური ძრავების ნამუშევარი აირების ტოქსიკურობა, ზოგჯერ შეიძლება ავტომობილების გამოყენების შესაძლებლობის შემზღვეველი ფაქტორი გახდეს. ამიტომ აუცილებელია: საავტომობილო ტრანსპორტის გარემოზე (განსაკუთრებით დიდი ქალაქების ატმოსფეროზე, სადაც თავმოყრილია სატრანსპორტო საშუალებათა დიდი რაოდენობა) უარყოფითი ზემოქმედების ობიექტური კრიტერიუმის ცოდნა; ანალიზისათვის ისეთი გამოსახულებისგამოყენება, რომელშიც ავტომობილისა და მისი ძრავას მუშაობის რეჟიმის დამახასიათებელ პარამეტრთა რიცხვი მნიშვნელობების შეტანით დადგენილი იქნება ავტომობილის ექსპლუატაციის შესაძლებლობის ან გამოყენების შეზღუდვის აუცილებლობა მოსალოდნელი მავნე გავლენის (რისკის) გამორიცხვის თვალსაზრისით. ამასთან მიღებულია დაშვება, რომ თითქოს ჰაერის გაჭუჭყიანება ხდება მხოლოდ საავტომობილო ძრავათა მიერ

გამოყოფილი მრავალკომპონენტიან მავნე ნივთიერებათა ნარევით (უგულველყოფილია გარემოს დაბინძურება სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო დანადგარებით, სხვა ანტროპოგენური თუ ბუნებრივი წყაროებით).

## მირითადი ნაშილი

ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების ხარისხი ნამუშევარი აირებით (ნ.ა.) ძირითადად დამოკიდებულია ავტომობილისა და მისი ძრავის ტიპზე, მათ ტექნიკურ მდგომარეობაზე, გამოყენებული საწვავ-შემზეთი მასალების თვისებებზე, მუშაობის რეჟიმზე, სისტემათა (განსაკუთრებით კვებისა და ნარევწარმოქმნის) რეგულირებებზე, აგრეთვე სივრცის მოცულობაზე ( $V_0$ ), რომელშიცხდება მავნე ნივთიერებათა გამოყოფა. უკანასკნელი ფაქტორის მნიშვნელობა მთელი სიცხადით გამოვლინდება ხოლმე, ადამიანთა მოწამვლის ფაქტებით დაზურულ სივრცეებში: გარაჟებში, გვირაბებში, პარკირების (დგომის) ადგილებში, ავტომობილის სალონში (აირების გაუონვისას).

მავნე ნივთიერებათა დაყვანისათვის ხშირად ეტალონად მიღებულია ნახშირუანგი CO, რომლის თვისებებიც შედარებით უფრო სრულადაა შესწავლილი. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ტ.კ.-თა კონცენტრაცია დაყვანილ იქნეს საერთო რიცხვით მაჩვენებელზე. ამ მეთოდის გათვალისწინებით ჰაერის დასაშვები ტოქსიკურობის პირობა შეიძლება ასე გამოისახოს:

$$\frac{G^{CO}}{V_0 \cdot C_{CO^0}} \leq 1, \quad (1)$$

სადაც  $G^{CO}$  არის CO-ზე დაყვანილ ტ.კ.-თა რაოდენობა, რომელიც ავტომობილის მიერ გამოიყოფა  $V_0$  მოცულობის ჰაერში;

$C_{CO^0}$  – ნახშირუანგის ზ. დ. კ. ატმოსფერულ ჰაერში.

ზოგჯერ სარგებლობენ ცნებით „ჰაერის პირობითი მოცულობა  $V_3$  ქუჩის (ან გზის) მონაკვეთზე“. იგი განისაზღვრება, როგორც გზის მონაკვეთის სიგრძის  $l$  ნამრავლი გარკვეული პირობითი განიკვეთის მქონე ფართობზე, რომელიც შემოსაზღვრულია, მაგალითად, განივ სიბრტყეში გზის გასწვრივ განლაგებულ შენობათა ფასადებს შორის არსებული მანძილით, კერტიკლურ სიბრტყეში კი განაშენიანების საშუალო სიმაღლით  $V_3 = F_3 \cdot l$ ,

ამ ცნების გათვალისწინებით შეიძლება გამოსახულების (1) ასეთი გარდაქმნა

$$\frac{G^{CO}}{F_3 \cdot l \cdot C_{CO^0}} \leq \frac{V_0}{V_3},$$

$$\text{ან} \quad \frac{G^{CO}}{l} \leq F_3 \cdot C_{CO^o} \cdot \frac{V_0}{V_3}, \quad (2)$$

V (კმ/სთ) სიჩქარით მოძრავი ავტომობილის ძრავას მიერ გამონაბოლქვი CO-ზე დაყვანილ ტოქსიკურ ნივთიერებათა რაოდენობა ასეც შეიძლება ჩაიწეროს:

$$G^{CO} = g^{CO} \cdot Ne, \quad (3)$$

სადაც  $g^{CO}$  არის CO-ზე დაყვანილ ტოქსიკურ ნივთიერებათა კუთრი გამონაყოფი.

$Ne$  – ძრავის მიერ განვითარებული სიმძლავრე მოცემულ რეზიტზე.

ავტომობილების, როგორც ნა-ებით ატმოსფეროს გაჭუჭყიანების წყაროს, ურთიერთშედარების მიზნით შემოღებულია პირობითი პარამეტრი – ავტომობილის ტოქსიკურობის მახასიათებელი  $T_s$ ; ეს მაჩვენებელი განისაზღვრება, როგორც ავტომობილის მიერ გამოყოფილი ( $CO$ -ზე გადაანგარიშებული) ტოქსიკური კომპონენტების მასის (კგ/სთ) შეფარდება გარბენის ერთეულთან

$$T_s = \frac{G^{CO}}{V}, \text{ კგ/კგ} \quad (4)$$

სადაც V არის ავტომობილის მოძრაობის სიჩქარე, კმ/სთ.

ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებაზე ავტომობილისა და მისი ძრავის ზემოქმედების უფრო ნათლად გამოვლენის მიზნით მე-4 ტოლობაში შეიძლება შეტანილ იქნეს წევის ძალის  $P_K$  ასეთი გამოსახულება

$$P_K = \frac{N_e}{V} \eta_m,$$

სადაც  $\eta_m$  არის ავტომობილის ტრანსმისიის მ.ქ.კ.;

აღნიშნულის გათვალისწინებით სამართლიანია გამოსახულებები:

$$g^{CO} \cdot \frac{N_e}{V} = g^{CO} \cdot P_K \cdot \frac{1}{\eta_m}, \quad (5)$$

$$g^{CO} \cdot P_K \cdot \frac{1}{\eta_m} \leq F_3 C_{CO^o} \cdot \frac{V_0}{V_3}, \quad (6)$$

ფარდობა  $\frac{V_0}{V_3}$  განსაზღვრავს ქუჩის განიავების ხარისხს, რომელიც უმარტივეს

შემთხვევაში ტოლია ჰაერის ცვლისა თ დროის მონაკვეთში;  $C_{CO^o}$  და  $F_3$  სიდიდეები დამოკიდებული არ არის ავტომობილის თვისებებზე და მისი მუშაობის რეზიტზე.

მე-6 უტოლობის მარცხენა ნაწილში კი ისეთი სიდიდეებია, რომლებიც დამოკიდებულია ავტომობილის თვისებებისაგან, მისი ( $P_K$ ) და ძრავის ( $g^{CO}$ ) მუშაობის რეზიმისაგან. ამგვარად,

ნამრავლი  $g^{CO} \cdot P_K \cdot \frac{1}{\eta_m}$  წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ავტომობილის მიერ

გარემოს გაჭუჭყიანების ხარისხს. მე-6 უტოლობა მოძრაობის ინტენსიურობის გათვალისწინებით გასწავლისაზღვრავს, ამასთან, ამ ფაქტორის ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას ქალაქის ჰაერის

სრული უვნებლობის პირობის დაკმაყოფილებით. ეს ნამრავლი  $g^{CO} \cdot P_K \cdot \frac{1}{\eta_m}$  ტოლფასია

ზემოაღნიშნული „ავტომობილის ტოქსიკური მახასიათებლისა“  $T_s$ , რადგან მისი ფიზიკური არსი მე-5 ტოლობის შესაბამისად წარმოადგენს ავტომობილის მიერ გზის ერთეულის გავლისას გამოყოფილ, CO-ზე დაყვანილ ტ.კ.-თა რაოდენობას და სწორედ ამიტომ უწოდებენ მას ავტომობილის ტოქსიკურ მახასიათებელს. მაშასადამე  $T_s = g^{CO} \cdot P_K \cdot \frac{1}{\eta_m}$ .

ამ ტოლობაში ავტომობილის წევის ძალის ზემოაღნიშნული ცნობილი გამოსახულების ჩასმით მიიღება განტოლება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ავტომობილის ტოქსიკურობა, სხვა ფაქტორებთან ართად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოძრაობის სიჩქარისაგან და წინააღმდეგობებისაგან:

$$T_s = \left( \frac{W \cdot V^2}{3500 \cdot \eta_a} + \frac{\psi \cdot G_{\text{ვგ}}}{270 \cdot \eta_a} + \frac{G_{\text{ვგ}} \cdot \delta \cdot j}{3500 \cdot g \cdot \eta_a} \right) \cdot g^{CO},$$

სადაც  $W$  არის ჰაერის წინააღმდეგობის ფაქტორი;

$G_{\text{ვგ}}$ - ავტომობილის წონა;

$\delta$ -მბრუნავი მასების გამათვალისწინებელი კოეფიციენტი;

$j$  – ავტომობილის აჩქარება;

$\psi$ - გზის წინააღმდეგობის კოეფიციენტი.

აქედან ცხადია, რომ ავტომობილის მიერ გარემო ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება მნიშვნელოვნწილადაა დამოკიდებული მისი მუშაობის რეზიმის განმსაზღვრელ პარამეტრებზე.

ამ გამისახულების დახმარებით შეიძლება, ყველა კონკრეტულ შემთხვევისათვის, გადაწყვეტილი იქნეს ავტომობილის გამოყენების შესაძლებლობის ან შეზღუდვის საკითხი მისი ტოქსიკური მახასიათებლისაგან დამოკიდებულებით.

## დასკვნა

„ავტომობილის ტოქსიკურობის მახასიათებლის“ განტოლების მეშვეობით შესაძლებელია, არა მხოლოდ მათი ექსპლუატაციის მიზანშეწონილობის ან შეზღუდვის ზღვრის დადგენა

ტოქსიკურ ნივთიერებათა ადამიანის ორგანიზმზე და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის თვალსაზრისით, არამედ ამ ზღვრის კორექტირებაც შესაბამის ფაქტორთა გამოყენებით (ცვლილებებით).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. მახალდიანი. საავტოტრაქტორო ძრავების თეორია და გაანგარიშება. თბილისი. განათლება. 1988. 407 გვ.
2. რ. დვალი. ავტომობილის საექსპლუატაციო თვისებების თეორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1986. 230 გვ.
3. ჯ. იოსებიძე, გ. მიქაძე, გ. აბრამიშვილი, ა. ჩხეიძე, თ. აფაქიძე, ზ. მღებრიშვილი. ავტომობილების ეკოლოგიურობის საფუძვლები. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2009. 159 გვ.
4. Интернет-портал. Википедия.

## ТОКСИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА АВТОМОБИЛЯ

**Е. Микадзе, Х. Мгебришвили, З. Балиашвили, Г. Микадзе,**

### Резюме

Степень токсичности отработавших газов, в некоторых случаях, ограничивает предел возможности применения автомобиля. Показано, что установление и корректирование этого предела, с учетом медико-биологических требований к составу атмосферного воздуха, возможно посредством уравнения „токсической характеристики автомобиля“ показывающего, что уровень вредности выхлопных газов, наряду с другими факторами, зависит от скорости автомобиля и сопротивлений возникающих при его движении.

## TOXIC CHARACTERISTIC OF AUTOMOBILE

**E.Mikadze, Kh. Mgebrishvili, Z. Baliashvili, G. Mikadze**

### SUMMARY

Definition of the automobile toxicity basing on the medico-biological requirements for atmospheric air composition and taking into account the toxicity of exhaust gases and the degree of atmosphere polluting with an automobile exhaust. Methods used for obtaining the automobile toxic characteristics with and without the afterburner.

**YDK 625.320.**

## **ანტიპრიზისული მართვის ფინანსური მექანიზმი**

**ც. ელგენდარაშვილი**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მ. კოსტავას ქ., 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის აქტუალური საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული სამეწარმეო ბიზნესისათვის. გაანალიზებულია მენეჯმენტის გარე და შიგა ფაქტორები. ყურადღება გამახვილებულია საწარმოთა ფინანსური გაჯანსაღების მიღწევაზე სიტუაციების ზუსტი შეფასების და სამმართველო გადაწყვეტილებათა ოპტიმალურობის უზრუნველყოფით.

**საკვანძო სიტყვები:** ანალიზი, გადასახადი, კრიზისი, მართვა, სესხი, საბანკო კრედიტი, ფაქტორი.

## **შესავალი**

კრიზისი შეიძლება დადგეს ეკონომიკაში გლობალურად, ისე როგორც დღევანდელ მსოფლიოში, ქვეყნის, დარგის და ფირმის დონეზეც კი. მათი თავიდან აცილებისათვის, ან კრიზისიდან მინიმალური დანაკარგებით გამოსასვლელად აუცილებელია ანტიკრიზისული მართვის მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომების არსებობა და შესაბამისი პროგრამის დამუშავება ყოველი კონკრეტული შეტყოფისათვის.

## **პირითაღი ნაწილი**

ნებისმიერი ორგანიზაციის განვითარების პროცესში არსებობს კრიზისის დადგომის ალბათობა. საბაზრო ეკონომიკის თავისებურებაა ის, რომ კრიზისული სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას წარმოების არსებობის ნებისმიერ სტადიაზე (დაარსება, განვითარება, მომწიფება, დაცემა). შესაბამისად ნებისმიერი მართვა შეიძლება იყოს ანტიკრიზისული ე. ი. გათვლილი

კრიზისის შესაძლებლობაზე. ანტიკრიზისული მართვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართვის სტრატეგიას.[1]

ანტიკრიზისული მართვის ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება ხდება რამდენიმე ეტაპად:

1. გარეფაქტორების ანალიზი კრიზისის მიზეზების გამოვლენის მიზნით;
2. კრიზისულ სიტუაციაში მყოფი წარმოების მდგომარეობის ანალიზი;
3. წარმოების მიზნების სისტემისა და მისის გადახედვა;

ანტიკრიზისული მართვა პირველ რიგში დაკავშირებულია ფულადი საშუალებების და დანახარჯების ნაკადების რეგულირებასთან. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოიყოს ფინანსური ნაკადების მართვის შემდეგი ძირითადი მიმართულებანი:

1. საჭირო ფულადი საშუალებებით უზრუნველყოფა. არსებობს სხვადასხვა მეთოდი წარმოებაში გეგმურ პერიოდში მიღებული ფულადი საშუალებების განსაზღვრისა: დაზუსტებული (ანალიტიკური); გამსხვილებული; ექსპრესმეთოდი.

დაზუსტებული მეთოდი მოითხოვს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ანგარიშს. იგი საშუალებას იძლევა დათვლილი იქნეს გეგმურ პერიოდში რეალიზებული საქონლის მოცულობა და გადატვირთული, მაგრამ გაუყიდავი პროდუქციის დინამიკა (დებიტორული დავალიანება). ამასთან პროდუქციის რეალიზაცია განისაზღვრება გადატვირთვისას.

გამსხვილებული მეთოდი უფრო მარტივია, მაგრამ იძლევა არაზუსტ შედეგებს, რადგან დაფუძნებულია საანგარიშო პერიოდში გადატვირთული პროდუქციიდან აღებული თანხის სტატისტიკაზე. მეთოდი არ ზღუდავს შეფასებული იქნეს ფულადი საშუალებების შეფასება მოკლე პერიოდში.[2]

ექსპრეს-მეთოდი უფრო შრომატევადია. იგი დაუმნებულია შედეგების მონაცემების გამოყენებაზე. ფასდება მხოლოდ ფულადი საშუალებები, რომლებიც მიიღება ამონაგების სახით რეალიზებული პროდუქციიდან:

$$\Delta_{\text{пл}} = (\text{ОП}_{\text{пл}} : \text{ОП}_{\text{ср}}) * \Delta_{\text{ср}} - A_{\text{пол}} + A_{\text{полю ср}}$$

$\Delta_{\text{пл}}$  ფულადი საშუალებებია, რომელთა მიღება წარმოებაში ხდება ამონაგების სახით პროდუქციის რეალიზაციიდან გეგმურ პერიოდში, ბოლო წლებში;

$\Delta_{\text{ср}}$  ფულადი საშუალებებია (საშუალო მნიშვნელობა), მიიღება წარმოებაში ამონაგების სახით პროდუქციის რეალიზაციიდან გეგმურ პერიოდში, ბოლო წლებში;

$\text{ОП}_{\text{пл}}$  პროდუქციის მოცულობაა მყიდველისათვის გადატვირთული, გეგმურ პერიოდში;

ОП<sub>ც</sub> პროდუქციის საშუალო მნიშვნელობაა, მყიდველისათვის გადატვირთული გეგმურ პერიოდში, ბოლო წლებში;

А<sub>ი</sub> ავანსი, მიღებულია მყიდველთა და დამკვეთთა მიერ მომავალ პერიოდში;

А<sub>ი</sub> ავანსის საშუალო სიდიდეა, მიღებული გეგმურ პერიოდში, ბოლო წლებში;

2. ეკონომიკის პროცედურები წარმოების მიმდინარე ხარჯებში. კრიზისული საწარმოების მიმდინარე ვალდებულებების ანგარიშზე ნაკადების დინამიკა ადასტურებს მათ ზრდას წლის განმავლობაში. ასეთი წარმოებებისათვის დამახასიათებელია გადაუხდელი დავალიანებების მუდმივი ზრდა, რადგან მიღებული ფულადი სახსრები წარმოშობილ ვალდებულებებთან შედარებით მცირეა.

საწარმოებს უმეტესი ვალდებულებები აქვს სხვადასხვა დებიტორებისა და კრედიტორებისადმი.

ფინანსური გაჯანსაღების ძირითადი ამოცანას წარმოადგენს მიმდინარე ხარჯების შემცირება. მოცემული ღონისძიებები მიმართულია ვალდებულებების ნაკადების შემცირებისა და ფულადი სახსრების დეფიციტის აღმოფხვრისაკენ.[3]

3. საწარმოების კრედიტორული დავალიანებების რესტრუქტურიზაცია. ფინანსური გაჯანსაღების ზომებში, მიმართული საწარმოს კრედიტორული დავალიანების რესტრუქტურიზაციისაკენ, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პროცედურები:

- 1) გადასახადების გადავადება და განვადება;
- 2) ურთიერთსაგადასახადო მოთხოვნების ჩათვლა (ურთიერთჩათვლა);
- 3) დავალიანებების გადაფორმება სესხის სახით, სავალე ვალდებულებების გაყიდვა;
- 4) მოკლევადიანი მოვალეობების გადავადება;
- 5) კრედიტორისადმი მევალის ქონების გადაცემით დავალიანების დაფარვა;
- 6) მევალის ქონების გასხვისების სახით დავალიანების დაფარვა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანი, რომლებიც აქტიურად დგას საქართველოს სამეწარმეო ბიზნესის და განსაკუთრებით მანქანათმშენებელი და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა წინაშე საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირებაა, რამდენადაც ჩვენთან საბანკო კრედიტის ფასი განსაკუთრებით ძვირია, ამასთან მოითხოვება სესხის უზრუნველყოფის ზედმეტად მყარი გარანტიები. აღნიშნული მრავალი მიზეზითაა გამოწვეული, მაგრამ მათში სუბიექტური ფაქტორები ჭარბობს და ეს საკითხი აუცილებლად მოითხოვს სათანადო რეგულირებას.[4]

განასხვავებენ სამი სახის კრედიტს: ფულადს, სასაქონლოს და კომერციულს. ძირითად დოკუმენტს, რომელსაც კრედიტორული გარიგება არეგულირებს არის საკრედიტო ხელშეკრულება. იგი საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასა და ბაზრის მოთხოვნებთან ერთად მუდმივად მოდიფიცირდება, თუმცა კრედიტირების პრინციპები რჩება უცვლელი: დაბრუნებადობა, ანაზღაურებადობა, სიჩქარე, მიზნობრივი დანიშნულება და უზრუნველყოფა. ყველა ეს პრინციპი რათქმაუნდა სრულად გამოიყენება სამეწარმეო ბიზნესისა და ბანკების ურთიერთობაში, მაგრამ სესხის საპროცენტო განაკვეთი ჩვენთან რამდენჯერმე აღემატება განვითარებულ, ინდუსტრიულ სახელმწიფოებში ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამიტომ საკრედიტო სისტემა ჩვენთან უფრო მევახშეობის შინარსს ატარებს. კომერციული ბანკები თვითონ მოიზიდავენ საკრედიტო რესურსებს უცხოეთის კომერციული სტრუქტურებიდან და შემდეგ ახორციელებენ აღებული სესხის გადასესხებას ძალიან ძვირად. ეს კი კაბალურ პირობებს უქმნის საწარმოებს.

## დასპვენა

საქართველოს ეკონომიკა, განსაკუთრებით მისი მრეწველობა და კერძოდ მანქანათმშენებლობა, ვერ გამოირჩევა მაღალი ტექნიკური დონით და წარმოებული პროდუქციაც დაბალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. აღნიშნული დაედო საფუძვლად მანქანათმშენებელი საწარმოების გაკოტრებას და ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება, თუ არ იქნა მიღებული საწარმოებზე მორგებული საკრედიტო პოლიტიკა. მათ კრიზისული სიტუაციების დადგომის შემთხვევაში ხელი უნდა მიუწვდებოდეთ იავ კრედიტებზე, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ასეთი ფირმების დავალიანებათა რესტრუქტურიზაციაზე და ა.შ. ეს კი ხელს შეუწყობს ჯერ კიდევ შმერმჩნილი საწარმოო სიმბლავრეების ამოქმედებას და მანქანათმსენებლობაში ინვესტიციების მოზიდვას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2008 წლის კრიზისი საქართველოში წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა. დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მოხსენება. თბ. 2008. გვ. 17.
2. გ. ტყეშელაშვილი, ც. ელგენდარაშვილი. ანტიკრიზისული მართვა. ჟურნ. “ეკონომისტი” № 1-2, 2010. გვ. 106.
3. გ. ტყეშელაშვილი. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა გამოყენების თავისებურებები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში.აქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

3. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში. ფ. 111.  
საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. გვ. 369.
4. **И.В. АНТОХОНОВА** МЕТОДЫ ПРОГНОЗИРОВАНИЯ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ ПРОЦЕССОВ. Издательство ВСГТУ. Улан-Удэ, 2005. с. 147.

## **ФИНАНСОВЫЙ МЕХАНИЗМ АНТИКРИЗИСНОГО УПРАВЛЕНИЯ**

**Ц. Елгендарашвили**

### **Резюме**

В статье рассмотрен актуальные вопросы антикризисного управления, которые особенно актуален для производственного бизнеса в Грузией. Проанализировало внутренняя и внешняя среда менеджмента. Особое внимание уделяется оздоровлению финансового состояния предприятий, путем точного ситуационного анализа и улучшения качества управленических решений.

## **FINANCIAL MECHANISM OF ANTI-CRISIS MANAGEMENT**

**Ts. Elgendarashvili**

### **Summary**

In the article are considered actual questions of enterprises crisis management, which are especially important for Georgian entrepreneurship, are analyzed outer and inner factors of management, is concentrated more attention for reaching the enterprises financial improvement by providing optimality of correct estimation and management decisions.

**შპ 656(075.8)**

**საქართველოს საკონტი სადგურების ნავთობისა და  
ნავთობარმდუქტების გადატვირთვის სატრანსპორტო-  
ლოგისტიკური კომპლექსების ოპტიმიზაციის  
აუცილებლობა სარაინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის  
ურთიერთქმედების პირობებში**

**ლ. ბოცვაძე, გ. ლომოური**

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. ქოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)**

**რეზიუმე:** სტატიაში გაანალიზებულია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვითი და გადატვირთვის პროცესები საქართველოს რკინიგზაზე და საზღვაო პორტებში. გამოყლენილია, რომ „ვიწრო“ ადგილს გადატვირთვის პროცესში სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედებისას წარმოადგენს გადატვირთვის სატრანსპორტო ლოგისტიკური კომპლექსები (ნავთობის ტერმინალები). დასაბუთებულია ასეთი კომპლექსების ფუნქციონირების პროცესების ოპტიმიზაციის აუცილებლობა: შემოთავაზებულია, რომ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვის სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპლექსის მუშაობის ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს ინტერმოდალიზმის თეორიის, ლოგისტიკის პრინციპებისა და იმიტაციური მოდელირების მეთოდების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტი, ურთიერთქმედება, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, გადატვირთვის პროცესი, სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპლექსები: ინტერმოდალიზმის თეორია, ლოგისტიკის პრინციპები, იმიტაციური მოდელირების მეთოდები, სისტემური (სინერგიული) ეფექტი, ინტერმოდალური გადაზიდვები.

## **შესავალი**

როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნისშიდა მასშტაბით ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების ორგანიზაციის ინტერმოდალური გადაზიდვების სრულყოფას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ინტერმოდალურ გადაზიდვებში ძირითადი პრობლემები წარმოიქმნება სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედების ადგილებში – გადატვირთვის სატრანსპორტო-ლოგისტიკურ კომპლექსებში

(ნავთობის ტერმინალებში). გადატვირთვის პროცესის ოპტიმიზაცია ასეთ კომპლექსებში ინტერმოდალიზმისა და ლოგისტიკური კონცეფციების საფუძველზე საშუალებას იძლევა: მოვანდინოთ სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მუშაობის დაგეგმვა და მათი ფუნქციონირების პროცესების მართვის კოორდინაცია. ავამაღლოთ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ინტერმოდალური გადაზიდვების ეკონომიკური ეფექტურობა და მივიღოთ სისტემური (სინერგიული) ეფექტი გადაზიდვის პროცესის ყველა მონაწილისათვის. აქედან გამომდინარე გადატვირთვის პროცესის ოპტიმიზაცია ნავთობის ტერმინალებში წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას ამოცანას. თავის მხრივ იგი მოითხოვს პრობლემის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზს, „ვიწრო“ ადგილების გამოვლენას და მათი აღმოფხვრის მეცნიერული გზების ძიებას.

## პირითადი ნაშილი

უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების ორგანიზაციას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საერთო სატვირთო გადაზიდვებში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნავთობის ექსპორტი წინა პერიოდებში და ახლაც, გარდა მისი პირდაპირი დანიშნულებისა, იგი ზოგი ქვეყნის მიერ განიხილება, როგორც პოლიტიკური სიტუაციების რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი. გარდა ამისა ნავთობის მფლობელი ქვეყნებისათვის იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერის მთავარ დასაყრდენს.


ექსპერტების გათვლებით უახლოეს ათწლეულებში (2010-2030 წ.) ნავარაუდებია ნავთობის მოპოვებასა და მოხმარებას შორის საგრძნობი დისბალანსი, მათი მოთხოვნის ყოველწლიური ზრდის ზონზე [2, 3]. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, რომელშიც ასახულია თანაფარდობა 2010 წლისათვის (უმნიშვნელო უზუსტობით) [2].

### ცხრილი

მსოფლიოში ნავთობის მოპოვებისა და მოხმარების თანაფარდობა

კონტინენტი, ქვეყანა, რეგიონი	მოპოვება, მლნ.ტ	მოხმარება, მლნ.ტ	ბალანსი
ევროპა	295,0	774,5	-479,5
აფრიკა	398,3	120,5	+277,8
სამხრეთ ამერიკა	153,4	23,9	+129,5
აშშ	341,1	914,3	-573,2
ახლო აღმოსავლეთი	1093,7	214,9	+878,8
აზია-წყნ. ოკეანის ქვეყნები	345,8	1049,1	-703,3
იაპონია	-	213,0	-213,0
ჩინეთი	169,3	275,2	-105,9
ინდოეთი	36,7	113,3	-76,6
რუსეთი	421,4	124,7	+296,7
ბალანსი	+3254,7	-3824,4	-568,7

როგორც ცხრილიდან ჩანს დღეისათვის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დეფიციტი მსოფლიო ბაზარზე შეადგენს დაახლოებით ნახევარ მილიარდ ტონას. ბუნებრივია, რომ მსოფლიო ნავთობის მოპოვებისა და მოხმარების ზემოთ მოყვანილ პირობებში ფასები ნავთობზე არა თუ დაიწევს, არამედ რთული იქნება მისი ფიქსირებულ ნიშნულზე შეჩერება, მით უმეტეს, რომ სხვა ენერგომატარებლებით (გაზი, მყარი საწვავი) ნავთობის გამოყენებითი ფუნქციების შეცვლა უახლეს ათწლეულებში ან შეუძლებელია, ან მცირედაა შესაძლებელი, აღნიშნული მოსაზრების მკაფიო ილუსტრაციაა ქვემოთ მოყვანილი ნახაზი, რომელზეც ნაჩვენებია ნავთობზე ფასების ცვალებადობის დინამიკა ბოლო 30 წლის განმავლობაში, როგორც ნახაზიდან ჩანს, 1975-2005 წლებში ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა თითქმის 6,5-ჯერ, ხოლო 2000-2005 წლებში – დაახლოებით 3,5-ჯერ. ყოველივე ზემოთ თქმული მიუთითებს იმაზე, რომ მოცემულ ეტაპზე და უახლოეს პერსპექტივაში ნავთობი იქნება შეუცვლელი სტრატეგიული პროდუქტი საავტომობილო და საპარავო ტრანსპორტის ინდუსტრიაში (ბენზინი, ნავთი, დიზელისა და რეაქტორული ძრავების საწვავი), მანქანათმშენებლობაში (სხვადასხვა სახის საცხებ-საპოხი ნივთიერებები), თხევადი გათბობის სისტემებში (მაზუთი), საავტომობილო გზების მშენებლობაში (ნავთობბიტუმი, გუდრონი, ასფალტი) და სხვ. ამრიგად, უმკაცრესი



ნახ. ნავთობზე ფასების ცვალებადობის დინამიკა წლების მიხედვით

იქნება პროდუქციის (ნავთობის) გარდაქმნის პროცესი საქონლად (ნავთობპროდუქტები) და საქონლისა ტვირთებად (დანიშნულებით გამოიყენება, რეალიზაცია), რომელშიც ერთ-ერთი მთავარი როლი ტრანსპორტირებას უჭირავს.

დადგენილია, რომ ზემოთ აღწერილ პირობებში აუცილებელი ხდება გადაზიდვითი პროცესის დაჩქარება (ტრანსპორტირების ვადების შემცირება) – „გაყინული კაპიტალის“ ანუ ტრანსპორტირების პროცესში მყოფი დეფიციტური ტვირთის – ამ შემთხვევაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ღირებულების რაც შეიძლება სწრაფი რეალიზაცია. ეს შეიძლება განხორციელდეს ლოგისტიკური მიდგომის საფუძველზე, მიწოდებათა ლოგისტიკური ჯაჭვების სტრუქტურისა და მართვის გაუმჯობესების სრულყოფით. მისი სინქრონიზაციის ამაღლებით და ლოგისტიკური კონცეფციების „ზუსტად დროში“ და ზუსტად გრაფიკის მიხედვით; დანერგვით გადატვირთვის პროცესის კომპლექსური ოპტიმიზაციის გზით.

როგორც ცნობილია, შუა აზიის პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ნავთობს მოიპოვებს ყაზახეთი (2008 წლის მდგომარეობით დაახლოებით 65-68 მლნ.ტ წელიწადში), აზერბაიჯანი (38-40 მლნ. ტ), უზბეკეთი და თურქეთი (ორივე თითქმის თანაბარი მოცულობით, დაახლოებით 10 მლნ.-ს ფარგლებში)<sup>1</sup>. რამდენადაც ეს ქვეყნები ეკონომიკური თვაალსაზრისით მძლავრ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ მათ ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული ნედლეულის მოპოვების თვალსაზრისით, იმდენად დაშორებული აღმოჩნდნენ პროდუქციის გასაღების ბაზრებიდან (უპ. ყოვლისა იგულისხმება ევროპის ბაზარი).

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი „ტრასეკას“ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი ერთ-ერთი კონკურენტუნარიანია სხვა აღტერნატიულ დერეფნებთან შედარებით. 2008 წლის მონაცემებით საქართველის ტერიტორიაზე გადაზიდული ტვირთების მთლიან რაოდენობაში, ნავთობპროდუქტებმა შეადგინა დაახლოებით 60%. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების სტაბილური (კონკურენტუნარიანი) ორგანიზაცია წარმოადგენს სახელმწიფო მასშტაბის მნიშვნელოვან საკითხს.

როგორც ცნობილია, საქართველოს რკინიგზით გადაზიდული სატრანზიტო ტვირთები მოძრაობას აგრძელებს საზღვაო ტრანსპორტით, ანუ ადგილი აქვს შერეულ გადაზიდვებს – სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედებას. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შერეული გადაზიდვებისას, გადაზიდვითი პროცესის ერთიან ციკლში, ანუ ნავთობის მოპოვების ადგილიდან მოხმარების ადგილამდე ტრანსპორტირებისას, ყველაზე „სუსტ ადგილად“ მიჩნეულია სარკინიგზო ტრანსპორტიდან – საზღვაო ტრანსპორტზე ნავთობპროდუქტების

<sup>1</sup> – [www.zerkalo.az/2010-12022/ekonomiks/15469-bq-sokar](http://www.zerkalo.az/2010-12022/ekonomiks/15469-bq-sokar);

გადატვირთვის სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპლექსი (ნავთობის ტერმინალი). ასეთი მდგომარეობის უმთავრესი მიზეზი არის ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადატვირთვის კომპლექსის საზღვაო და სარკინიგზო პირაპირების ერთმანეთის მიმართ არაპარმონიული, არარაციონალური განვითარება, სხვადასხვა მიზეზების გამო, ტექნოლოგიური პარამეტრების უმრავლესობის ურთიერთშეუსაბამობა, ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ხარისხი, სისტემური მიდგომისა და ლოგისტიკური პრინციპების, იმიტაციური მოდელირების მეთოდების შეუფასებლობა და როგორც შედეგი – მთლიანი სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპლექსის მუშაობის ტექნოლოგიური კომპლექსის ოპტიმიზაციის განხორციელება [3].

ასეთი პრობლემების გადაჭრის ახალ მეთოდოლოგიას წარმოადგენს სატრანსპორტო ლოგისტიკა, რომელიც საშუალებას იძლევა განვახორციელოთ [1]: სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მუშაობის ერთობლივი დაგეგმვა. სატრანსპორტო პროცესების ერთდროული დაგეგმვა სასაწყობო და საწარმოო პროცესებთან ერთად; სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მუშაობის შეთანხმება და კოორდინაცია.

ასეთი ამოცანების გადაჭრის მთავარ მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სისტემური მიდგომა და იმიტაციური მოდელირების მეთოდები. ეს მეთოდოლოგიები საშუალებას გვაძლევს ორი სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესი წარმოვადგინოთ, როგორც ერთიანი მთელი გადაზიდვის პროცესის ყველა მონაწილის ინტერესების გათვალისწინებით, მოვახდინოთ „ვიწრო“ ადგილების აღმოფხვრა და მივიღოთ სისტემური ანუ ე.წ. სინერგიული ეფექტი.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ მოცემულ ეტაპზე საქართველოს პორტების ნავთობის გადატვირთვის სატრანსპორტო-ლოგისტიკურ კომპლექსებში სათანადო დონეზე (უახლესი ტექნოლოგიებითა და მეთოდოლოგიებით) არ ხორციელდება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დამუშავებასთან (გადატვირთვასთან) დაკავშირებული ოპერაციები. საჭიროა გამოკვლეულ იქნას სისტემური მიდგომისა და ლოგისტიკის პრინციპების საფუძველზე არსებული რეზერვების გამოვლენისა და მათი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობა, რაც საგრძნობლად განმუხტავდა არსებულ სიტუაციასა და აამაღლებდა მომოჯნავე ტრანსპორტის სახეთა საექსპლუატაციო მუშაობის ხარისხსა და კონკურენტუნარიანობის დონეს.

## დასპენა

1. გაანალიზებულია საქართველოს ნავსადგურებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვების ახლანდელი მდგომარეობა. გამოვლენილია „ვიწრო“ ადგილები გადაზიდვითი და გადატვირთვის პროცესების ერთიან ციკლში.
